

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სტუდენტთა მეოთხე
საფაკულტეტო სამეცნიერო
კონფერენცია**

თეზისები



15-17 დეკემბერი

2021

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თედო დუნდუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

სარჩევი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:.....2

ნანა აბდუშელიშვილი

მონონების აღმნიშვნელი ქართული და ინგლისური
ლექსიკური ერთეულების შევირისპირებითი ანალიზი.....15

გვანცა აბრამიშვილი

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების mouth/
პირი შევირისპირებითი სემანტიკური ანალიზი.....16

ნინო ალენიკოვი

პატოლ იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“.....18

მანანა ალოიანი

შექსპირის შემოქმედების როლი
აშშ-ის კულტურის განვითარებაში.....20

ლილი ბარათელი

სულთა გრადაციის თემა ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში...21

გიორგი ბარბაქაძე

არქეოლოგიური გათხრები ხვამლის წმინდა გიორგის
სახელობის ნაეკლესიარზე.....22

გიგა ბაქრაძე

საქართველოსა და წინა აზიის კულტურების ნეოლით-
ხალკოლითური მცირე პლასტიკის ნიმუშების შედარებითი
დახასიათება.....24

მარიამ ბეჟანიშვილი

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების „Face“,
„სახე“ შევირისპირებითი სემანტიკური ანალიზი.....26

ელენე ბერაია

მატერიალურ ობიექტებთან დაკავშირებული კულტურული მეხსიერების ფორმირებისა და ცვალებადობის ეტაპები ძალაჲ ბორჯომის მაგალითზე.....	27
--	----

თაკო ბეროძე

სიურეალიზმის გამოვლინება ქართულ და ეგვიპტურ ხელოვნებაში	29
--	----

სოფიკო გაბისონია

ბალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის.....	30
--	----

ელენე გამსახურდაშვილი

სტანისლავსკის სისტემა თურქული სერიالების მსახიობების თამაშის მაგალითზე	31
---	----

ანა გამხიტაშვილი

ტირილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში.....	34
--	----

ნინო გვარამია

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, როგორც მეხსიერების ადგილი.....	36
--	----

თამარ გოგობერიშვილი

სერიالების გავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაცურებელთან.....	38
--	----

ია გოლიაძე

საქართველოს, როგორც 2008 წლის აგვისტოს თმის მონაწილე ქვეყნის საკითხი საზღვარგარეთ და ძირითადი შეფასებები.....	39
---	----

ნინო გორხელაშვილი

ბრძოლა ტახტისთვის XIII საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში.....	41
---	----

მარიამ დიდშელიშვილი

გელხვიძეების საგვარეულო სალოცავი სოფელ ხანში.....42

სოფიკო დრიაშვილი

სიუჟეტური პარალელები „ამირანინის“ ქართულ და ოსურ
ვერსიებში.....43

სალომე ერისთავი

მასობრივი კრიზისი და ხელოვნება: ჟან დეპუზე.....45

ლუკა ვიშტეკალიუკი

ამბის თხრობის დრამატურგია სერიალში „ჩემი ცოლის
დაქალები“.....46

ლელა ზვიადაური

ინგლისური ლექსიკური ერთეულების „open“/ „close“ და მათი
ქართული კორელატების „გაღება/დახურვა“ სემანტიკური
და ეტიმოლოგიური ანალიზი.....47

ნინა ზიგერ

პოლიტიკური სოციოლოგია და ინფორმირებული
გადაწყვეტილებების მიღება ახალი დემოკრატიის
ქვეყნებში.....48

ლენა მათზე.

ირაკლი ზუკაკიშვილი

XX ს-ის მეორე ნახევრის დასავლეთის სამუზეუმო
არქიტექტურის ინტერვენცია ქალაქის ურბანულ
ქსოვილში: ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი....50

ნინო თელიაშვილი

ინგლისური ლექსიკური ერთეულის wit ეტიმოლოგიასა და
სემანტიკისათვის.....51

მარიამ თხინვალელი

ანგელო-მყოფადის საგიარო ფორმების მქონე ზოგიერთი ზმნის
შესახებ თანამედროვე ქართულში.....52

ირაკლი თხილაიშვილი

ნოვგოროდის რესპუბლიკა, დეკაბრისტები და კოზირების
დოქტრინა, როგორც მეორე რუსეთი.....53

ანა ივანაშვილი

გმირის სახის ეპოლუსტა „ამირანიანის“ ვარიანტების
მიხედვით.....54

ლიანა იმერლიშვილი

„ჰვიარ“ ესთეტიკის სათავეებთან: სესილ ბიტონის
ფოტოგრაფია.....56

მარიკა ირემაძე

ღორჯომის თემის (გამო აჭარა) ეთნოგრაფიული მიმოხილვა
.....57

მეგი კაზეიშვილი

„სულთა გრადაციისა“ და სიყვარულის საკითხი ვასილ
ბარნოვის მოთხრობებში.....58

მარიამ კაკალაშვილი

კაენის ბიბლიური პერსონაჟის ინტერპრეტაცია მიგელ დე
უნამუნოსა და ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებაში. 59

ანასტასია კალანდაძე

ბერძნული მითოლოგიით ინსპირირებული არქეოლოგიური
არტეფაქტი და საბალეტო პერფორმანსი ქართული
ცივილიზაციის კონტექსტში61

საბიანა კაჭარავა

ანი ბაღდადაშვილი
ლალი ნარიკაშვილი

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ქართულ
ლიტერატურაში და მისი მიმართება ანტიკურ
ლიტერატურასთან.....62

ქეთევან კენჭოშვილი

თანხმობის გამოხატველი ლექსიკური ერთეულები
ინგლისურსა და ქართულში64

მარიამ კობახიძე

მიმოლოგიური მოტივები „ეთერიანში“.....65

ქეთევან კოდელაშვილი
მარიამ კოდელაშვილი

ფრიდა კალოს შემოქმედებაში ასახული ტრაგიკული
ცხოვრება.....66

ნანა კოკოჩაშვილი

კლასიკური სტრუქტურალიზმის ძირითადი პრინციპები
და გათი მნიშვნელობა თანამედროვე ფრანგული ენის
შესწავლაში.....67

ნათია კოტორაშვილი

ქართველი ახალგაზრდების ჟარგონული მემკვიდრეობის
განდერული ანალიზი.....68

ირაკლი ლეონიძე

საკუთრების უფლების ჩამოყალიბება საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.....70

ლელა მამულაძე

მაერთებელი კავშირების ფუნქციები გეპირ დისკურსში.....71

ვალენტინა მაღლაკელიძე

ვიგსულური ხელოვნების მომავალი მაღალი
ტექნოლოგიების მრავლი..... 73

ლიკა მელანაშვილი

ირონიის გამოხატვის საშუალებები თანამედროვე ქართულ
სოციალურ მედიაში..... 74

მერი მერებაშვილი

მიტოლოგიური პარალელები გრიგოლ რობაქიძის პიესაში
„ლონდა“.....75

მიხეილ მერკელია

შუმერთა ცივილიზაციის გავლენა თანამედროვე სამყაროზე
..... 77

ანანო მირზელაშვილი

გვანცა ტალახაძე

კავშირგაფუძლი ძეგლის „წამებად და ღუანლი წმიდათა
და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი“
თავისებურებები.....79

მეგი მიქაბერიძე

აპოქალიფის მოტივი ჯადოსნურ გლაზრებში..... 80

ქრისტინე მიქავა

ყვავილებისა და ჩიტების თემა ჩინურ ფერწერაში.....81

ანა ნატროშვილი

კარლოს დიდი და ლეგენდა პირველი ჯვაროსნის შესახებ... 82

ლუიზა პაპალაშვილი

შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა ინგლისურ და ქართულ

ენებში.....	83
დავით პაპუაშვილი გიორგი პაპუაშვილი	
მეტაფორა და მეთონიმია ქართულ და ინგლისურ სკოტულ ტერმინებში.....	85
ნიკოლოზ სარაჯიშვილი მედეა გვინჩიძე	
ივანე ჯაბაღარი ქართულ სამეცნიერო სივრცეში.....	86
ნერიკა სეხნიაშვილი	
თარგმნის მნიშვნელობა და გამოჩენილი მთარგმნელები....	88
ნატა სიამაიშვილი	
ნურადინ-ფრიდონი – მესამე მემობარი.....	89
ნინო სირბილაძე	
ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარება ელშარდ შვარდნაძის დიპლომატიის პერიოდში.....	90
თამაზ სოფრომაძე დავით ფაცაცია	
შესანიშნის მნიშვნელობა სოფელი ხანის რელიგიურ პრაქტიკაში.....	92
მარიამ ტურძილაძე	
სივრცის სტრუქტურირების ერთი თავისებური მოდელის შესახებ XIX-XX საუკუნეთა პრესის სარეკლამო განცხადებებში.....	93
ალექსანდრე უბირია	
დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება.....	95

თეკლე უგულავა

გილგილჩაის თავდაცვითი კედლის სტრუქტურული და
სამშენებლო დეტალები..... 97

ნანა უსტარაშვილი

დუმილის ესთეტიკა ლეო ქიაჩელის ერთ პროგნოზულ ტექსტში,98

მარიამ ფირცხალავა

„ამირანდარეჯანიანის“ კონცეფცია და ქართული საერო
მწერლობის ჩამოყალიბების პრობლემა..... 99

ფერიდე ქავთარაშვილი

სირცხვილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები
ინგლისურში, ქართულსა და ჩეჩნურში..... 100

ზაზა ქარჩავა

დიმიტრი უზნაძე – ძველი მსოფლიოს ისტორიის
სახელმძღვანელოების ავტორი..... 101

გიორგი ქელბაქიანი

ნატო გაბარაშვილი

საბჭოთა პროპაგანდა მეორე მსოფლიო ომის დროს
(პოსტერების მიხედვით)..... 103

მარიამ ქვლივიძე

ფოლკლორული ნაკადი „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის
კონცეფციასა და სიუჟეტურ წყობაში..... 104

ანა ქიტესაშვილი

ფსიქიკური აშლილობის გამომხატველი ლექსიკური
ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში..... 105

თამუნა ქოთოლაშვილი

ინგლისური მოდელური გზნის need ეტიმოლოგიური და
სემანტიკური ანალიზი..... 107

მანანა ღავთაძე

აღმოსავლური მოტივები XVIII საუკუნის ფრანგულ ხელოვნებაში: ფრანსუა ბუშეს ჩინური სერიები.....	108
---	-----

ნათია ყიფიანი

მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობა „ბებერი მეზურნეები“	109
--	-----

მარიამ შამათავა

დრო ექსპრესიონისტულ ტექსტებში კონსტანტინე გამსახურდიას ორი ნოველის – „საათებისა“ და „პორცელანის“ მიხედვით.....	110
--	-----

ანა შარიქაძე

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების Left/Right – მარცხენა/მარჯვენა სემანტიკისათვის.....	111
---	-----

ნინო შიომღვიმელი

„ვეფხისტყაოსანი“ და აღმოსავლური ლიტერატურა	113
--	-----

ნანა შოშიაშვილი

ერთი თავისებური ზმნის გამოყენებისა და ფუნქციების შესახებ თანამედროვე ქართულში.....	114
--	-----

დიანა ჩადუნელი

ქვანა პარკერის ორი სამყარო.....	115
---------------------------------	-----

გვანცა ჩანტლაძე

ადამიანის ბუნება და ომის ფენომენი.....	116
--	-----

ტატა ჩრდილელი

სოციალური სოლიდარობის რელიგიური ასპექტები სოფელ ხანში	118
---	-----

ელენე ჩხვირკია

ქალაქის თანამედროვე რეკონსტრუქცია ქ. ბორჯომის მაგალითზე.....	119
---	-----

ივეტა ცერცვაძე

ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთმიმართება შიოლა ღუდუშაურის ციკლის ტექსტებში.....	120
--	-----

ანა ციყელაშვილი

ანა შალუტაშვილი

მიკრი ხათუნი შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურის ასპარეზზე.....	122
--	-----

გვანცა წინილაშვილი

სალომე ჩაფიძე

იტიკა საქართველოში XX ს-ის 20-იან წლებში (შურნალ „ტარტაროზის“ მასალების მიხედვით).....	123
---	-----

თამარ ქიქინაძე

გველის სიმბოლო ქართულ მითო-რიტუალურ სისტემასა და ლიტერატურაში.....	125
---	-----

თამთა ქუმბაძე

ტრანსნაციონალური კორკორაციები და მათი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.....	126
---	-----

მარიამ ხუბუნაია

დროის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ვასილ გარნოვის „ისნის ცისკარში“.....	128
---	-----

რუსუდან ჯანანაშვილი

ბოჭორხეთისა და სამოთხის სიმბოლური ტიპოლოგია ჯონ მილტონის პოემაში „დაკარგული სამოთხე“.....	129
--	-----

ვიკა ჯაჭანიძე

საბჭოთა რეალობის მხატვრული ასახვა ნინო ხარატიშვილის
რომანის, „მერვე სიცოცხლე“ მიხედვით130

შორენა ჯიმშერიშვილი

რიგ სპარსულ და ქართულ ფიტონიმთა
შეპირისპირებითი ანალიზისათვის131

ლუკა ჯინჭარაძე

ავღანეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა
უახლესი მოვლენების კონტექსტში133

ანი ჯოხაძე

ბაგრატიონების წარმომავლობა134

დიანა დიასამიძე, მარიამ კვინიკაძე

ტომას სტერნზ ელიოტის “The Love Song of J. Alfred Prufrock”
ორიგინალისა და დავით წერედნისეული ქართული
თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი136

ნანა აბდუშელიშვილი

მოწონების ალმნიშვნელი ქართული და ინგლისური ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებითი ანალიზი

მოხსენებაში წარმოდგენილია ინგლისური სიტყვის „like“ და მისი ქართული შესატყვისის, ანუ კორელატის „მოწონება“ შეპირისპირებითი ანალიზი. კვლევის პროცესში შევისწავლე მოცემული სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა. შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვისა და მისი ქართული ეკვივალენტის სხვადასხვა მნიშვნელობები. თეორიული მასალა მოპოვებულია წიგნიდან: „A COURSE IN MODERN ENGLISH LEXICOLOGY“. ემპირიული მასალა მოვიპოვე კემბრიჯის (Cambridge Dictionary), ოქსფორდისა (Oxford Dictionary) და ონლაინ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში (Online Etymological Dictionary). აგრეთვე ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში, ბარბარიზმების ლექსიკონსა და ქართულ სინონიმთა ლექსიკონებში. საილუსტრაციო მაგალითები აღებულია როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შესწავლილია ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა თუ იდიომებში. ასევე, გაანალიზებულია მოცემული სიტყვების ძირებიდან ნაწარმოები და შედგენილი სიტყვების მნიშვნელობები და განხილულია მათი სინონიმები.

შეპირისპირებითმა ანალიზმა ცხადყო შემდეგი მსგავსება-განსხვავებები მოცემულ ორ საკვლევ ენას შორის:

კორელატების ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს. მოცემული სიტყვები აქტიურად გამოიყენება ინტერნეტსივრცეში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში „to like“ დამკვიდრდა ბარბარიზმის, „დალაიქების“ ფორმით, რაც განპირობებულია ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციით. მიუხედავად მსგავსებისა, ინგლისური სიტყვისა და მისი ქართული შესატყვისის მნიშვნელობები

სრულად არ ფარავს ერთმანეთს. ინგლისურ ენაში აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობები უფრო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასევე მრავალფეროვანია მოცემული ორი საკვლევი ენის სინონიმები როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში.

მოცემული სიტყვები, ორივე ენაში, დადებითი კონოტაციური მნიშვნელობის მატარებელნი არიან, თუმცა ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა თუ ნაწარმოებ სიტყვებში სხვა დატვირთვას იძენენ და უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობითაც ხასიათდებიან.

გვანცა აბრამიშვილი

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების MOUTH/პირი შემპირისპირებითი სემანტიკური ანალიზი

ნაშრომი განიხილავს ინგლისურ სიტყვას „Mouth“ და მის ქართულ შესატყვისს, სიტყვა „პირს“ ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ ქრილში. კვლევის მიზანია მოცემული კორელაციური სიტყვების მნიშვნელობათა შედარება. ნაშრომი მოიცავს ამ ძირებიდან ნაწარმოები დერივატებისა და შდგენილი სიტყვების განხილვას და იმ ანდაზებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და იდიომებს, რომლებშიც ეს სიტყვები გამოიყენება.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელოები¹. ემპირიული მასალა მოპოვებული იქნა ინგლისური და ქართული ენების ავტორიტეტული ლექსიკონებიდან, როგორებიცაა: კემბრიჯის ლექსიკონი², ოქსფორდის ლექსიკონი³, დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი⁴, ქართული ენის განმარტებითი ლექსი-

1 Ginzburg et al. 1979 და სხვა.

2 <https://dictionary.cambridge.org>

3 <https://www.oxfordlearnersdictionaries.com>

4 <https://dictionary.ge/>

კონი⁵. ემპირიული მასალა, ასევე, მოპოვებულია ცოცხალი მეტყველებიდან.

შეპირისპირებითა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად განხილული სიტყვების მდიდარი სემანტიკური სისტემებისა, ისინი მხოლოდ ერთ მნიშვნელობას იზიარებენ, კერძოდ „ნაპრა-ლი ტუჩებს შორის, ბაგეთა ქრილი“. სხვა მნიშვნელობები კი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სიტყვა მრავალ იდიომაში, ფრაზეოლოგიურ ერთეულსა თუ ანდაზაში გამოიყენება, თუმცა, მათი შედარების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ამ შემთხვევაშიც აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. მსგავსება იკვეთება მხოლოდ ინგლისურ იდეომატურ გამოთქმაში, „by word of mouth“ და ქართულ დერივაციულ სიტყვაში „ზეპირი“, რადგან ორივე მათგანის მნიშვნელობა უნიგნოდ თქმაა.

ამრიგად, კორელაციური სიტყვების „mouth“ და „პირი“ სემანტიკური სისტემები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისინი მხოლოდ ცენტრალურ მნიშვნელობას იზიარებენ.

5 „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, 1990.

ნინო ალენიკოვი

პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“

პაოლო (პავლე) იაშვილი(1894-1937) მეოცე საუკუნის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის იყო „ცისფერი ყანების“ რედაქტორი, ქართველი სიმბოლისტების მანიფესტის - „პირველთქმის“ ავტორი. თანამედროვეების თვალთახედვით იგი იყო პოეტი-ნოვატორი, ცისფერყანნელთა „გვირგვინი და მშვენება“, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული, გასაოცარი მჭევრმეტყველი.

თაობამ, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი პაოლოა, ურთულესი შემოქმედებითი გზა განვლო. ამ პერიოდში მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო შექმნილი ქვეყანაში.

პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“ პირველად 1916 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „ცისფერი ყანები“. ნაწარმოები ფერების და საუცხოო სახეების სიმბოლიკითაა სავსე. ლალი ავალიანის თქმით, ეს არის ბრწყინვალე ურბანისტული ლექსი, სადაც თითქოსდა ჩაღვრილია „მზის პლანეტარული ენერგია“ [ავალიანი ლ. 2018:136]. მასში არსებულ იდეას პოეტი გარკვეულწილად აგრძელებს ლექსში „წითელი ხარი“. ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობდა: „არსად მზეს არ მიუღია ისეთი ლეგენდარული სახე, როგორც ამ ლექსებში. ისინი ნიღბიანი მზის აკივლებია“ [გაფრინდაშვილი ვ. 1922, №5]. შ. აფხაიძე წერდა: „...პაოლო იაშვილი იღებს მზეს როგორც კატიურს, ვაჟურს, მწველს. მზეს როგორც მეორე პოლუსს მთვარისა...“, „პაოლო იაშვილს სწამს მხოლოდ მზის მისტერიის და მზის პლანეტარული ენერგიის.“ [აფხაიძე შ. 1924, №8].

ჩვენი მოსაზრებით, პოეტი ლექსში „ფარშავანგები ქალაქში“ მისტიფიცირების საშუალებით აღგვიწერს არსებულ რეალობას. „ბრაზიანი გველეშაპის“ და „მკერდგადახეული ცხენების“ სახეები, „ზარების ყრუ რეკა“, ოღარებით მორთული

ხალხის არსებობა საზოგადოებაში არსებულ სარწმუნოებრივ კრიზისებზე მიგვანიშნებს. პოეტი, გარკვეულწილად, ამხელს დამპყრობელ ძალას და რევოლუციურ შემართებას აძლევს მკითხველს.

ლიტერატურა:

ავალიანი ლ. 2018: ავალიანი ლ. პაოლო იაშვილი 125 მონოგრაფიები, ესეები, პაოლო იაშვილის პოეტურ სამყაროში, გამომც. პალიტრა L, თბილისი, 2018.

გაფრინდაშვილი ვ. 1922: პეიზაჟი უკულმა, ჟურნალი „ბარრიკადი“ №5, თბილისი, 1922.

აფხაიძე შ. 1924: მთვარე პოეზიაში, ჟურნალი „რუბიკონი“ №8, თბილისი, 1924.

მანანა ალოიანი

შექსპირის შემოქმედების როლი აშშ-ის კულტურის განვითარებაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის კულტურის შესწავლას თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი, აშშ-ის კულტურის ისტორიის მეცნიერული შესწავლისა, არის 1800-1810 წლების აშშ-ის კულტურა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მოცემულ პერიოდში თეატრი სარგებლობს დიდი პოპულარობით, განსაკუთრებით შექსპირის შემოქმედება.

საკონფერენციო თემა ეხება რენესანსის ინგლისის დიდი დრამატურგის, ეროვნული პოეტის, უილიამ შექსპირის როლს აშშ-ის კულტურის განვითარებაში. პოეტი ეძებს ახალ სტილს, აღორძინების ეპოქის კომედიისა და ტრაგედიის მოცემული ჩარჩოებიდან გამოსვლის გარეშე. ის ძველი შინაარსით ავსებს მოძველებულ ფორმებს. ასე იბადება ბრწყინვალე ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, კომედია „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „ვენეციის ვაჭარი“. ლექსის სიახლე, შექსპირის ახალ ნამუშევრებში, შერწყმულია დასამახსოვრებელ სიუჟეტთან, რაც ამ პიესებს პოპულარობას ანიჭებს მოსახლეობის ყველა ფენის საზოგადოებაში.

უილიამ შექსპირი მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ძალიან მწირია. მან შექმნა კულტურის უკვდავი ხაზინა, რომელიც ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს კვებავს მსოფლიო კულტურას. მისი შემოქმედება არა მხოლოდ დრამატული თეატრების, მხატვრების, არამედ მრავალი კომპოზიტორის, აგრეთვე, კინემატოგრაფისტების შთაგონება გახდა. შექსპირმა არაერთხელ შეცვალა თავისი მწერლობის სტილი. მის სტრუქტურებში, მის პირველ სპექტაკლებს ხშირად გამოვრებული ჰქონდათ ჟანრები და იმდროინდელი პოპულარული მონაკვეთები, როგორიცაა ქრონიკები, აღორძინების ხანის კომე-

დიები („ჭკუის მოთვინიერება“), „საშინელებათა ტრაგედიები“ („ტიტუს ანდრონიკე“). ახალგაზრდა შექსპირმა ისწავლა დრამატული მწერლობის საფუძვლები იმ დროის კლასიკურ ფორმებზე. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ინგლისური ენის განვითარებაზე, შექმნა თანამედროვე გრამატიკის საფუძველი, აგრეთვე გაამდიდრა ინგლისელთა ლიტერატურული მეტყველება ახალი ფრაზებით, რომლებიც გამოყენებული იყო ციტატების სახით კლასიკოსთა ნაწარმოებიდან. შექსპირმა 1700-ზე მეტი ახალი სიტყვა დაუტოვა თავის თანამემამულეებს მემკვიდრეობის სახით.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უილიამ შექსპირის შემოქმედება აშშ-ის კულტურის ისტორიაში დიდი ისტორიოგრაფიული დატვირთვის მქონეა.

ლილი ბარათელი

სულთა გრადაციის თემა ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში

ვასილ ბარნოვი ქართული მწერლობის ღირსეული წარმომადგენელია. მისი შემოქმედება მოდერნისტული ნაკადით გამოირჩევა. სიტყვა „moderne“ ფრანგულია და ნიშნავს - განახლებას. საინტერესოა, რომ მწერალი მიუბრუნდა საქართველოს ისტორიის გარდასულ დიდებას როგორც ისტორიული, ასევე ძველქართული ენობრივი ნარატივით. გარდასულ დღეთა ამსახველი ფაქტები მოდერნისტულ ჭრილში წარმოაჩინა და საქართველოში ისტორიული რომანის ჟანრის ფუძემდებლად იქცა. აგრეთვე, მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში რელიგიათა აღქმის ახლებური ინტერპრეტაციის შემოტანა და სულთა გრადაციის თემის დამკვიდრება. ქართველმა მწერალმა, ქრისტიანული დოგმატიკის შესაბამისად, გაიზარა სულის უკვდავების თეორია, თუმცა ქრისტიანული რელიგიისაგან განსხვავებით, დაუშვა რეინკარნაციის, მეტემფსიქოზის არსებობა.

რეინკარნაციის იდეას ჯერ კიდევ ძველინდურ საზოგადოებაში ჩაეყარა საფუძველი, ნაშრომის მიზანი კი არის სულის ფენომენის, მისი უკვდავების, რეინკარნაციის თეორიების ჩვენება ქართველი ავტორის შემოქმედების საფუძველზე.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში სულთა გრადაციასთან დაკავშირებულ სიყვარულის კონცეფციაზე მოთხრობის „ტკბილი დუდუკი“ მიხედვით; რეინკარნაციის არსის, როგორც მეტაფიზიკური მოვლენის, გააზრება შემდეგ ნაწარმოებებზე დაყრდნობით: „სარო მეტყველი“, „ყვავილებში“, „ყვავილი მიმომავალი“, „სული მთვლელმა-რე“ და „სულთა კავშირი“.

ვასილ ბარნოვს, ზემოხსენებულ მოთხრობათა თანახმად, სულის უკვდავების სწამს და საინტერესოა, როგორ სულს მიიჩნევს მარადიულად, ირეალურსა და რეალურს როგორ უთანხმებს ერთმანეთს.

გიორგი ბარბაქაძე

არქეოლოგიური გათხრები ხვამლის წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარზე

ხვამლის წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარი მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის ბეჩოს თემის, სოფელ თეთნაშის აღმოსავლეთით, მდინარე ხელდურას მარცხენა სანაპიროზე მდებარე მთაზე, ნაძვნარ ტყეში, ზღვის დონიდან 1685 მეტრზე.

უშუალოდ, სანამ არქეოლოგიური გათხრის პროცესებს მოვიხილავ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ სვანეთის შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, სადაც აღმოჩნდა უამრავი არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობის მრავალ ასპექტს და საკითხს ჰფენს ნათელს.

ადრე შუა საუკუნეების სვანეთში, ქრისტიანული იდეოლოგიის ხასიათზე და საეკლესიო ცხოვრების დონეზე მეტყველებს

მდინარეების - ენგურისა და ცხენისწყალის ზემო წელზე გამოვლენილი ქრისტიანული ეკლესიები და სამაროვნები: სოლში, ხოფურში, ფხუტერსა და ნესგუნში. აღნიშვნის ღირსია სვანეთის შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურა, რომელიც ქართული არქიტექტურის ორგანული ნაწილია, მისი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ცენტრალური რაიონების საეკლესიო არქიტექტურის განვითარებასთან და ნათლად შეიგრძნობს ამ ნაგებობათა ერთიანობას. სვანეთის არქიტექტურა არ ხასიათდება ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით, აქ გავრცელება მოიპოვა ეკლესიის ერთმა ტიპმა – დარბაზულმა, რომელიც ერთნავიანია, თუმცა, ვანყდებით შვერილ ნახნაგოვან საკურთხეველსაც, რომელიც წარმოდგენილია აფსიდითა და მინაშენებით. ეკლესიები მცირე ზომისაა, მათი პროპორციები მწყობრია, ზოგჯერ კი სიმაღლეში ძლიერ აზიდული ნაგებობა კოშკს წააგავს. სვანეთის ეკლესიები ფორმათა ტიპოლოგიით, მრავალფეროვნებითა და დიდი პომპეზურობით არ გამოირჩევა, თუმცა, ეს სისადავე, მარტივი ფორმები კარგად არის გააზრებული და ორგანულად ერწყმის იქ არსებულ გარემოს. ძირითადი საშენი მასალაა: ფიქალის ქვები, შირიმო, იშვიათ შემთხვევაში რიყის და ფლეთილი ქვები. ფიქალის ქვებს, სვანეთში იყენებდნენ როგორც ეკლესიების, ასევე სვანური კოშკების გადასახურად.

ხვამლის წმინდა გიორგის ოთხკუთხა დარბაზული ტიპის ეკლესია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის კვლევით რადარზე 2018 წელს მოხვდა, მისი არქეოლოგიური შესწავლა კი 2020–2021 წლებში განხორციელდა, პროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით.

პირველ რიგში, მოხდა ამ ეკლესიის გათხრა-განმენდა, გათხრების შედეგად შეიძლება ითქვას, მიწაში ჩაფლული თლილი ქვისგან ნაგები ეკლესიის საძირკველი გამოჩნდა. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს წავანყდით დამსხვრეულ, ხანძრისგან გადამწვარ კერამიკულ ჭურჭლის ფრაგმენტებს, ძირითადად, უსახო და სახიან კერამიკას, ასევე, მეთოდოლოგიურად ჩატარებული სამუშაოების შემდეგ დანახშირებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბაჭაღლო ოქროს ხატში ჩასასმელი ნამჭედური, საკურთხეველთან ახლოს მოპოვებულია ოსტეოლოგიური მასალასაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია არქიტექტურით და ფორმის ტიპით განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება, კერძოდ X-XI საუკუნეებს, რაც შეეხება აქ აღმოჩენილ კერამიკას და ხატის შესამკობელ ნამჭედურს, წარმოადგენს გვიან შუა საუკუნეებს (XV-XVII). ტაძარი არის ძალიან მცირე ზომის (4.10 X 1.90), რომელიც, სავარაუდოდ, შემოსევების შედეგად არის გადამწვარი.

გიგა ბაქრაძე

საქართველოსა და წინა აზიის კულტურების ნეოლით-ხალკოლითური მცირე პლასტიკის ნიმუშების შედარებითი დახასიათება

მცირე პლასტიკის ნიმუშები გვხვდება თითქმის ყველა პრეისტორიულ კულტურაში. ეს არის საშუალება, გადმოეცათ თავიანთი დამოკიდებულება და შეხედულებები სამყაროზე, მოგვიანებით კი ყოველივე ეს ყალიბდებოდა, როგორც რწმენა-წარმოდგენები და კულტი. ამ ტიპის არტეფაქტები გაცილებით აქტუალური ხდება სწორედ ადრესამინათმოქმედო კულტურების არსებობის დროს. ეს სურათია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე მახლობელი აღმოსავლეთის ამ ეპოქის გეოკულტურულ სივრცეში. ასეთი შინაარსის ნივთების მიკვლევა შესაძლებელია იმ კულტურებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად ძლიერ და განვითარებულად მიიჩნევა სხვადასხვა გარემოპირობების გამო. ცალსახაა ისიც, რომ რაც უფრო მასშტაბური და ძლიერია რომელიმე კულტურა, მით უფრო მრავალფეროვან და კომპლექსურ ხელოვნების ნიმუშებს ქმნის, რაც, თავისთავად, მსოფლმხედველობის გაფართოებისა და სპირიტუალური სამყაროსადმი ინტერესის გაზრდის მანიშნებელია. კულტურათა სიმრავლისა და სიძლიერის ნიშანი შეიძლება იყოს მათი გავლენა მეზობელ კულტურებზე. არქეოლოგიაში ამის დასამტკიცებლად აუცილებელია მატერიალური მონაპოვრები, რომელთა სემანტიკა და გამომსახველობითი საშუალებები მსგავ-

სია. მცირე ქანდაკებების მსგავსების შემთხვევაში, ყოველივე ამის დადასტურება გართულება თუ ის რაიმე სხვა ბაზისზე არ დგას, რადგან დედის, ნაყოფიერებისა თუ გაკულტებული ცხოველების ფიგურები და კულტურული ტრადიციები მეტ-ნაკლებად ყველა ტერიტორიაზე შეიძლება აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ დამუშავების ტექნიკაზე, ზომებზე, შემკულობაზე, შემადგენლობაზე და სხვა. მათი უმრავლესობის დამთხვევისას შესაძლოა წამოვყენოთ ვარაუდი მათი გლობალურობისა თუ საერთო ხაზის შესახებ.

სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, ვთვლი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნეოლით-ხალკოლითური ძეგლების ფიგურინების შესწავლა და მათი სტრუქტურიზაცია, განვითარების თვალსაზრისით, საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამან მოგვცა საშუალება უფრო მკაფიოდ დაგვეჩვენა იმ კულტურათა ყოფა, რომელიც ამ პერიოდის კავკასიაში არსებობდა, დაგვედგინა მათი შესაძლო მასშტაბები და კულტურული ნაირსახეობები წინა აზიის ტერიტორიაზე (მათი არსებობის შემთხვევაში) და მოგვექცია ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოში. ეს არის საშუალება, გვეჩვენოს ნათელი წარმოდგენა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურათა განვითარების შესახებ გლობალურ მასშტაბში, ხელოვნების, მატერიალური, სოციალური თუ მსოფლმხედველობრივი კუთხით.

მარიამ ბეჟანიშვილი

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების „FACE“, „სახე“ შეპირისპირებითი სემანტიკური ანალიზი

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა „Face“ და მისი ქართული შესატყვისი, ანუ კორელატი „სახე“. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია, სემანტიკა და შევადარე ინგლისური სიტყვისა და მისი ქართული ეკვივალენტის მნიშვნელობები. აგრეთვე, გავაანალიზე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. თეორიული მასალა მოპოვებულია ინგლისური წიგნიდან - „A COURSE IN MODERN ENGLISH LEXICOLOGY“ by R. S. Ginzburg, S. S. Khidekel, G. Y. Knyazeva, A. A. Sankin. 1979. ემპირიული მასალა მოპოვებულია: ოქსფორდის (Oxford Learner's Dictionary), კემბრიჯის (Cambridge Dictionary), Online Etymological Dictionary, დიდი ინგლისურ-ქართული (Dictionary.ge) ლექსიკონებიდან, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან „სიტყვის კონა“, ქართული ენის დიდი განმარტებითი, ქართული ენის ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონებიდან. საილუსტრაციო მაგალითები აღებულია მხატვრული ლიტერატურიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შევისწავლე ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში. ასევე, კვლევაში გაანალიზებულია მოცემული სიტყვების ძირებისაგან წარმოშობი და შედგენილი სიტყვები და მათი მნიშვნელობა.

შეპირისპირებითმა კვლევამ გამოკვეთა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: მსგავსება არის ის, რომ ორივე ენაში - ინგლისურსა და ქართულშიც, ამ სიტყვას აქვს ერთნაირი ძირითადი მნიშვნელობები, მაგ., სახე, პირსახე, გარეგნული მხარე, პირისპირ ყოფნა. მსგავსია ლექსიკონებში განმარტებების თანმიმდევრობაც, თუმცა განსხვავებები გამოვლინდა ამ სიტყვების მეორეულ მნიშვნელობებში, მაგ., სახე

- სურათი, ნახატი, სახე - საგანთა ან მოვლენათა დაჯგუფების მცირე ერთეული, To show a face - უტიფრად მოქცევა, to face a building with marble - შენობის მარმარილოთი მოპირკეთება, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, მაგ., Face - Coal-face - ქვანახშირის სანგრევი, Face-harden - დაცემენტება და ა.შ. ქართული სიტყვიდან „სახე“ ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები: „სახოვანი“, „სახიერი“, „უსახური“, „გამოსახვა“, „გამოსახულება“ და სხვა.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ინგლისური სიტყვა „Face“ და მისი ქართული კორელატი სიტყვა „სახე“ მნიშვნელობებით სრულიად ვერ ფარავენ ერთმანეთს. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისური სიტყვა პოლისემატურია, გარდა ამისა, მისი მნიშვნელობების გამოყენებისას ადგილი აქვს კონვერსიას, ანუ იგი გამოიყენება როგორც ზმნის, ასევე არსებითი სახელის მნიშვნელობით, ხოლო ქართული სიტყვა „სახე“ მხოლოდ არსებითი სახელის მნიშვნელობით გვხვდება.

ელენე ბერაია

მატერიალურ ობიექტებთან დაკავშირებული კულტურული მეხსიერების ფორმირებისა და ცვალებადობის ეტაპები ქალაქ ბორჯომის მაგალითზე

საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრება სივრცეში და დროში, მატერიალურ სამყაროში მიმდინარეობს. ადამიანები ქმნიან კულტურას, უყალიბდებთ დამოკიდებულებები ობიექტებისა და ადგილების მიმართ და მათთან მიმართებაში ურთიერთობენ ერთმანეთთან. მატერიალური გარემო, ადგილთან დამოკიდებულება გავლენას ახდენს იდენტობის, მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებაზე. ამასთან, ინდივიდუალური და კოლექტიური გამოცდილებები ცვალებადია კონკრეტულ ობიექტებთან და ადგილებთან მიმართებაში. ამ ცვლილებებს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ქ. ბორჯომის მაგალითზე განვიხილავ რამდენიმე მეხსიერების ადგილს, მათ მნიშვნელობებს და მნიშვნელობათა ცვლილებებს.

ქალაქ ბორჯომს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მის ტერიტორიაზე I საუკუნის ნაგებობების (ქვის აბაზანების) ნაშთებია აღმოჩენილი, ამ დროიდან მოყოლებული ამ ტრიტორიაზე სახლობდნენ ქართველები, სანამ მე-16-18 საუკუნეებში აქაურობა არ გაპარტახდა ოსმალების შემოსევების გამო. ეს მხარე თორელთა და ავალიშვილთა ფეოდალური სახლების კუთვნილება იყო, მე-19 საუკუნეში კი გეოგრაფიულ-კლიმატური მახასიათებლებისა და მინერალური რესურსების გამო მისდამი განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა მეფის რუსეთმა და იგი გადავიდა კავკასიაში მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის გამგებლობაში. ამ ისტორიულმა ეტაპებმა, მოგვიანებით კი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებმა თავისი კვალი დააჩნია ბორჯომის იერსახეს. თითოეული პერიოდის მატერიალური კულტურის ნიმუშები: ნაგებობები, მატერიალური ობიექტები, სიმბოლოები, მონუმენტები და ადგილები დროთა ვითარებაში იცლიდნენ სახეს, ივსებოდნენ ახალი მნიშვნელობებით ან ქრებოდნენ კიდეც. მათი შექმნის პარალელურად ყალიბდება საზოგადოების გამოცდილება მათთან მიმართებით. მესხიერების ადგილები კულტურულადაა განსაზღვრული და დროის შესაბამისი ღირებულებების განსხეულებას წარმოადგენს. მათი ღირებულებებთან კავშირი, მიკუთვნებულობის განცდასთან კავშირსაც გულისხმობს და, ამიტომ, ხშირად ხდება საკამათო, განსაკუთრებით სოციალური ცვლილებების პერიოდში.

ბორჯომში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად შეკრებილი მასალა საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს: როგორ ყალიბდება მესხიერების ადგილები, როგორ მიმართებაშია მათი მნიშვნელობები კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებთან, როგორ აღიქვამენ ადამიანები ამ ადგილებსა და ობიექტებს სხვადასხვა დროს, იცვლება თუ არა მათი დამოკიდებულებები და როგორ ქმნიან ან ადაპტირდებიან ახალ მნიშვნელობებთან.

თაკო ბეროძე

სიურეალიზმის გამოვლინება ქართულ და ეგვიპტურ ხელოვნებაში

(სამირ რაფისა და რამაზ რაზმაძის შემოქმედების შედარებითი ანალიზი)

საკონფერენციო ნაშრომში წარმოჩენილია სიურეალიზმის ჩამოყალიბებისა და ფართოდ გავრცელების მიზეზები ეგვიპტეში. განხილულია სიურეალიზმის ძირითადი პრინციპები და იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს, ხელოვნებაში „სუფთა აზრები“ ყოველგვარი ზნეობრივი შეზღუდვისა და ცნობიერი კონტროლის გარეშე გადმოსცეს. ლაიტმოტივს საკუთარი „ნამდვილი მე“ ძიება და ქვეცნობიერის კვლევა წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს სურვილისა და ოცნების გათავისუფლებას. ლოგიკა და გონება ჩანაცვლებულია არაცნობიერი-თა და ალქიმიით. წამლილია საზღვარი რეალურსა და წარმოსახულს შორის.

სამირ რაფისა და რამაზ რაზმაძის შემოქმედების შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდება სიურეალიზმის ურთიერთმიმართება ქართულ და არაბულ ხელოვნებაში. გამოხატულია სიურეალისტი მხატვრების სემანტიკური სიახლოვე, ასევე, ინდივიდუალური, განსხვავებული და სპეციფიკური აღქმა. იკვეთება საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირება, რომელიც რაფის შემოქმედებაში „მგლის“ სახით, ხოლო რაზმაძესთან „დანგრეული კედლით“ გამოიხატება. ორივე შემოქმედთან დაკარგულია დროისა და სივრცის საზღვრები. ინსპირაციის წყარო სიურეალისტ მხატვრებთან სამშობლოა: რაფის შემთხვევაში ეგვიპტე, რამაზ რაზმაძისთვის კი - საქართველო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ხელოვანი სხვადასხვა ეპოქას, რელიგიასა და კულტურას ეკუთვნიან, იდეოლოგიას ნახატებში საერთო ფორმითა და ვარიაციით წარმოაჩენენ. მხატვართა უნიკალური და თავისებური ხელწერის მიუხედავად, მათ

აერთიანებთ დამახინჯებული გრძნობის, სიზმრის მსგავსი ფერების გამოყენება, ხაზისა და ჩრდილის ოსტატობა და ფერთა სიბრტყეების ცოდნა.

სოფიკო გაბისონია

გალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის

გალაკტიონ ტაბიძის 1919 წელს გამოცემულ კრებულში „არტისტული ყვავილები“ შესულ მრავალმხრივ საინტერესო ლექსებს შორის არის „მარმარილო“, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი სახე-სიმბოლოებით და საინტერესო ფერთა პალიტრით. ამ ლექსში პოეტმა ვარდისფერ კიბეზე დააყენა მსოფლიო მითოლოგიაში, ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში ცნობილი სახეები, რომლებიც ყოველ მომდევნო საფეხურზე ხვდებიან ლირიკულ გმირს.

გალაკტიონმა კარგად იცოდა მარმარილოს უპირატესობა სხვა მასალასთან შედარებით. თავის ჩანაწერებში ის მიუთითებს ამ ქვის სიმტკიცესა და უკვდავებაზე. მისი თლილი საფეხურები კი ასოცირდება მარადისობისკენ მიმავალ გზასთან, რადგან ეს არის მტკიცე, დახვეწილი და ძვირადღირებული ქვა, რომელსაც შეუძლია უკვდავებას აზიაროს მასში გამოკვეთილი ფიგურა.

ამ გზაზე პოეტს ხვდება სფინქსი, მითოლოგიური არსება ადამიანის თავითა და ცხოველის ტანით, რომელიც, ანტიკურობიდან მოყოლებული, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მითოლოგიასა და ლიტერატურაში. ამ იდუმალი ქმნილების შემდეგ ხვდებით დიონისეს, მევენახეობისა და მეღვინეობის ღმერთს, თრობისა და ბახუსის შემომტან ღვთაებას, რომლისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს უკავშირდება დრამის ჟანრების - ტრაგედიისა და კომედიის ჩამოყალიბება. აქვეა პრაქსიტელიც - ძველი ბერძენი მოქანდაკე, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც კლასიკურ საბერძნეთში შედევრებს ქმნიდა.

საინტერესოა ლექსის ფერთა გამა. კერძოდ, ყურადღებას იქცევს, ბაროკოს სტილის მხატვრისა და გრაფიკოსის ანტონ ვან დიუკის ნახატების ლანდებთან შედარებული მწვანე ღამე, ხოლო ვარდისფერი, რომლითაც მარმარილოს საფეხურები შეაფერადა გალაკტიონმა ხშირია მის პოეზიაში. პოეტის შემოქმედებაში ვარდისფერი მარმარილოს, ვარდისფერი ატმების („იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ“), ვარდისფერი ღილების („ატმის ყვავილები“) და ვარდისფერი თოვლის („მოვა... მაგრამ როდის?“) გვერდით გვხვდება ვარდისფერი გზაც („მთანმინდის მთვარე“), რომლითაც გალაკტიონი სიკვდილის გზას წარმოიდგენს.

ამ მოკლე მიმოხილვითაც, ცხადია, რომ დეტალებზე ორიენტაცია ქმნის ლექსის საერთო ესთეტიკას, ამასთან, ყოველი სტრიქონი საინტერესო მასალას შეიცავს საანალიზოდ და ის საპატიო ადგილს იკავებს გალაკტიონ ტაბიძის შედევრებს შორის.

ელენე გამსახურდაშვილი

სტანისლავსკის სისტემა თურქული სერიალების მსახიობების თამაშის მაგალითზე

კოსტანტინე სტანისლავსკის სისტემა საკმაოდ ცნობილია რეჟისორებისთვის. მისი სისტემა ჯაჭვივითაა და თუნდაც ერთი ელემენტის ამოვარდნით მთლიანობა ირღვევა. მან ეს მეთოდი დაკვირვებების საფუძველზე შეიმუშავა. მასზე უამრავი მსახიობი აღიზარდა, რაც ცხადყოფს ამ მეთოდის აპრობირებულობას თეატრალურ უნივერსიტეტსა თუ სამსახიობო სკოლაში.

კონსტანტინე სტანისლავსკისთვის რეალობა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა სამსახიობო ხელოვნებაში, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში აღწევს მსახიობი „მიზანს“, ამისათვის კი აუცილებელია, მან როლი შინაგანად შეიგრძნოს და გაითავისოს. თავისი ოსტატობით სიყალბე რეალობით შეცვა-

ლოს. ამას იმ შემთხვევაში აღწევს, როდესაც ახლო კავშირს ამყარებს მის შინაგან სამყაროსთან. თითქოს ყველაფერი მარტივია, მსახიობმა უნდა წარმოიდგინოს, რომ დიდი სცენა ცხოვრებაა, სადაც იმ პიროვნებას განასახიერებს, ვინც რეალურად არის. ვფიქრობ, სწორედ ეს განაპირობებს სერიალების დიდ სიყვარულს მის მაყურებელში. ემოციები, რეალიზმი, ადაპტირება, რელაქსაცია - ეს ყოველივე ჩვეულებრივი მოცემულობაა ადამიანის ცხოვრებაში. თუმცა, თავის მხრივ, ეს ის ძირითადი ელემენტებია, რაც დამწყებ მსახიობს ნამდვილ მსახიობად აყალიბებს.

ვინაიდან, ჩემი განხილვის საგანი თურქული სერალებია, ვიტყვოდი, რომ ბევრი გენიალური თურქი მსახიობია თურქულ კინემატოგრაფიაში. ისინი იმდენად შეიგრძნობენ საკუთარ როლს, რომ შემდეგ მისგან გამოსვლაც კი უჭირთ. ეს ყველაფერი მაქსიმალურად საკუთარ თავზე გადააქვთ და შედეგიც არ აყოვნებს, მათი მოქმედებები მაყურებელთა დიდ ნაწილში ემოციურობის პიკს აღწევს.

ლათინო-ამერიკული სერიალების შემდეგ, ასპარეზზე თურქული სერიალები გამოდის, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის მაყურებელს. თავდაპირველად, იგი „ახალი ხილი“ იყო ქართველი მაყურებლისთვის. ვინაიდან, ამ ქვეყნის ცხოვრების სტილი და ადამიანების რადიკალურად განსხვავდება ლათინო-ამერიკულისგან. თურქი ხალხი რომ უდიდეს პატივს სცემს საკუთარ ტრადიციებს, ამის მაგალითი არაერთი თურქული სერიალია. სწორედ ამაში გამოიხატება კონსტანტინე სტანისლავსკის სისტემის გავლენა სერალების სიუჟეტზე, პირველი ელემენტი - მაქსიმალური რეალიზმი.

სერიალი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც მედია, ოღონდ უფრო მხატვრული გზით გაშუქებული, რადგან თითოეული ეპიზოდი არის რეალობის ასახვა როგორც ზოგადი სურათის, ისე კონკრეტულის, რომელიც მხოლოდ იმ ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. სერიალები ნამდვილად დიდ როლს თამაშობს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგს მისი ყურება მოთხოვნილებაშიც კი გადაეზარდა. შესაბამისად, გავლენაც დიდია. რეჟისორი გვანჯდის მასალას, მაგრამ სხვა ყველაფერი მაყურებლის აღქმის უნარზეა დამოკიდებული. ზოგი მათგანი სერია-

ღს ხედავს, როგორც უბრალო გართობის საშუალებას, ზოგი კი რეალური ფაქტებით შექმნილ წიგნს, რომელიც მის წინ არის გადაშლილი.

ჩემი მოხსნების მიზანია, ამ და სხვა ელემენტების საფუძველზე უფრო სიღრმისეულად განვიხილო თურქული სერიალები.

ანა გამხიტაშვილი

ტირილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა „cry“ და ტირილის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები მათ შესატყვისებთან, ანუ კორელატებთან ქართულ ენაში. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების როგორც ეტიმოლოგია, ისე სემანტიკა. შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვის და მისი კორელატის სხვადასხვა მნიშვნელობა.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელო (Ginzburg et al. 1979) და ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონები (The lexicon of Early Modern English და სხვა). ასევე, მასალა მოპოვებულ იქნა ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონიდან (მე-3 გამოც., თბ.: განათლება, 1978.) და სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“.

მოხსენებაში გაანალიზებულია საკვლევი სიტყვების გამოყენება ანდაზებში, იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. განხილულია მოცემული ძირებიდან ნაწარმოები სიტყვები.

შეპირისპირებითა კვლევამ გამოავლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: მსგავსება გახლავთ ის, რომ ორივე ენაში ეს სიტყვები, ძირითადად, გამოხატავენ მწუხარებას და ცრემლის დენასთანაა დაკავშირებული. თუმცა, ინგლისურისგან განსხვავებით, ქართულში ტირილს არ აქვს მხოლოდ ცრემლისღვრის მნიშვნელობა, იგი სცდება ფსიქიკური მდგომარეობის აღნიშვნის საზღვრებს და უფრო ღრმა სემანტიკის მატარებელია. იგი აღნიშნავს გლოვას, დარდს, ნაღველს. შესაბამისად, ის შეიძლება იყოს სრულიად უცრემლო და უხმო.

შესაძლებელია თირილი სიხარულმაც გამოიწვიოს, ეს განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა ქართულმა ენამ ასახა სიტყვაში – სიცილ-თირილი. განსაკუთრებული ერთეულია ასევე ზმნა „გადაფიჩინდა“, რომელიც გამოიყენება როგორც სიცილის, ისე თირილის სემანტიკის გადმოსაცემად.

გარკვეული მსგავსება-განსხვავებები გამოვლინდა მნიშვნელობის მხრივ ფრაზეოლოგიურ და იდიომატურ ერთეულებშიც, ისევე როგორც ანდაზებში. მაგალითად: „Don't cry over spilt milk“ რომელსაც ქართული ანდაზებიდან შეესაბამება - „ბევრი თირილი მკვდარს ვერ გააცოცხლებს“. ასევე, To cry with one eye and laugh with the other, რომელიც მნიშვნელობით ქართულ ენაში ზემოხსენებულ სიცილ-თირილს შეესაბამება, თუმცა, ჩვენს ენაში ამ შინაარსის გამომხატველი იდიომა არ მოიძებნება.

ქართულში გადატანითი მნიშვნელობით თირილის სემანტიკის შემცველია ცხოველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები – ბლავილი და ღრიალი. ინგლისურში კი ეს შემთხვევა არ გვაქვს, ღრიალის კორელატი roar თირილის აღმნიშვნელად არ მიიჩნევა.

ამგვარად, კვლევის პროცესში გამოვლენილმა მრავალმა სემანტიკურმა განსხვავებამ დაადასტურა, რომ ინგლისური და ქართული კორელატები სემანტიკურად სრულად ვერ ფარავს ერთმანეთს.

ნინო გვარამია

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, როგორც მემკვიდრეობის ადგილი

ქალაქი ბორჯომი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებარეობს ბორჯომის ხეობაში და უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა დასახლებულ ტერიტორიას, რომელიც ქართველ ფეოდალთა (თორელების, ავალიშვილების) სამფლობელო იყო. ბორჯომი ცნობილია არა მარტო მინერალური წყლითა და ჰავით, არამედ ისტორიით, ღირსშესანიშნაობებით. მათ შორის არის საქართველოს მუზეუმებს შორის ერთ-ერთი უძველესი - „ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“.

მუზეუმი 1926 წელს გაიხსნა, ხოლო შენობა, რომელშიც მუზეუმია განლაგებული 1890 წელსაა აგებული და მასში, თავდაპირველად, რუსეთის საიმპერატორო ოჯახის - რომანოვების კანცელარია იყო განთავსებული. მუზეუმი უნიკალურია როგორც თავისი არქიტექტურით, ისე, მასში დაცული ექსპონატების სიუხვითა და მრავალფეროვნებით, კერძოდ, მუზეუმის ფონდი ითვლის 36000 სხვადასხვა სახის ექსპონატს, აქვე არის გახსნილი რამდენიმე სტაციონარული ექსპოზიცია, როგორებიცაა: მხარის ბუნების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და გამოყენებითი ხელოვნების. მოცემულ ექსპოზიციებში წარმოდგენილია ბორჯომის ხეობისთვის დამახასიათებელი მდიდარი ფლორისა და ფაუნის ნიმუშები, სხვადასხვა დროს აღმოჩენილი და მოპოვებული ძვირფასი ექსპონატები: პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები, ბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლები, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები, სამკაულები და მრავალი სხვა.

ამასთანავე, ექსპოზიციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XVIII-XIX სს. თიხის, მინის, ბრინჯაოსა და ფაიფურის, აგრეთვე, ხეზე კვეთის ექსპონატებს, რომელთა უმრავლეს-

სობა, თავის დროზე, ეკუთვნოდა რომანოვების დინასტიის წარმომადგენლებს.

ისტორიული განყოფილება დამთვალიერებელს წარუდგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, მათგან განსაკუთრებით მდიდარია მუნიციპალიტეტში მდებარე შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრების ფოტო-მასალა და ნაგებობების დეტალები.

გამორჩეულია ეთნოგრაფიული ექსპოზიცია, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ, უტილიტალური ფუნქციის მქონე ნივთებს და მინერალურ წყალთან დაკავშირებულ არტეფაქტებსაც.

მუზეუმები მეხსიერების ადგილებია, სადაც თავმოყრილია კონკრეტული ისტორიული პერიოდების არტეფაქტები და ცნობები. დამთვალიერებლებისთვის ამ არტეფაქტების წარდგენა, მათი შემქმნელებისა და მფლობელების იდენტობის წარდგენასაც გულისხმობს. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემთხვევაში, შენობაც მეხსიერების ადგილია და მასში განთავსებული ნივთებიც. ამასთან, საინტერესოა მეხსიერების სხვადასხვა დონის მიმართებები და მათი რეპრეზენტაცია. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავად არის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობა. მისი, როგორც მეხსიერების ადგილის კვლევა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ისტორიის დავიწყება-გახსენების პროცესები პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ.

თამარ გოგობერიშვილი

სერიאלების გავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაყურებელთან

ადამიანს სრულყოფილი ცხოვრებისთვის, ახლის აღმოჩენისა და გამოცდილების დასაგრძელებლად ნებისმიერი ხერხით საზოგადოებასთან ურთიერთობა სჭირდება. საზოგადოებასთან ინტერაქცია თავისთავად მოიცავს სხვების აზრის მოსმენასა და გადამუშავებას, რაც გავლენას ახდენს ჩვენს გადაწყვეტილებებზე. ადამიანი ინდივიდია და ყველა სხვადასხვა ხერხით ინტეგრირდება სამყაროში. თუმცა არსებობს რაღაცეები, რაც თითქმის ყველა ჩვენგანს გარკვეული დოზით გვხვება და გვაერთიანებს. მაგალითად, სერიალები და მისი გავლენა ჩვენს გადაწყვეტილებებზე. ყოველდღიურად სერიალის გმირებთან ერთად ვამარცხებთ ახალ-ახალ წინაღობებს და როგორც ჩანს, ეს არასოდეს მოგვებზრდება, რადგან „ჩვენთვის ნაცნობები პერსონაჟები“ - ეს თავად ჩვენ ვართ, ვისთვისაც ნაცნობი და ახლობელია სატელევიზიო სერიალებში წარმოჩენილი პრობლემები. შემოქმედებითი გუნდი ფიქრობს, როგორ მიიპყროს მაყურებლის ყურადღება და კარგად მოთხრობილ, „ლამაზად შეფუთულ რეალობას“ აწვდის, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენზე. ჩემს ნაშრომში ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით ვისაუბრებ: სატელევიზიო სერიალებისა და ფილმებს რა დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანებზე, სოციუმის, როგორც სოციალური ცხოველის ამპლუაზე. ამასთანავე, განვიხილავ შემოქმედებითი ჯგუფის მხრიდან მაყურებელთან ინტერაქტიული ურთიერთობის საკითხს, რაც, ვფიქრობ, სატელევიზიო სივრცეში შექმნილი ხარისხიანი და ღირებული პროდუქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საილუსტრაციოდ კი მიმოვიხილავ რამდენიმე ისეთ სერიალსა და ფილმს, რომლებშიც წარმოჩენილია ის რეალური გლობალური პრობლემები, რომლებიც ხალხისთვის დამალულია, ან საზოგადოება თავად ხუჭავს მათზე თვალს. ასევე, გაგაცნობთ ანიმაციურ სერიალს, რომელმაც მომავალი იწინასწარმეტყველა.

სშირად, რთულია, დიდ აუდიტორიას ერთბაშად მიაწოდო შენი სათქმელი, ამიტომ საუკეთესო ხერხია აუდიო-ვიზუალური პროდუქტის საშუალებით მართლის თქმის პრინციპი და გულწრფელობა.

ია გოლიაძე

საქართველოს, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ქვეყნის საკითხი საზღვარგარეთ და ძირითადი შეფასებები

ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიოთ, თუ რა გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის 8 აგვისტოს ომმა. საკითხს განვიხილავთ საერთაშორისო სასამართლოს, ვენის კონვენციისა და ტალივანის კომისიის დასკვნის მაგალითზე. საკითხის გამოკვლევა მნიშვნელოვანია, რათა გამოვკვეთოთ თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, რა ძირითადი წინააღმდეგობები არსებობდა საქართველოსთვის საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა რუსეთის მხრიდან წამოსული ზეწოლის გამო და როგორ ცდილობდა რუსეთი საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველოს, როგორც დამნაშავეს წარმოჩენას. აღნიშნული თემის აქტუალობა განაპირობა აგვისტოს ომის გეოპოლიტიკურმა მოცემულობამ, ადამიანის უფლებების მასობრივმა დარღვევებმა და საფრთხეებმა, რომლებმაც საქართველოს სუვერენიტეტი საერთაშორისო სისტემაში საკითხის ქვეშ დააყენა. რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებები დაიგმო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ დანარჩენი სახელმწიფოები ნეიტრალურად, ან მშვიდად უყურებდნენ აგვისტოს ომს, დიდი სახელმწიფოები, ძირითადად, შემოიფარგლებოდნენ საქართველოსთვის მორალური მხარდაჭერის გამოცხადებით, თემის შესწავლისას გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საკითხში გაეროს მიერ დაფინანსე-

ბული კომისიები სუბიექტურ დასკვნებს აკეთებდნენ, მიზეზად გამოვლინდა რუსეთის უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობა.

საყურადღებოა ომის შემდგომი მდგომარეობა და თვით ქართული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს, როგორც ომგამოვლილი სახელმწიფოს საკითხის საერთაშორისო მასშტაბით აქტუალიზების საქმეში და მათი მცდელობები, მსოფლიოსათვის ეცნობებიან რუსეთის აგრესიის შესახებ საქართველოსთან მიმართებით. საბოლოო ჯამში, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი თუ საგარეო ინტერესები გარკვეულწილად უგულებელყოფილ იქნა და არც რაიმე ღირებული ნაბიჯი გადადგმულა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოს დასახმარებლად.

წარმოდგენილი მოხსენება ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, შეირჩა კოგნიტური კარტირება, რომლის დახმარებითაც გვეძლევა საშუალება შევისწავლოთ ცალკეული საერთაშორისო სპეციალისტებისა და მსოფლიო ლიდერების გამოსვლები, მათი განცხადებები და გამოვიტანოთ დასკვნები თუ რა დამოკიდებულებები ჰქონდათ მათ საქართველოსადმი აგვისტოს ომის პერიოდში. კონტენტ-ანალიზის დახმარებით შევძლებთ გავაკეთოთ გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, თუ რა გავლენა მოახდინა საბჭოთა რუსეთის ქმედებებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის საკითხში საერთაშორისო ასპარეზზე. საკითხის გამოკვლევისას გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული წყაროები სხვადასხვა სპეციალისტის მოსაზრებების გასაცნობად. საბოლოოდ, ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი იქნება განვაზღვოთ ძირითადი შეფასებები საზღვარგარეთ საქართველოსთან მიმართებით.

ნინო გორხელაშვილი

ბრძოლა ტახტისთვის XIII საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში

საქართველო XIII საუკუნის ბოლოს მონღოლების ქვეშევრდომი სახელმწიფო იყო და ფორმალურად ერთიან, თუმცა, ფაქტობრივად, დაშლილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მოხსენებაში მიმოვიხილავთ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არსებულ შიდა დაპირისპირებას, რაც ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებს (დავით VIII, ვახტანგ III) შორის ტახტისთვის ბრძოლაში გამოიხატა. შევეცდებით ავხსნათ რა იყო ამის ხელშემწყობი მიზეზები, გარე, დამპყრობელი ძალის მიერ იძულება, პირადი ინტერესები თუ ორივე ერთად.

ჩვენთვის საინტერესო მოვლენები დემეტრე II-ის შვილებს შორის ვითარდება. თავდაპირველად, თითქოს ჩანს, რომ მათ დაპირისპირებას მონღოლებმა შეუქმნეს საფუძველი, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დავით VIII ყაზან ყაენს არ დაემორჩილა, მონღოლებმა კი მის სანინააღმდეგოდ მისივე ძმა ვახტანგი გაამეფეს. მონღოლების მიზანი ნათელი იყო, ძმების დაპირისპირებით მაქსიმალური სარგებლის მიღების სურვილი. ჟამთააღმწერლის ცნობებზე დაყრდნობით, პროფ. ვაჟა კიკნაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ვახტანგ III-მ მონღოლთა მიზნები ვერ გაამართლა, რადგანაც „არა წინააღმდეგობოდა ძმასა თვისსა დავითს, რამეთუ იყო ყოვლითურთ სრულ“. მაგრამ, როდესაც დავითმა შეიპყრო ვახტანგი, მისი ჟინვალის ციხიდან გაქცევის მიზეზს იგივე ჟამთააღმწერელი ასე აღწერს: „ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა“. ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვები მოწმობს, რომ ვახტანგს პირადი ამბიციებიც ამოძრავებდა, მისთვის მიუღებელი იყო ძმის გავლენის ქვეშ ყოფნა. ამასთან დაკავშირებით, პროფ. დავით ნინიძე წერს: „მცირე სარჩომი“ არ აკმაყოფილებს ვახტანგ ბატონიშვილის გაზრდილ ამბიციებს“. მალე, ვახტანგი ურდოში წავიდა. პარალელურად, დავით VIII-ც საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძოდა, ის ხომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო.

ამდენად, საუკუნის ბოლოს ძმებს შორის დაპირისპირებას არა მხოლოდ უცხო დამპყრობლის ჩარევა, არამედ ბაგრატიონების ძალაუფლებისკენ მისწრაფებაც უწყობდა ხელს. ამ დროიდან იწყება პროცესი, რომელმაც, საბოლოოდ, მემკვიდრეობის პრინციპის დარღვევა გამოიწვია. მეფობა არა დემეტრეს უფროსი ვაჟის, არამედ უმცროსი ძის ხაზით გაგრძელდა.

მარიამ დიღმელიშვილი

გელხვიძეების საგვარეულო სალოცავი სოფელ ხანში

მოხსენებაში განხილული იქნება სოფელ ხანში მცხოვრები გელხვიძეების საგვარეულო სალოცავი, რომელიც ადგილობრივთა ყოფაში საგვარეულოს შეკვრისა და ერთიანობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოხსენება 2021 წლის საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც დადასტურდა, რომ სოფელ ხანში ტრადიციულად საგვარეულო სალოცავები აწესრიგებს ადგილობრივთა ყოველდღიურობას. ისინი, ერთი მხრივ, „ჩვენ ჯგუფის“- საკრალურ სივრცეს ნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის რელიგიური იდენტობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიმბოლოა. კოხინჯრობა ავდრის თავიდან ასაცილებელი რელიგიური სანესო დღეობაა, რომელსაც იმერეთში მაისის პირველ ორშაბათს აღნიშნავენ. სოფელ ხანში კოხინჯრობის სალოცავი ქვა-ნიშია, რომელიც გელხვიძეების სახნავ-სათეს მიწებთან მდებარეობს. სოფელი ხანის მოსახლეობამ ეს ადგილი დაახლოებით 40 წლის წინ აღმოაჩინა, 15-20 წელია, რაც მუდმივად აღნიშნავს გელხვიძეების გვარი კოხინჯრობის დღესასწაულს. ყოველწლიურად გელხვიძეების გვარიდან ორ ოჯახს მიჰყავს კოხინჯრობის სალოცავზე საღვთო შესანიერი ცხვარი და მოგვარეობთან ერთად ილოცებიან. „ჩვენ ჯგუფის“ შეკავშირების პროცესში ერთ-ერთი მთავარი მარკერი სიმბოლური ნიშნებია, რომლებიც როგორც

წესი, რელიგიური ტრადიციებითაა გამყარებული, გვარისთვის ერთობის განცდას განაპირობებს რელიგიურ აქტივობებში ჩართულობა. მოხსენება ეფუძნება ჩართული დაკვირვების, ინტერვიუების, მეორეული ანალიზის მეთოდების გამოყენებით მოპოვებულ ემპირიულ მასალას, რომელიც ცხადყოფს, რომ გელხვიძეების საგვარეულო სალოცავია რელიგიური იდენტობის დემარკაციის მარკერსა და კოხინჯრობის აღნიშვნის პრაქტიკას ქართულ ტრადიციულ ყოფაში.

სოფიკო დრიაშვილი

სიუჟეტური პარალელები „ამირანიანის“ ქართულ და ოსურ ვერსიებში

ქართულ-ოსურ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ორი ხალხის ფოლკლორი გენეტიკურ და ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს. ჩვენი ისტორიული მეზობლები ამირანიანის ეპოსს კარგად იცნობენ. ეს, პირველ რიგში, ლიახვის ხეობის ოსებზე ითქმის, რომელთა წარმოდგენით დასჯილი გმირი ბურტსაბძელაზეა მიჯაჭვული და გმინავს. შაჰ-ნამეს ხალხური თქმულებების მსგავსად, ამირანიანის წრის მოთხრობები ოსეთში საქართველოდან შევიდა. ამას მრავალი დეტალი ადასტურებს (ვასთირჯის - წმინდა გიორგის ხსენება, მზეთუნახავის სახელი - თამარი).

ოსური ვერსიები ერთგვარ შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ქართულ ამირანსა და ჩრდილოეთ-კავკასიურ ნართულ ეპოსს შორის. ჩემი კვლევის მიზანია დავადგინო, თუ რა საერთო და განსხვავებული სიუჟეტებია „ამირანიანის“ ქართულ და ოსურ ვერსიებში.

ამირანი სასწაულებრივად არის შობილი. მამა ხშირად მონადირეა, დედა მზეთუნახავი, მშობლები უცნობნი უნდა იყვნენ იმ საზოგადოებისთვის, სადაც ის მოხვდება. არც დედა და არც მამა შობის შემდეგ ცოცხალი აღარ რჩება. მამა თუ არ კვდება,

მაშინ უჩინარდება. ჩვენში გავრცელებულ ვერსიებში ახალშობილი უნდა გამოიშუშოს ჯერ ბატკნის, მერე ბოჩოლას ან დეკულის ფაშვში (კახური) და მერე კუროს ფაშვში (სვანური). „დარეჯანიანთ“ ამირანს კი დაბადებისთანავე გადაისვრიან ზღვაში, სადაც დედის ნათესავები („დონბეთირები“) პატრონობენ.

ქართულ ვერსიებში ამირანი ქრისტეს ნათლულია, ოსურში კი ღმერთთან სისხლით ნათესაობა აკავშირებს (დედამისი - მარია ღვთის ძმისწულია). ამირანი ინიციაციას გველემშაპის მუცელში გადის. წრთობის მოტივი ერთ ოსურ ვარიანტში გაძლიერებულია იმით, რომ ამირანი ზეციურ მჭედლებთან მიდის, მათ ქურაში გამოიწრობა, რაც ოსური ნართების ეპოსის გავლენით აიხსნება.

მითოსური თვალთახედვით, ამირანი ყოველწლიურად კვდება და კვლავაც ცოცხლდება. მიჯაჭვულ ამირანს მიჩენილი ჰყავს გოშია (ყურშა). ქართულ ვერსიებში ის ორბის/ყორნის შვილია. ფრთოსანი ძალღი პირდაპირ კავშირშია გრიფონებთან „ზევსის უყეფარ ძალღი ფასკუნჯებთან“. მტაცებელი ფრინველი „ფაშკუნძი“ ჩანს ოსურ ვერსიებშიც. ის საფრთხეს უქმნის ამირანს და მის ძმებს.

ოსურ ვერსიებში არსად გვხვდება მკვდართან შეხვედრის სიუჟეტი, რომელიც უაღერსად მნიშვნელოვანი ეპიზოდია გმირის ცხოვრებაში, რადგან საქართველოში ჩანერილი ვარიანტების მიხედვით, გარდაცვლილი ამბრი არაბი ამირანს განსაცდელს მოუვლენს. სწორედ მასთან შეხვედრა ჩათესავს გმირში შურისა და სასოწარკვეთილების თესლს, რომელიც შემდეგ ჰუბრისის ნაყოფს აღმოაცენებს.

სალომე ერისთავი

მასობრივი კრიზისი და ხელოვნება: ჟან დებუფე

ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ მასობრივი კრიზისების დროს, ვიზუალური ხელოვნება „საკუთარ მხრებზე“ იტევს კაცობრიობის ტანჯვასა და ცდილობს ახალი მხატვრული ფორმითა თუ შინაარსით უპასუხოს არსებული სინამდვილით და გაურკვეველი მომავლით შეშფოთებული ადამიანების განცდებს. საინტერესოა, როგორ უპასუხებს თანამედროვე ვიზუალური კულტურა დღევანდელი გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეულ კრიზისს?

ამ კონტექსტში, მოხსენებაში გაანალიზებული იქნება პირველ და მეორე მსოფლიო ომების შუალედში, ვიზუალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები, როდესაც დაძაბულმა პოლიტიკურმა ფონმა და ტკივილმა, რომელიც ომის მასობრივ ადამიანურ მსხვერპლს მოჰყვა, მოსახლეობაში მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმები გამოიწვია, რამაც ევროპის ფსიქიატრიული საავადმყოფოების გადატვირთვა განაპირობა. საყურადღებოა, რომ სწორედ ეს სამკურნალო დაწესებულებები გადაიქცა იმ დროის ვიზუალურ ხელოვნებაში ახალი ეტაპის შექმნის ეპიცენტრად და ე.წ. „აუტსაიდერ არტის“ დაბადების წინაპირობად.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფრანგი ხელოვანის, ჟან დებუფეს შემოქმედება, რომელიც ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის წარმოქმნილი ახალი ვიზუალური სამეტყველო ენის ფორმირების პროცესში. ერთი მხრივ, მისი ნამუშევრები უკავშირდება პირველი მსოფლიო ომის დროს მენტალურად დაავადებულთა მიერ შექმნილ ხელოვნებას. მეორე მხრივ, მხატვარი შემოქმედებითი პროცესით ცდილობს პასუხი გასცეს მის თანადროულობას - მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისით განპირობებულ პრობლემებს.

მოხსენებების მიზანია აჩვენოს, როგორ იქმნებოდა ჟან დე-ბუფეს განსხვავებული მხატვრული სამეცნიერო ენა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დასავლურ ხელოვნებაზე. ასევე, გამოავლინოს მასობრივი კრიზისების უშუალო ზეგავლენა ვიზუალურ ხელოვნებაზე და დააკავშიროს ეს პროცესი დღევანდელი გლობალური პანდემიური კრიზისით განპირობებულ მოსალოდნელ ცვლილებებთან XXI საუკუნის ხელოვნებაში. ამ კონტექსტში, მოხსენებაში განიხილული იქნება თანამედროვე ქართული ხელოვნების ზოგიერთი საინტერესო ასპექტი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჟან დებუფეს შემოქმედებას. კერძოდ, გოგი ალექსი-მესხიშვილისა და ზურა აფხაზის 2020-2021 წლების ექსპოზიციებზე წარდგენილი ნამუშევრები, რაც საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ თანამედროვე ქართული ხელოვნების ურთიერთმიმართება მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან.

ლუკა ვიშტეკალიუკი

ამბის თხრობის დრამატურგია სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“

იდეის ავტორი და სცენარისტი, ქეთი დევდარიანი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ გადმოსცემს დღევანდელ, და არა მხოლოდ დღევანდელ, სიტუაციას ქვეყანაში, პოლიტიკაში, სამეგობრო წრეებში, ოჯახებში და ა.შ. მთელი სერიალის განმავლობაში ვხვდებით ისეთ დრამატურგიულ დეტალებს, როგორებიცაა, მაგალითად, კვანძის გახსნა, კონფლიქტის გამოჩენა და ჩამოყალიბება, თითოეული პერსონაჟის ცხოვრების ეპიზოდის დრამატურგიული სიმაღლეები, რაც პერსონაჟის ტრავმასა ან სიხარულზეა დამოკიდებული. ასევე, ხშირია სხვადასხვა პერსონაჟის ისტორიის ერთმანეთში არევა, რაც წარმოშობს კონფლიქტს და სერიალს მეტად საინტერესოს ხდის. რა თქმა უნდა, სერიალში ხშირად ვხვდებით დრამატურგიულ ჩავარდნე-

ბს, დაუმთავრებელ ისტორიებს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე პერსონაჟების სიკვდილს, მათ ეკრანიდან გაქრობას და ისტორიის დაუსრულებლობას. აღნიშნული დრამატურგიული ჩავარდნების შემდეგ სერიალს საგრძნობლად მოაკლდა რეიტინგი სატელევიზიო სივრცეში, თუმცა დღევანდელ ბაზარზე უკეთესი სერიალის არარსებობის გამო, მაყურებელი მალევე დაუბრუნდა ამ სერიალს.

ლელა ზვიადაური

ინგლისური ლექსიკური ერთეულების „OPEN“/
„CLOSE“ და მათი ქართული კორელატების
„გაღება/დახურვა“ სემანტიკური და
ეტიმოლოგიური ანალიზი

ნაშრომში განხილულია ინგლისური ლექსიკური ერთეულები „open/close“ და მათი კორელატები ქართულ ენაში, როგორიცაა „გაღება/დახურვა“, ასევე, ზედსართავი ფორმები „ღია/დახურული“. განხილულია ეტიმოლოგიისა და სემანტიკის საკითხი, სხვადასხვა (კონოტაციური) მნიშვნელობები და მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ნაშრომში, ასევე, წარმოდგენილია ამ ძირებიდან ნაწარმოები (დერივატები) და შედგენილი სიტყვები, ანდაზები და იდიომები, რომლებშიც ეს ლექსიკური ერთეულები გამოიყენება, ასევე მათ ნათელსაყოფად მოყვანილია საილუსტრაციო მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან და მხატვრული ლიტერატურიდან.

ნაშრომის ემპირიული მასალა მოპოვებულ იქნა ინგლისური ლექსიკონიდან („Oxford English Dictionary on Historical Principles“, 1993.) და სხვადასხვა ონლაინ ავტორიტეტული ლექსიკონებიდან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ ენაში open, ანუ გაღება პირველ რიგში ნიშნავს დაკეტილის გახსნას, როგო-

რც ეს ინგლისურ ენაში გვაქვს, ასევე ქართულ ენაში გვხვდება მნიშვნელობით გახსნა, მოწყობა (დანესებულების), მაგ., მაღაზიის გახსნა, რაც ასევე შეესაბამება ინგლისურ open up shop. ქართულ ენაში „გაღება“ გვხვდება შემდეგი მნიშვნელობებითაც: ხმის გაღება, თანხის გაღება, რაც ინგლისურ ენას არ აქვს.

რაც შეეხება სიტყვას close, ქართულში, როგორც ინგლისურში ნიშნავს დახურვას, გადაკეტვას, მუშაობის შეწყვეტას. თუმცა გვაქვს განსხვავებული მნიშვნელობითაც, მაგ., ქართულში დაკეცილი წიგნი, ინგლისურ closed book-ს არ შეესაბამება.

ნინა ზიგერ

პოლიტიკური სოციოლოგია და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ახალი დემოკრატიის ქვეყნებში

პოლიტიკური სოციოლოგია არის კვლევის ინტერდისციპლინური სფერო, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ძალაუფლება და ჩაგვრა საზოგადოებაში ანალიზის მიკრო და მაკრო დონეზე. ეს სფერო XX საუკუნის 30-იან, 50-იან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც სოციალური მეცნიერებების სპეციფიკური დარგი. როგორც ზოგადად სოციოლოგია, პოლიტიკური სოციოლოგიაც, ძირითადად, საზოგადოების გაუმჯობესებისათვის არსებობს. საჭიროა პოლიტიკური სისტემის გაგება, ვინაიდან ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, ჯერ უნდა შევიმცნოთ ძალაუფლების მქონე ჯგუფები და ის, თუ როგორ იყენებენ ისინი თავად ძალაუფლებას.

თუ გამოვიყენებთ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის მიდგომას, შესაძლებელი იქნება, რომ უფრო ზუსტი, რაციონალური და სისტემური პოლიტიკა იწარმოებოდეს. მტკიცებულება არის არგუმენტთა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ ფაქტის არსებობას, რაიმე მოქმედების ჩადენას თუ რომელიმე ტიპის მოქმედებას ასაბუთებს და ა. შ. პოლიტიკურ

საქმეებში მტკიცებულება არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პოლიტიკოსს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებასა და კონკრეტული, რეალისტური შედეგების მიღწევაში უწყობს ხელს.

პოლიტიკის წარმოება და განხორციელება ცვალებად გარემოში ხდება, რომელიც ხშირად პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების არენად იქცევა, სადაც მაღალი ზეგავლენის მოხდენის დიდი ალბათობა არსებობს. ამიტომ, საჭიროა, ისეთი სისტემის შემუშავება სახელმწიფოში, რომლითაც შესაძლებელი იქნება პირადი ინტერესებითა და პოლიტიკური იდეოლოგიით ნაკარნახევი გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილება. ასეთი პრობლემების კვლევისას ხშირად მხოლოდ ემპირიულ მონაცემებს ეთმობა ყურადღება. ეს კი მთლიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ალბათობა იმისა, რომ პრაქტიკული ცოდნა და მოქალაქეების აზრები ღირებული ინფორმაციის წყაროდ გადაიქცევა, ნულია.

საქართველოში ერთ-ერთი მართველობითი ორგანოა - „ადგილობრივი თვითმმართველობა“, რომელიც შემოღებულია 1998 წლიდან. „ადგილობრივი თვითმმართველობა“ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებებსა და შესაძლებლობებს გულისხმობს. მისი ფუნქციაა, საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი კანონის ფარგლებში მოაწესრიგოს და მართოს. ეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

დღეისათვის დემოკრატია უმრავლესობის მმართველობის სისტემას, ქვეყნის მართვაში მოსახლეობის ფართო გემების უშუალო ჩართვასა და საყოველთაო არჩევნების გზით პარტიული კონკურენციის ფორმასაც შეიძლება გულისხმობდეს. სახელმწიფოს მართვის ასეთი ფორმა მოქალაქეებს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ მართვის პროცესში ეფექტურად ჩაერთონ, აგრეთვე უნდა შეძლონ, მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის დღის წესრიგში დასმა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება გარკვეულ საკითხზე. მოქალაქეებმა უნდა მიიღონ სრული ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისაგან და იქონიონ გავ

ლენა მათზე. ირაკლი ზუკაკიშვილი

XX ს-ის მეორე ნახევრის დასავლეთის
სამუზეუმო არქიტექტურის ინტერვენცია
ქალაქის ურბანულ ქსოვილში: ისტორიული
და პოლიტიკური კონტექსტი

XXI საუკუნის თბილისის ურბანულ ქსოვილში, სამუზეუმო არქიტექტურის რადიკალური ინტერვენცია მოხდა: იტალიელი არქიტექტორის, მასიმილიანო ფუქსასის პროექტის მიხედვით, რიყის პარკში შესრულებულმა თეატრის, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზისა (2009-2010) და არჩილ და გიორგი (უმცროსი) ქურდიანების პროექტის მიხედვით განხორციელებული ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის (2018) არქიტექტურამ, საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ორივე შემთხვევაში, დისკუსიის მთავარი საკითხი, ამ ნაგებობათა ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობის კონტექსტში განხილვა აღმოჩნდა. თუმცა, ამ დისკურსში, ნაკლები ყურადღება მიექცა იმ მიზეზების ანალიზს, რომელთაც განაპირობებს ასეთი ჩანართის შესრულება ქალაქის ისტორიულ და ცენტრალურ ნაწილებში.

მოხსენების მიზანია, აღნიშნული პრობლემის თანამედროვე დასავლეთის გამოცდილების კონტექსტში განხილვა. კერძოდ, XX საუკუნის 50-70-იანი წლების სამუზეუმო არქიტექტურაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი ნიუ-იორკის ფრენკ ლოიდ ვრაიტის გუგენჰაიმის მუზეუმისა (1959) და პარიზის რენცო პიანოსა და რიჩარდ როჯერსის ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრის (1971-1977) მაგალითზე. გაანალიზებული იქნება ამ პერიოდის ამერიკასა და ევროპაში მიმდინარე ისტორიული და პოლიტიკური პროცესები და ახალი სამუზეუმო არქიტექტურის მიმართება თანადროულ მოვლენებთან.

ნინო თელიაშვილი

ინგლისური ლექსიკური ერთეულის Wit ეტიმოლოგიასა და სემანტიკისათვის

მოცემული ნაშრომი განიხილავს თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებული ლექსიკური ერთეულის -Wit (რომელიც გვხვდება არსებითისა და ზედსართავის სახით) ეტიმოლოგიასა და სემანტიკას. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგია და ისტორიული ლინგვისტიკა. ემპირიული მასალა მოპოვებულია ინგლისური ენის სხვადასხვა ავტორიტეტული ლექსიკონიდან, აგრეთვე ინგლისურენოვან ინტერნეტწყაროებიდან.

ნაშრომზე მუშაობის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: თანამედროვე ინგლისურში Wit სიტყვა ნამდვილად გამოირჩევა სემანტიკური მახასიათებლების მრავალფეროვნებით, პროტო-ინდოევროპულ ენაში მოცემულ ერთეულს ჰქონდა უშუალოდ „ხედვის“ მნიშვნელობა, ამ უკანასკნელმა განიცადა მეტამორფოზა და თანამედროვე ინგლისურში ფიზიკური ხედვის მნიშვნელობიდან გადავიდა მენტალური ხედვის მნიშვნელობაზე. მან შეიძინა ასევე გონებამახვილობის, მახვილგონიერების მნიშვნელობები. ასევე სიტყვა „ცოდნამ“ განიცადა ტრანსფორმაცია და მიიღო „უნარის“ შინაარსი, ასე რომ, დღესდღეობით აღნიშნულ ერთეულს ინგლისურ ლექსიკონებში ვხვდებით, როგორც გონიერების, ქვუისა და მახვილგონიერულობის განმარტებით, ეს უკანასკნელი კი სპეციფიკურად ინგლისურ კულტურასთან ასოცირდება.

მარიამ თხიზალელი

ანგეო-გეოფაღის საზიარო ფორმების მეორე გოგიერთი ზმნის შესახებ თანამედროვე ქართულში

ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლამ განაპირობა ზოგიერთი ცვლილება: დროის მიხედვით ერთმანეთს დაუპირისპირდა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, მაგრამ ზოგიერთი ზმნა ზმნისწინით არ გამოიყენებოდა და დაემთხვა ანმეოსა და გეოფაღის ფორმები. ანმეოს წრის „ცარიელი ადგილების“ შესავსებად რამდენიმე ზმნამ I სერიაში ფუძედ ვნებითი გვარის მიმღეობა გამოიყენა და მივიღეთ ახალი ტიპის ზმნები, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „მიმღეობითს“ უწოდებენ (ა.შანიძე). როგორც ცნობილია, ენაში მიმღეობური წარმოება გაუჩნდა იმ ზმნებსაც, რომლებსაც ანმეოსთან კავშირი არ გაუწყვეტია და გაჩნდა პარალელური ფორმები. ესენია ღებულობს, გებულობს, ფიცულობს, მატულობს, კლებულობს, თხოულობს, ყიდულობს, ნახულობს, პოულობს, კითხულობს, კადრულობს და სხვა ზმნები. ზმნების ერთმა ჯგუფმა კი (უპასუხებს, უსაყვედუხებს, უკაჩნახებს, უპაგაკებს...) ანმეოსა და გეოფაღში საზიარო ფორმები გამოიყენა.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ენათმეცნიერთა მოსაზრებები გებულობს და პასუხობს ტიპის ზმნათა პარალელურ ფორმათა წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით (ვ. კალანდაძე, ზ. ქუმბურიძე და სხვ.); შევისწავლოთ მათი მართებული ფორმები სხვადასხვა ორთოგრაფიულ ლექსიკონში, მოვიძიოთ პარალელურ ფორმათა გავრცელების სტატისტიკური მონაცემები ქართული ენის ენობრივ კორპუსში, უპირატესად გამოყენებული ფორმები - სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ გებულობს - იგებს, პასუხობს - უპასუხებს ტიპის ზმნათა პარალელური ფორმები გასამიჯნია, რაც დასტურდება ქართული ენის

ეროვნული კორპუსისა და სასაუბრო მეტყველების მონაცემებითაც. ამის სასარგებლოდ მეტყველებს სტატისტიკა და ენის ტენდენცია, რომ თავიდან ავიცილოთ ომონიმია ანმეოსა და მყოფადის ფორმებს შორის.

ირაკლი თხილაიშვილი

ნოვგოროდის რესპუბლიკა, დეკაბრისტები და კოზირევის ლოქტრინა, როგორც მემორე რუსეთი

ძველ რუსეთში სახელმწიფო კოლეგიალურ კრებას და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სხვადასხვა ქალაქში ვეჩე წარმოადგენდა. დემოკრატიული ნიშნების მქონე უძველესი ინსტიტუცია, განსაკუთრებულად ნოვგოროდის რესპუბლიკაში განვითარდა, სადაც მთავარი ვეჩეს გარდა ჩამოყალიბდა „ქუჩის ვეჩეებიც“, რაც ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობას უზრუნველყოფდა. ნოვგოროდის, ფსკოვის და სხვა თავისუფალი ცენტრების პარალელურად, შეიქმნა, გაძლიერდა და სრული ძალაუფლება მოიპოვა მოსკოვის სამთავრომ, რომელმაც, ნაცვლად ძველი კიევის და სლავური ცივილიზაციის ტრადიციისა, ხატად მონღოლთა ადმინისტრაციული მმართველობის წესი არჩია. სისასტიკემ, ძალადობამ, შიშმა, ხშირად ღალატმა რუსული სამთავროები მოსკოვს დაუმორჩილა, თუმცა ყოველთვის არსებობდნენ ჩრდილოეთ სლავებში ადამიანები, რომლებიც სხვა ცივილიზაციურ არჩევანს აკეთებდნენ და იდეებს ეწირებოდნენ.

ნაპოლეონის არმიის დამარცხების შემდეგ, ბევრმა რუსმა ოფიცერმა ევროპაში თავისუფლება შეიგრძნო და აზროვნების დასავლურ ფორმულას ეზიარა. თავადაზნაურთა წრიდან გამოსულმა ახალგაზრდა სამხედრო პირების გარკვეულმა ნაწილმა რუსეთის შეცვლა გადაწყვიტა; მათ ისტორია „დეკაბრისტების“ სახელით იცნობს. რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ დეკაბრისტებმა გადაწყვიტეს რუსეთის მოდერნიზაციისათვის

უდანაშაულო მოქალაქეები არ შეეწირათ, გარისკეს და სიცოცხლით აგეს პასუხი, თუმცა დაბადეს იდეა და ერა, შედასავლეთე ინტელექტუალების უდიდესი მიმდინარეობა, რომელიც ისტორიაში კვლავ იტყვის საკუთარ სიტყვას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა ხელისუფლებას ახალი გეოპოლიტიკური დოქტრინა შესთავაზა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოდერნიზაციის, ქეშმარიტად დასავლური ტიპის სახელმწიფოდ გარდაქმნისათვის, იმპერიული მიზნების უარყოფას და დამპყრობლური პოლიტიკის დაგმობას ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, კოზირევმა და მისნაირმა პროგრესულმა პოლიტიკოსებმა ევროატლანტიკური სივრცის დროული მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს და, საბოლოოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რუსული სამხედრო ელიტის მსხვერპლად იქცნენ.

მეორე რუსეთი – ცივილიზაციური არჩევანია, რომელიც ნოვგოროდელებმა, დეკაბრისტებმა, დევნილმა თანამედროვე რუსმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა გააკეთეს და დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ანა ივანაშვილი

გმირის სახის ევოლუცია „ამირანიანის“ ვარიანტების მიხედვით

მოხსენებაში განხილულია „ამირანიანის ეპოსის“ ვარიანტები. საუბარია ტექსტებში არსებულ მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებზე. აღნიშნულია, რომ ეპიკური გმირის ბიოგრაფიაში გვხვდება რამდენიმე საყურადღებო დეტალი, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მის ხასიათზე, ინდივიდუალიზმსა და, ზოგადად, სახის ევოლუციაზე.

ვარიანტების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ ამირანიანისთვის ღმერთის გამონჭვევა საბედისწერო აღმოჩნდა,

თუმცა ჰუბრისის ნიშნები თავიდანვე შესამჩნევია. გმირი ცდილობს აღკვეთოს ის, რაც მის გამორჩეულობას ეჭვქვეშ დააყენებს. ერთი სვანური ვარიანტის მიხედვით (N179), უარყოფს უფლის სახელით დადებულ პირობას და კლავს ანდრერობის ძეს, რომელმაც შესაძლებელია, მომავალში ღონით აჯობოს. ამბრი არაბთან განცდილი მარცხის შემდეგ ამირანის ბნელში ყოფნა დასტურია იმისა, რომ გმირისთვის მნიშვნელოვანია მისი ძალა არაფერმა დააკნინოს.

ღვთის ნათლული ამირანი თავდაპირველად ბოროტების აღკვეთას ახმარს ღონეს, მოგვიანებით კი ეს ძალის დემონსტრირების ან განდიდებისთვის ბრძოლის სახეს იღებს. საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებული გმირი არ კლავს ბოროტების უდიდეს განსახიერებას - დევს ან მისგან დარჩენილ სამ ქიას, ვინაიდან არც მომავალში მოელის საფრთხეს.

გამორჩეულობის შეგრძნებას ამირანი ბოლოს ყველაზე დიდ სიკეთესთან - უფალთან ბრძოლამდე მიჰყავს. გვხვდება ვარიანტები, სადაც გმირი მიგვანიშნებს, ან პირდაპირ ამბობს, რომ სიცოცხლეც კი არ უნდა, თუ ვინმე აჯობებს. მისი ბედის ტრაგიზმს ისიც ამძაფრებს, რომ სამუდამო სიცოცხლე აქვს მისჯილი და აღარც ძალის გამოყენება შეუძლია.

საყურადღებოა, რომ ეპოსის ზოგიერთ ვარიანტში შეინიშნება ჯადოსნური ზღაპრისთვის დამახასიათებელი თხრობა, ამირანის დადებით გმირად წარმოჩენის ტენდენცია და მისი თავგადასავლის სრულიად ახალი ნიუანსები. აღნიშნული ტექსტები ავსებს ერთმანეთს და წარმოაჩენს გმირის სახის ევოლუციას.

ლიანა იმერლიშვილი

„ქვიარ“ ესთეტიკის სათავეებთან: სესილ ბიტონის ფოტოგრაფია

„ბალენსიაგას“ სახლის კრეატიული დირექტორის, დიზაინერ დემნა გვასალიას მიერ, 2021 წლის კოსტუმის ინსტიტუტის გალაზე (Met Gala) ამერიკელი „სელებრიტის“ - კიმ კარდაშიანისთვის კონცეპირებულმა სამოსმა, რომელშიც მსახიობი და მოდელი შენიღბული სახითა და სიურეალისტური სილუეტით იქნა წარმოდგენილი, მაყურებელზე შოკური ზეგავლენა მოახდინა. გვასალიას ეს კოსტიუმი, თითქოს ერთგვარი პასუხია თანამედროვე პანდემიური მსოფლიოს მდგომარეობაზე, რომელმაც ზღვარი წაშალა რეალურსა და ირეალურს, ცხადსა და დაფარულს შორის.

დემნა გვასალიას კონცეფციაში, ყველაზე საყურადღებო, საყოველთაოდ ცნობადი სახის (კიმ კარდაშიანი) ვუალიზირებულად წარდგენილი იდენტობა აღმოჩნდა. თუმცა, მოდის სამყაროში, ასეთი დუალიზმი და ამბივალენტურ ფორმათა სინთეზი ახალი მოვლენა არ არის და მის გენეზისს, XX საუკუნის 30-იანი წლების ამერიკაში გადავყავართ, როდესაც იწყება „სელებრიტი“ ფენომენისა და მასთან პირდაპირ კავშირში მყოფ „ქვიარ“ ესთეტიკის ჩამოყალიბება. ამ კონტექსტში, გასაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინგლისელი მოდის ფოტოგრაფის, სესილ ბიტონის (1904-1980) შემოქმედება.

მოხსენების მიზანია, თანამედროვე პერსპექტივიდან განიხილოს ბიტონის მიერ ჟურნალ „ვოგისთვის“ 1920-30-იან წლებში შექმნილი ფოტო ნამუშევრების სერია და გააანალიზოს, თუ რამდენად განაპირობებდა ფოტოგრაფის მიერ შეჩეულ არტისტულ კონცეფციას, ნამუშევართა ამბივალენტურ ხასიათსა და მათზე გამოსახული „სელებრიტების“ დუალურ იდენტობას თანადროული დასავლეთის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი.

მარიკა ირემაძე

ლორჯომის თემის (ზემო აჭარა) ეთნოგრაფიული მიმოხილვა

ლორჯომის თემი მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს, შედგება 17 სოფლისაგან, სადაც, დაახლოებით, 850 კომლი ცხოვრობს.

ლორჯომის თემს ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი ეთნოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა მუდამ იყო ქართველ ეთნოლოგთა ინტერესის სფერო.

კვლევის მიზანი: ლორჯომის თემის თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფის წარმოჩენა.

კვლევის მეთოდოლოგია: სავსე ეთნოგრაფიული კვლევის დროს გამოვიყენე აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდი (კომპლექსურ-ინტენსიური) და შევეცადე აღმენერა ლორჯომის თემის ყოფა და კულტურა. მოძიებული მასალა შევადარე უკვე არსებულ საისტორიო წყაროებსა და ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას, რის შემდეგაც გამოვლინდა ლორჯომის თემის ამჟამინდელი ვითარება და სხვადასხვა ნოვაციური ელემენტები, ანუ წარმოჩინდა გარკვეული ტრანსფორმაციული პროცესი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ლორჯომის თემის დემოგრაფიული სურათი და მიგრაციის პრობლემები, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, მეურნეობის ძირითადი დარგები (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება), შინამრეწველობის ცოცხალი ფორმები, რელიგიური (ლორჯომის მეჩეთი, ვანაძეების ეკლესია), საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ლოკალური თავისებურებანი, რელიგიური ვითარება, ქორწინებისა და დაკრძალვის ტრადიციები.

აღვწერე რელიგიური დღესასწაულებისა და რიტუალების ხალხური ვარიაციები („ყურბა-ბაირამი“, „რამაზან-ბაირამი“ და „სამთვეულის დასაწყისი“).

მეგი კაზიშვილი

„სულთა გრადაციისა“ და სიყვარულის საკითხი ვასილ ბარნოვის მოთხრობებში

ვასილ ბარნოვი XIX-XX საუკუნის ქართველი მწერალია. მისი შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანია. ტექსტებში ვლინდება ავტორის მსოფლმხედველობა. ამ მსოფლმხედველობიდან გამოვყოფთ ორ საკითხს, სულთა გრადაციისა და სიყვარულის თემას, ისინი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მათ წარმოსაჩენად განვიხილავთ ოთხ მოთხრობას: „ტკბილი დუდუკი“, „ყვავილებში“, „სარო მეტყველი“, „სული მთვლემარე“.

„ტკბილი დუდუკი“ მიხასა და ქეთეთოს სიყვარულის შესახებ გვიაშკობს. აქ მიხა ის პერსონაჟია, რომელსაც ახსოვს წინა ცხოვრება, იმ ცხოვრებაში ქეთეთო მისი მეუღლე იყო. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ქალზე, მისთვის სრულიად უცხოა ვაჟი. თუმცა, საბოლოოდ, სული მაინც გადალახავს ამ სიუცხოვეს და მტკიცდება სიყვარულის მარადიულობის იდეა.

„სარო მეტყველი“ ახალგაზრდა ბატონის, ადარნესეს, შესახებ მოგვითხრობს. მასაც, მიხაკოს მსგავსად, სწამს, რომ თუ თავის სიყვარულს შეხვდება, მას აუცილებლად იცნობს. ადარნესე ვერ აღმოაჩენს მას ადამიანში, მაგრამ იპოვის მცენარეში, სწორედ აქ „დაუვანია სულ“, რომელსაც გრძნობს და სცნობს გმირი.

„ყვავილებში“ გვიჩვენებს ახალგაზრდა ქალის, ბაბუცას, ცხოვრებას. იგი ფიზიკური ნაკლით გამოირჩევა. მას კუბი ტანჯავს. ნელ-ნელა ქალი იხსენებს წინა ცხოვრებას და აანალიზებს, რომ სიყვარულის უარყოფის გამო ისჯება.

„სული მთვლემარე“ გიგოლასა და მაროს შესახებ გვიყვება. ეს მოთხრობა გადმოგვცემს, როგორ პოულობს სული თავის დანიშნულებას ამ ქვეყნად და რას ნიშნავს „ქვე რონინი“ და „ზეასვლა“. ეს მოთხრობა ყველაზე მკაფიოდ, თეორიულად გადმოგვცემს ბარნოვის მსოფლმხედველობას.

მოთხრობების გაცნობის შემდეგ უკეთ გავიგებთ რას ნიშნავს სულთა გრადაციის თემა და დავინახავთ რას ემყარება ბარნოვის მსოფლმხედველობა. ასევე, ნათელი გახდება თუ რამდენად ძლიერია სიყვარული და როგორ განსაზღვრავს ის მწერლის შემოქმედებას.

მარიამ კაკალაშვილი

კაენის ბიბლიური პერსონაჟის ინტერპრეტაცია მიგელ დე უნამუნოსა და ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებაში

ჩემი საკონფერენციო ნაშრომის მთავარი მიზანია, შედარებითი ანალიზის საფუძველზე განიხილოს კაენისა და აბელის ბიბლიური სიუჟეტის შთაგონებით შექმნილი თანამედროვე ლიტერატურის ორი ნაწარმოები და მათი პროტაგონისტები: ესპანელი მწერლისა და ფილოსოფოსის მიგელ დე უნამუნოს „აბელ სანჩესი, ერთი ვნების ამბავი“ (1917) და დიდი ინგლისელი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის „კაენი, მისტერია“ (1821).

მიგელ დე უნამუნოს ნაწარმოებში კაენის პროტოტიპს ნაწარმოების მთავარი

გმირი, ხოაკინ მონეგრო განასახიერებს. თავად ბიბლიური სიუჟეტი კი

გადამუშავებულია და ავტორის თანამედროვეობასაა მორგებული. რაც შეეხება

ბაირონის პოემას, იგი თავად ბიბლიურ სიუჟეტზეა აგებული, მასვე განავრცობს და ცდილობს კაენის პერსონაჟის ყოველი ქმედება გაამართლოს.

ხოაკინ მონეგროს პერსონაჟზე სწორედ ბაირონის „კაენი“ მოახდენს უდიდეს

ზეგავლენას და პერსონაჟს რადიკალური გადაწყვეტილებებისაკენ უბიძგებს.

თანადროულად, ხოაკინი თავის საინტერესო მოსაზრებებს გვიმხელს ბიბლიურ კაენზე, რომელთანაც საკუთარ მსგავსებას ხედავს, ამავედროულად კი მასში რწმენის ნაპერწკალი ისახება უღმერთო ბაირონის წყალობით. ყოველივე კი ქრისტიანობაში ადამიანის მიერ ადამიანის პირველი მკვლელობის ირგვლივ ტრიალებს.

პროტაგონისტებში „მკვლელის არქეტიპის“ აღმოსაჩენად, საჭიროა რამდენიმე

უმნიშვნელოვანესი კომპონენტი განვიხილოთ: გარემო, რომელშიც მოქმედება

მიმდინარეობს, პროტაგონისტების მატერიალისტური მისწრაფებები, დამოკიდებულება ოჯახის მიმართ, მათი შთამომავლობა და დასასრულს, ავტორების ჩანაფიქრი. ამ კომპონენტების შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ დავინახავთ მსგავსებებსა და განსხვავებებს მთავარ პერსონაჟებსა და ბიბლიურ კაენს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ ჩავწვდეთ ნაწამოებების არსს და ავტორისეულ ჩანაფიქრს. ბიბლიური სიუჟეტი იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რასაც ხელოვნების უამრავ სფეროში ვაწყდებით. სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციების მაგალითებია მიგელ დე უნამუნოს აბელ სანჩესი და ჯორჯ ბაირონის კაენი.

ანასტასია კალანდაძე

ბერძნული მითოლოგიით ინსპირირებული არქეოლოგიური არტეფაქტი და საბალეტო პერფორმანსი ქართული ცივილიზაციის კონტექსტში

2001 წელს, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე გამოვლენილ ახ. წ. III-IV საუკუნეების სამარხში, აღმოჩნდა საწერი მონუმენტობა, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ვერცხლის კაღები, ვერცხლის პენალი კაღმებისთვის, რომელიც შემკულია ცხრა მუზის მოოქროვილი რელიეფული გამოსახულებებით, ოქროს სამელნე, რომელიც გაფორმებულია ჰომეროსის, დემოსტენესა და მენანდრეს ვერცხლის მინიატურული ფიგურებით და ოქროს ჭვირული ფირფიტით, რომელზეც ბერძნულენოვანი წარწერაა შესრულებული.

ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქში აღმოჩენილ საწერ მონუმენტობას ანალოგი არ მოეპოვება და მისი ღრმად გააზრებული იკონოგრაფიული პროგრამა ზუსტადაა მორგებული საწერი მონუმენტობის ფუნქციას. საქართველოში აღმოჩენილ თანადროულ საწერ ხელსაწყოებთან ერთად, რომლებიც მცხეთაშია კონცენტრირებული, საწერი მონუმენტობის ეს კომპლექტი მოწმობს, რომ ახ.წ. III-IV საუკუნეებში ქართლის სამეფოს დედაქალაქში არსებობდა ყველა წინაპირობა ეროვნული დამწერლობის შესაქმნელად, რომლის რეალური საჭიროება ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირდება.

საინტერესოა, რომ მცხეთის საწერი მონუმენტობის უნიკალურ იკონოგრაფიულ პროგრამას მუზეუმის გამოსახულებით, გარკვეულწილად, ეხმიანება XX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი-ქართველი ქორეოგრაფის, ჯორჯ ბალანჩინის 1928 წელს, პარიზში, კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის მუსიკის მიხედვით განხორციელებული ინოვაციური საბალეტო დადგმა „აპოლონ მუსაგეტი“ (აპოლონი და მუზები).

მოხსენებების მიზანია, განიხილოს თუ როგორ მიმართება-
შია ერთმანეთთან ორი სრულიად განსხვავებული ეპოქისა და
განსხვავებული მხატვრული მედიუმის არტისტული კონცეფ-
ცია, რომელთა პირველწყაროს ბერძნული მითოლოგია წარმო-
ადგენს და რომელთა ასოცირებაც საქართველოსა და ქართულ
კულტურასთან ხდება.

საბიანა კაჭარავა **ანი ბაღდადაშვილი** **ლალი ნარიკაშვილი**

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა **ქართულ ლიტერატურაში და მისი მიმართება** **ანტიკურ ლიტერატურასთან**

მშობლებისა და შვილების ურთერთობები საკმაოდ რთულ ფსიქოლოგიურ-მენტალურ პროცესებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, იგი კაცობრიობის დასაბამიდან მნიშვნელოვანი და კომპლექსური საკითხია, რომელიც ლიტერატურაში სხვადასხვა ასპექტითა და ფორმით გამოვლინდა. ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღების საგანია ქართული ჰაგიოგრაფიული თუ საერო ლიტერატურა და მისი მიმართება ანტიკური ლიტერატურის ნიმუშებთან. ქართული ლიტერატურიდან ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ანონიმი ავტორის „კოლაელ ყრმათა წამება“, ასევე უცნობი ავტორის „დავითისა და თირიჭანის წამება“, გიორგი მე-რჩელის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მათთან ერთად შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“; ხოლო ანტიკური ლიტერატურიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ნაწარმოებებმა: ჰომეროსის პოემებმა „ილიადამ“ და „ოდისეამ“, ასევე ტრაგედიებმა, ესქილეს „მავედრებელმა ქალებმა“, ევრიპიდეს „მედეამ“ და „იფიგენია ავლისში“.

მოსხენების ფარგლებში განვიხილავთ ზემოხსენებულ ნაწარმოებებს და ვაჩვენებთ მშობლებისა და შვილების ურთიერთობის განსხვავებულ ფორმებს, კონცეფცია კონტექსტურად, ანტიკური და ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან გავლებული პარალელებით, მათში არსებული ანალოგიების ჩვენული ხედვით. კვლევის ფარგლებში გამოვყავით სიუჟეტურ დონეზე ზემოხსენებულ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებული ის ეპიზოდები, რომლებიც გარკვეულ მიმართებას აჩვენებენ შესაბამისი ანტიკური ნაწარმოების შესაბამის ეპიზოდთან და შევცადეთ, რომ გაგვეანალიზებინა თითოეული მათგანი კონტექსტურად როგორც შინაარსობრივ, ისე ფსიქოლოგიურ ქრილში.

დასკვნაში წარმოდგენილი იქნება ჩვენი მსჯელობის შეჯამება, რომელიც გამყარდება შესაბამისი არგუმენტებით და განხილული იქნება ის მხატვრული პრინციპები, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ეპოქალური მსგავსება-განსხვავებები, რაც ჩვენს მოსაზრებებს კიდევ უფრო დამაჯერებლად და სარწმუნოდ წარმოაჩენს.

ქეთევან კენჭოშვილი

თანხმობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურსა და ქართულში

ცნობილია, რომ კომუნიკაციის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება თავაზიანობას. ჯეფრი ლიჩის „თავაზიანობის პრინციპი“ მრავალ მაქსიმას მოიცავს, რომელთაგანაც ერთ-ერთი არის დათანხმების მაქსიმა: „მინიმუმამდე დაიყვანე კამათი, მაქსიმალურად ეცადე მიაღწიო თანხმობას შენსა და თანამოსაუბრეს შორის“ (ლიჩი, 1983).

კომუნიკაცია, სულ მცირე, ორ მონაწილეს გულისხმობს. დიალოგური მეტყველების განუყოფელი ნაწილია შეკითხვა და პასუხი. ცხადია, ზოგადი შეკითხვები დადებით ან უარყოფით პასუხს მოითხოვს და, ბუნებრივია, ყველა ენაში არსებობს დადებითი და უარყოფითი პასუხების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები.

ნაშრომში განხილულია თანხმობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში. წარმოდგენილია მათი წარმოშობა, სხვადასხვა მნიშვნელობა იდიომებსა და ანდაზებში. ასევე, გაანალიზებულია ორ ენას შორის არსებული რეგისტრული განსხვავებები.

ემპირიული მასალა აღებულია ინგლისური ენის ლექსიკონიდან („Oxford English Dictionary on Historical Principles“, 1993.), ქართული ენის ლექსიკონიდან (სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“ 2013.), ონლაინ ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

მარიამ კობახიძე

მითოლოგიური მოტივები „ეთერიანში“

ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარი შემადგენლობა, დარგი, არის ვარიანტულობა. სწორედ, ამ ვარიანტულობის დამსახურებაა, რომ დღეს „ეთერიანი“-ს უამრავი ვარიანტი გვაქვს შემონახული. სულ, ეთერიანის 40-მდე ვარიანტია. ხოლო 13 ვარიანტზე დაყრდნობით, პავლე უმიკაშვილმა გამოსცა პირველი „ეთერიანი“, 1975 წელს, რომელსაც ავტორი ზღაპარს უწოდებს. ეს კი მისი წინაპართი დასტურდება.

მთლიანად ტექსტი შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ნაწილად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეთერიანი მართლაც ვარიანტულია. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით ეთერი არის ობოლი, მეორეს მიხედვით - ობოლი, უდედინაცვლოდ და მესამე, მითოლოგიური მოტივით - ეთერი არ დაბადებულა ადამიანის მიერ, იგი ჩაისახა კაცის, მამის, კენჭში.

მეორე ნაწილი უკვე მისი აღზრდაა, რომელსაც, ასევე, აქვს მითოლოგიური მოტივი, ეს უკვე მეორე ნაწილია. იგი არწივის (ორბის) ან დათვის გაზრდილია. ხოლო იმ ვარიანტების მიხედვით, რომლებშიც ეთერი ობოლია და თავისი ნებით მიდის ტყეში, აქ მითოლოგიური მოტივი მისი ბბზინავი თმაა, რომლის დახმარებითაც აბესალომი პოულობს ეთერს. ასევე ვხდებით დედინაცვლას და დედის გადატანით მნიშველობასაც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მითოლოგიური მოტივი მოქმედებს იმ ნაწილშიც, სადაც გარდაცვლილი აბესალომ და ეთერის საფლავეზე ამოსული ია და ვარდი მათი ცხოვრების გაგრძელებაა. სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით, მათ საფლავეებს შორის, მურმანის საფლავეზე, ამოსულია ეკალი და აბესალომისა და ეთერის ყვავილების გადახვევას ხელს უშლის. ვარიანტების მიხედვით კი მურმანის ეკალს განსხვავებული ბოლო, დასასრული მოეწივს.

ქეთევან კოდელაშვილი მარიამ კოდელაშვილი

ფრიდა კალოს შემოქმედებაში ასახული ტრაგიკული ცხოვრება

1907 წლის 6 ივლისს დაიბადა მექსიკელი ფერმწერი ქალი - მაგდალენა კარმენ ფრიდა კალო ი კალდერონი. ადამიანი, რომელმაც თავი დაიმკვიდრა ხელოვნებაში თავისი არაორდინალური ნამუშევრებით. მისი ნახატებისთვის დამახასიათებელია მკვეთრი ფერები. ერთმანეთს მსუბუქად ერწყმის სიურეალიზმი, რეალიზმი და სიმბოლიზმი.

ფრიდა კალო ცნობილია თავისი ტრაგიკული და მძიმე ცხოვრებით და მისი ნახატებიც გამოირჩევა სწორედ იმით, რომ ასახულია მხატვრის ცხოვრებისეული ყოფა. ესაა ნახატები, რომლებიც უმღეროდა ქალის გამძლეობას მკაცრი რეალობისა და უმოწყალო სინამდვილის, ადამიანური სისასტიკის, ხორციელისა და სულიერი ტანჯვის წინაშე. მხატვრის ნამუშევრებში გამოსჭვივის მთელი ის განცდები და ემოციები, რასაც განიცდიდა და, შეიძლება ითქვას, ამიტომაც ფრიდა კალოს ნამუშევრები ღირებული.

ჩვენ საკონფერენციო თემის მიზანია, ფრიდა კალოს ბიოგრაფიის მიმოხილვა, მისივე ნამუშევრებზე დაყრდნობით იმის დადგენა, თუ როგორ აისახა ქალის ტრაგიკული ცხოვრება მისსავე შემოქმედებაში.

ნანა კოკოჩაშვილი

კლასიკური სტრუქტურალიზმის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა თანამედროვე ფრანგული ენის შესწავლაში

ნაშრომი ეხება თანამედროვე სტრუქტურალიზმის პრინციპებს, ნიშანთა სისტემას და მათ როლს ენის შესწავლისა და ენობრივი პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით. გადაწყვიტე, წარმოგიჩინა კლასიკური სტრუქტურალიზმის მნიშვნელობა ფრანგული ენის შესწავლის პროცესში. ამ მიზნით, ყურადღება გავამახვილე ნიშანთა სისტემაზე, როგორც ფუნდამენტურ სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობაზე, რომლებიც ენის ფუნქციონირების სათავედ მიიჩნევა. მოხსენებაში სტრუქტურალიზმის პრინციპები მიმოხილულია შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის თეორიებზე დაყრდნობით, რომელიც ენის უმთავრეს ფუნქციად კომუნიკაციის საშუალებათა შექმნას მიიჩნევს. სტრუქტურალიზმის წარმოჩენა გადაწყვიტე უფრო ფართო ჭრილში, ვინაიდან ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიდგომა ლინგვისტურ, კულტურულ, ფილოსოფიურ, სოციალურ, მათემატიკურ კვლევებში. აღსანიშნავია, რომ ფერდინანდ დე სოსიურის მიერ XX ს. 20-30-იან წლებში შემუშავებული სტრუქტურული მეთოდიც შემდგომში ლინგვისტიკიდან გადატანილ იქნა სხვა სფეროთა კვლევაშიც. მოხსენებაში ხაზგასმით ვსაუბრობ სტრუქტურალიზმის პრინციპის მნიშვნელობაზე საკომუნიკაციო პროცესში, რადგან ცნობილი, რომ სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო ენობრივი ანალიზის პროცესში მეტყველების, სალაპარაკო ენის პირველადობის აღიარება. მეტყველება ხომ ადამიანის ქცევის ბევრად უფრო ძველი და გავრცელებული ფორმაა, ვიდრე დამწერლობა. აქვე გამოვყოფ შედარებითი ანალიზის ფორმებს, რადგან ცნობილია, რომ კლასიკურმა სტრუქტურალიზმმა განასხვავა ენობრივი სისტემების სინქრონული და დიაქრონული ანალიზი. აღნიშნულ საკითხებ-

ზე ყურადღების გამახვილება საინტერესოდ მესახება, რადგან სტრუქტურალიზმის პრინციპი ყველაზე სიცოცხლისუნარიანია, რომლის თანახმადაც ენა განიხილება, როგორც მიმართებათა სისტემა. სტრუქტურალიზმის მნიშვნელობის ამოცნობას უფრო ღრმად შევყავართ ენის შესწავლის პროცესში.

ნათია კოტორაშვილი

ქართველი ახალგაზრდების ჟარგონული მეტყველების გენდერული ანალიზი

ჟარგონი არის ვიწრო სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი მეტყველება, რომელიც გასაგებია ამ ჯგუფის წევრებისთვის და გაუგებარია სხვებისთვის. დღეს ჟარგონული მეტყველებით ხასიათდება მასმედია, სოციალური ქსელების ენა და თანამედროვე მწერლების შემოქმედება. ამდენად, ჟარგონი ყოველდღიური მეტყველების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ამაზე მეტყველებს ჩვენს გარშემომყოფთა ზეპირი თუ წერილობითი მეტყველება. კვლევის მიზანია, ქართველი ახალგაზრდების მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჟარგონული ფორმების გამოვლენა და მათი ანალიზი. ნაშრომში გამოყენებულია გამოკითხვის, დაკვირვებისა და შედარებითი კვლევის მეთოდები.

ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდების 15% ხშირად იყენებს ჟარგონულ სიტყვებსა და გამოთქმებს, 50% - ზოგჯერ, ხოლო 35% - იშვიათად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა ჟარგონულ სიტყვებს იყენებს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. გოგონების შემთხვევაში, ჟარგონების გამოყენება არაფორმალურ გარემოს უკავშირდება და, ძირითადად, სამეგობრო წრით შემოიფარგლება. რაც შეეხება თემატიკას, ორივე სქესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ საკითხზე საუბრისას იყენებენ ჟარგონს და

იმდენად ბუნებრივად, რომ ხშირად ეს გაუაზრებლად, მათდა უნებურად ხდება. გამოკითხულთა უმრავლესობა (50%) ყველაზე ხშირად იყენებს რუსულ ჟარგონს, თუმცა აქტუალურია, ასევე, ქართული და ინგლისური ფორმებიც.

სოციალურ ქსელებში, გოგონები პრესტიჟულობის თვალსაზრისით, ძირითადად, ინგლისურ სიტყვებს იყენებენ, ხოლო ბიჭები - რუსულს. საერთო ტენდენციით, ონლაინსივრცეში გვხვდება უამრავი ჟარგონული გამოთქმა, მათ შორის: ქართული, ინგლისური და რუსული.

გარდა ამისა, კვლევის დროს განხორციელდა სოციალური ქსელის ჯგუფებზე დაკვირვება, რაც მიზნად ისახავდა ჟარგონების გამოყენების სიხშირის დადგენას. აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო და ოფიციალურ ჯგუფებში შედარებით ნაკლებად გვხვდება ჟარგონული ტერმინოლოგია, ხოლო გასართობ ჯგუფებში თითქმის ყოველი პოსტი შეიცავს ერთ ჟარგონს მაინც. ჯგუფებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვყოთ ათი ყველაზე მეტად გავრცელებული ჟარგონი: იმენა, ვაბშე, ტეხავს, ასწორებს, პონტი, ლადაობს, გაიჩითა, იასნა, კაროჩე, პროსტა.

ირაკლი ლეონიძე

საკუთრების უფლების ჩამოყალიბება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიად ქცეული სინამდვილეა, რომელიც 2021 წელს, კვლავ დაგვაფიქრებს რესპუბლიკის პირველი კანონმდებლის სულისკვეთებაზე, შეექმნა ისეთი სამართლებრივი წესრიგი, სადაც მოქალაქეთა უფლებები კონსტიტუციით იქნებოდა აღიარებული და დაცული.

საკუთრების უფლების ჩანასახი, რესპუბლიკის კონსტიტუციაში, სხვადასხვა ნორმაში ჩამოყალიბდა. ესენია: 36-ე, 114-ე, 115-ე და 116-ე მუხლები. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული ნორმა-დებულებები არ იყო სრულყოფილი და არ წარმოადგენდა საკუთრების უფლების კლასიკურ გაგებას, თუმცა ის მოაზრებული იყო, როგორც ასეთი, რათა დაედგინა მოქალაქეთა უფლება საკუთრებითი მნიშვნელობის მქონე ქონებრივი სიკეთეებით სარგებლობისთვის. მართალია, ნორმა-დებულებები გარკვეულ ეჭვს იწვევდა საკუთრებითი ურთიერთობების შეუფერხებელ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, თუმცა, პრაქტიკულად, ამ დებულებებს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის უფლებრივი შეზღუდვა არ გამოუწვევია, პირიქით, საბჭოთა წეს-წყობილების დამყარების შემდეგ, მოქალაქეები უდიდესი ზეწოლის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელიც თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე აცლიდა მათ საკუთრების ობიექტებსა და სხვა უფლებებს. ამ პროცესში, მოქალაქეთა უფლებების დარღვევასთან ერთად, დაიწყო იმ მოქალაქეთა ფიზიკური განადგურება, ვინც უფლებრივ ჩაგვრას არ ეგუებოდა.

ისტორიული თვალსაზრისით, საკუთრების უფლების ევოლუცია დამახინჯებული ფორმით გაგრძელდა საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციებში და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პირვანდელი არსით აისახა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, 21-ე მუხლში. მოქალაქეებს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციური ჩანაწერის დანაკლისს უმსუბუქებდა ახალი მოვლენა, რაც კერძომესაკუთრული ინტერესის განვითარებაში აისახა. კერძო საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობის წართმევით მოქალაქეებს განუვითარდათ მომეტებული ხასიათის მქონე კერძომესაკუთრული ინტერესები.

პირველი რესპუბლიკის კანონმდებელმა შეიმუშავა საკუთრების უფლების არსი, რომელიც იმდროინდელ სოციალურ რეალობას შეესაბამებოდა, მაგრამ ამ არსის ნორმა-დებულებების სახით გადმოსაცემად საჭირო იყო დრო, რაც რეალურად შეიზღუდა წითელი არმიის საბრძოლო მოქმედებების შედეგად. კანონმდებლის მიზნები სრულად ვერ შესრულდა და საკუთრების უფლების რესპუბლიკისეული აღქმა ისტორიის საკუთრებად გადაიქცა. რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, მოქალაქეები ჩავვრისა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ლელა მამულაძე

მაერთებელი კავშირების ფუნქციები გეპირ დისკურსში

საკითხი ეხება მაჯგუფებელი და მაერთებელი კავშირების გამოყენების სიხშირეს ზეპირ და წერილობით დისკურსში. ნაშრომის მიზანია ამ კავშირების, პირველადი ფუნქციების გარდა, სხვა დამატებითი ფუნქციების განსაზღვრა და ანალიზი.

ნაშრომში პასუხი გაცემულია შემდეგ საკვლევ საკითხებზე: დამოკიდებულია თუ არა კავშირების ხშირი მოხმარება ასაკზე, გენდერზე, სოციალურ ფაქტორებსა და განათლებაზე.

კვლევის მეთოდებად გამოყენებულია დაკვირვებისა და კითხვარის მეთოდები. განხილულია სოციალური ქსელები, სხვადასხვა შინაარსის თოქ-შოუები, ონლაინინტერვიუები. კორპუსული კვლევის მეთოდების გაანალიზებისას, მასალა მოძიებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (დიალექტური, პოლიტიკური ტექსტები), ლიდის ეროვნული კორპუსისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსიდან. კითხვარში დასმულია შემდეგი შეკითხვები, თუ რა ინვეს კავშირების ხშირ მოხმარებას დამატებითი ფუნქციით; არის თუ არა ეს დამოკიდებული ასაკსა და განათლებაზე და როგორ უნდა აღმოიფხვრას მეტყველების ეს პრობლემა?

კვლევის შეზღუდვებად შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფაქტორები: პანდემიის ვითარების ფონზე რთული იყო გამოკითხვის ჩატარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რაც საკმაოდ ეფექტური იქნებოდა სოციუმის აზრის გასაგებად. ამდენად, ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარდა გამოკითხვა მხოლოდ ელექტრონული ფორმატით. შედეგად შეზღუდულია კვლევის ობიექტთა რაოდენობა.

მოცემული დაკვირვებების შედეგად, შესაძლოა გამოვითქვანოთ ძირითადი დასკვნები ზეპირ დისკურსში მაერთებელი კავშირების ფუნქციების შესახებ. მაერთებელ კავშირებს, ძირითადად, იყენებენ შეჯამების, დაზუსტების, განმარტების, ანალოგიის, კითხვის დასმის, სამეტყველო ჯერის... ფუნქციით, ხშირად-სრულიად უფუნქციოდ.

ზემოთ მოცემული დაკვირვებებისა და დაგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, გარკვეულწილად, პარაზიტული მეტყველება გამომწვეულია განათლების ნაკლებობით, საკუთარ თავში დაურწმუნებლობით. ზოგიერთი ადამიანი მას მავენე ჩვევადაც მოიხსენიებს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მაერთებელი კავშირების ხშირად ხმარება ზეპირ დისკურსში უმეტესად გავრცელებულია ახალგაზრდებში. პარაზიტული მეტყველება შეიძლება აღმოიფხვრას სიტყვის მარაგის გამდიდრებითა და საკუთარი საუბრის კონტროლით.

ამგვარი კვლევა ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობასა და აქტუალობას სოციოლინგვისტური კვლევების თვალსაზრისით.

მოცემული კვლევა მნიშვნელოვანია მაერთებელი კავშირების ფუნქციის განსაზღვრისთვის, თუ რა ფუნქციით ხმარობენ მოსაუბრეები ამ კავშირებს. კვლევის დახმარებით განისაზღვრა გამომწვევი მიზეზები, მასთან დაკავშირებული ფაქტორები და პრობლემის აღმოფხვრის გზები.

ვალენტინა მალააკელიძე

ვიზუალური ხელოვნების მომავალი მაღალი ტექნოლოგიების ერაში

2015 წელს განხორციელდა ახალი უნიკალური დიგიტალური პროექტი, რომელმაც სათავე დაუდო ხელოვნებისა და ციფრული ტექნოლოგიების ურთიერთობის ახალ ფორმატს - NFT (non-fungible token) არის ციფრული პროდუქტის ერთგვარი უნიკალურობის სერტიფიკატი, რომელიც მოიცავს მხოლოდ ციფრულ სამყაროს. ამ სივრცის ყველა ობიექტი: ნახატები, ვიდეორგოლები, მუსიკა, ფოტოსურათი და ა.შ. - არ არსებობს ფიზიკურ სამყაროში და უკავშირდება მხოლოდ დიგიტალურ ხელოვნებას (Digital art) და ამ სფეროში მოღვაწე არტისტებს.

ფლათფორმებზე, რომლებიც NFT-სთან მეშაობენ (Rarible, Mintable, OpenSea), განთავსებულია ათასობით დიგიტალური ხელოვნების ნიმუში, რომლის შეძენაც შესაძლებელია მხოლოდ კრიპტოვალუტის საშუალებით და საავტორო ექსკლუზიურ უფლებებს მხოლოდ მისი შემძენი ფლობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა ინტერნეტსივრცეში ნახოს, გააზიაროს ციფრული ხელოვნების ფაილი ან მისი კოპირება მოახდინოს, ინტერნეტმომხმარებელს არ შეუძლია ამ ნამუშევრების ფლობა, რადგან ეს უკვე მხოლოდ NFT-ების საშუალებითაა შესაძლებელი.

ამდენად, NFT წარმოადგენს სრულიად ახალ მოვლენას, რომელმაც გააერთიანა მაღალი ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები თანამედროვე ხელოვნების სამყაროსთან და სა-

შუალეზა მისცა დიგიტალური ხელოვნების სფეროში მოღვაწე არტისტებს, არა მხოლოდ გააცნონ ხელოვნების მოყვარულებს თავიანთი ნამუშევრები, არამედ გაყიდონ კიდეც ისინი მუზეუმებისა და გალერეების კურატორთა შუამავლობის გარეშე. გასაკვირი არ არის, რომ დღეს NFT ფლატფორმებზე წარმოდგენილია მსოფლიო არტისტული სცენის ყველა წამყვანი სახე, მათ შორის ბენქსი, დამიან ჰირსტი და სხვები.

მოხსენების მიზანია, განიხილოს NFT ფლატფორმებზე განთავსებული რამდენიმე ციფრული ხელოვნების ნიმუში და გააანალიზოს ამ ფორმატის გამოყენების სამომავლო პერსპექტივები თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში.

ლიკა მელანაშვილი

ირონიის გამოხატვის საშუალებები თანამედროვე ქართულ სოციალურ მედიაში

დღევანდელი რეალობა მთლიანად მოიცვა თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ელექტრონულმა პორტალებმა და სხვადასხვა სოციალურმა ქსელმა. იმდენად მასშტაბური გახდა ეს პროცესი, რომ მსგავს სივრცეებში შეგვიძლია არა მარტო საკუთარი იდეებისა თუ აზრების დაფიქსირება, არამედ სათქმელისთვის ემოციური ელფერის მიცემა, რაშიც ირონიაც მოიაზრება.

ირონიაზე, როგორც სამეტყველო აქტის ერთ-ერთ მახასიათებელზე, დაკვირვების საფუძველი ხდება ის, თუ რატომ იყენებს მთქმელი ირონიას კონკრეტულ სიტუაციაში და რატომ არ აკრიტიკებს მესამე პირს ღიად. ირონიის ყოველი აქტი გამოხატავს მთქმელის სხვადასხვა მიზანს: შთაბეჭდილება მოახდინოს, გააპროტესტოს, უარყოს, გააკრიტიკოს და ფარულად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება კონტექსტისადმი. მთქმელი ირონიას დამცავ საშუალებად იყენებს, როდესაც ხედავს, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მას შეიძლება დაემუქროს გარკვეული საფრთხე ან დაკარგოს უპირატესობა.

თანამედროვე ქართული სოციალური მედია არის ე.წ კომუნიკაციის უსაზღვრებო სივრცე. მასში კულტურულ-ენობრივი კონტაქტების განსაკუთრებული აქტივობა აღინიშნება. ამ რეალობაში კი ირონიის გამოყენების მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია. შესაბამისად, მოხსენების მიზანია, შეისწავლოს თანამედროვე ქართულ სოციალურ მედიაში ირონიის, როგორც სამეტყველო აქტის ერთ-ერთი მახასიათებლის, ფორმები და მათ გამომხატველი ენობრივი საშუალებები.

კვლევისას გამოყენებულია დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდები. მონაცემები, ასევე, დამუშავებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდით.

მერი მერებაშვილი

მითოლოგიური პარალელები გრიგოლ რობაქიძის პიესაში „ლონდა“

თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა გრიგოლ რობაქიძემ. ავტორის პიესები - „ლონდა“, „მალშტრემი“, „ლამარა“ კოტე მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის თეატრში. სამივე პიესამ თავიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

პიესა „ლონდა“ გრიგოლ რობაქიძემ 1917 წელს შექმნა. მისტერია ერთი მოქმედებისგან შედგება, მოქმედი გმირები არიან: მთავარი, დედოფალი, თამაზ ბატონიშვილი, ოთარი მოშირე, ქურუმი, ქადაგი, მოამბე, ლონდა, შეწირებულები, ხორო (შვიდი კაცი) და მასხები. ხორო მაყურებელს საშინელ ამბავს ამცნობს; კოლხეთის მიწა-წყალი ნადგურდება, მდინარეები კლებულობს, ცხენთა ჯოგები ხრამში იჩეხებიან, გვალვას გაუნადგურებია მოსავალი. ყველა ქურუმის პასუხს ელოდება, რომელიც ქვის სალოცავში სამი დღეა ლოცულობს და ელის პასუხს. ამ დრამატული სურათის აღწერას გრიგოლ რობაქიძე გასაოცარი მხატვრულობით ახერხებს. ქურუმის სიტყვები: „ადა-

მიანს ითხოვს მსხვერპლად ღმერთი სადდასაი“ [რობაქიძე 1926:26], ყველას სასონარკვეთაში აგდებს, ხალხი ბოხოქრობს და ღელავს. მსხვერპლად ქალია დასახელებული. ეს ის ქალია, რომლის დანახვაზეც ვაჟები ხელდებიან, დედებს და ცოლებს სძულთ და ეშინიათ მისი. თამაზ ბატონიშვილს გულში ჩავარდნია უმშვენიერესი ლონდა და მიუხედავად იმისა, რომ თამაზი არავის ანებებს მის სიკვდილს, ლონდა მაინც მზად არის იყოს შეწირული ქვეყნის გადასარჩენად.

გრიგოლ რობაქიძე კარგად იცნობს როგორც ქართულ, ისე ანტიკურ მითოლოგიას. მისტერია „ლონდას“ წაკითხვისას გვიჩნდება განცდა, რომ ანტიკური ტრაგედიის სურათს ვკითხულობთ, ამ შთაბეჭდილებას ამძაფრებს ხოროს (ქოროს) გამოჩენა, სადდაისაის მიერ მსხვერპლის მოთხოვნა... მსგავს პასაჟებს ვხვდებით ევრიპიდეს ერთ-ერთ ბოლო პიესაში სახელწოდებით „იფიგენია ავლისში“. პიესა ეფუძნება ცნობილ მითს აგამემნონის შესახებ, რომელმაც საკუთარი შვილი იფიგენია ღმერთს მსხვერპლად შესწირა. საგულისხმოა იფიგენიასა და ლონდას სახეების მსგავსება, რომელიც საკმაოდ საინტერესოა. მოხსენებაში სწორედ ამ ლიტერატურულ რემინისცენციებზე გვექნება ყურადღება გამახვილებული.

მიხეილ მერკელია

შუმერთა ცივილიზაციის გავლენა თანამედროვე სამყაროზე

შუმერთა ცივილიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს კულტურას ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში. შუმერული ცივილიზაცია წარმოადგენს წარღვნამდელ და წარღვნის შემდგომი პერიოდის ეპიზოდს, რომელიც არის საწყისი ნაწილი მესოპოტამიის კულტურისა. მესოპოტამიური რელიგია, რომელიც შედგება შუმერთა მითიდან, არის საწყისი იმ დიადი ცივილიზაციათა ციკლისა, რომელიც გრძელდება დღემდე. შუმერთა ცივილიზაციამ დაგვიტოვა ლურსმული დამწერლობა, ფესვის მათემატიკური სისტემა, ასტრონომიული ცნობები და მკაფიოდ შევიდა ბიბლიისეული და ყურანისეული აზროვნების გენეზისში.

შუმერთა ცივილიზაცია ცნობილია ჯერ კიდევ ელ-უბადიისა და ურუქის არქეოლოგიური კულტურათა პერიოდიდან. იგი ძვ.წ. აღ. IV ათასწლეულით თარიღდება.

შუმერების წარმომავლობა დღემდე უცნობია. შუმერული ენა არის იზოლირებული ენა, თუმცა ცნობილია, რომ მოსახლეობა მოსულია. ლეგენდის თანახმად, ისინი დილმუნის ქვეყნიდან მოვიდნენ. ეს დღემდე პრობლემური საკითხია, რადგან ასეთ ტერიტორიად ბაჰრეინის არქიპელაგი სახელდება, რომელიც არ შეესაბამება მის აღწერას.

შუმერებმა შექმნეს პირველი ქალაქ-სახელმწიფოები. მათგან უმნიშვნელოვანესია ური, ურუქი, ლაგაში, ნიპური და ბევრი სხვა ქალაქი, რომლებსაც მფარველი ღვთაება ჰყავდა.

შუმერთა რელიგია პოლითეისტურია. მისი პანთეონი გავრცელდა ჰურიტულ, ურარტულ, ჰეთურ პანთეონებზე. მისი მითები და სიუჟეტები - ბიბლიასა და ყურანში. რიტუალები და სიმბოლიკა კი მთელ მსოფლიოში და დღემდე აქტუალურია. ასევე, გავრცელდა ღვთაებათა კულტები და ფუნქციები.

შუმერთა ლიტერატურიდან ცნობილია ეპოსი გილგამეშზე.

ზიქურატები წარმოადგენდნენ რელიგიური კულტის ტაძრებს.

შუმერთა განათლების სისტემას ჰქონდა უდიდესი გავლენა მთელ მესოპოტამიის და ელამის ტერიტორიაზე.

ამ თემაში შევეხებით რელიგიურ კავშირებს შუმერებსა და სხვა ხალხებს შორის. განსაკუთრებით მსოფლიო რელიგიებს.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმით, რომ გავიგებთ იმ წარმოდგენების შესახებ, რომელიც ადამიანს უცვლელად გააჩნია უძველესი დროიდან დღემდე.

პირველი ცივილიზაციების მსოფლმხედველობა თანამედროვე ეპოქაშიც არ არის შეცვლილი; შეცვლილია მხოლოდ მისი ფორმები.

ვახსენებთ მიზეზებს, თუ რა პირობები იყო რელიგიის შემდგომ გავრცელება რეგიონის გარეთ. რამ განაპირობა მისი გავრცელება და რა უძღოდა ამას წინ. განვიხილავთ, თუ როგორ განვითარდა თითოეული ღვთაების ფუნქცია. ვახსენებთ სიმბოლიკების გავრცელების საკითხს. შუმერულმა რელიგიამ დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მონოთეისტურ, აბრაამისტულ რელიგიებში და, ფაქტობრივად, ის წარმოადგენს ამ დიად სიბრძნეს და მის განვითარებულ სახეს. ჩვენ აუცილებლად შევეხებით გადმოცემისა და მითის საკითხებს. ასევე განვიხილავთ, თუ რა აკავშირებს ქართულ მითოლოგიას შუმერულთან და ვისაუბრებთ არმაზის მითის წარმომავლობაზე. შევეხებით ზოროასტრიზმს და ირანულ კულტურას, ასევე, შევადარებთ შუმერულ მითოლოგიას ბერძნულთან.

ანანო მირზელაშვილი გვანცა ტალახაძე

ჰაგიოგრაფიული ძეგლის „ნამებად და ღუანლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი“ თავისებურებები

არაბობისდროინდელი ქართული ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნაკლებად შესწავლილი ნიმუშია „ნამებად და ღუანლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი“. მთავარი პერსონაჟები, არგვეთის მთავრები, დავით და კონსტანტინე ეწამნენ არაბთა მეორე შემოსევის დროს (731-741), რომელსაც სარდლობდა მურვან ყრუ. არაბებმა შეიპყრეს ისინი და აღმსარებლობის შეცვლის უარყოფის გამო სიკვდილით დასაჯეს. დაუწინყარია მათი ღვაწლი ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე.

ნაწარმოები გამოირჩევა რამდენიმე თავისებურებით. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიაზე საუბარი იწყება მსოფლიო ისტორიის ფონზე და აქედან გადადის მოქმედება დასავლეთ საქართველოში.

მეორე თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ პერსონაჟთა პორტრეტების აღწერა - არა მხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკური მახასიათებლებით აღწერილნი არიან ნაწარმოების მთავარი გმირები - დავით და კონსტანტინე, აგრეთვე ანტიგმირი - მურვან ყრუ.

საყურადღებოა ნაწარმოებში წარმოდგენილი დიალოგებიც. ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში რელიგიური პოლემიკა დამპყრობლებთან საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ ნაწარმოებში ეს პოლემიკა შედარებით ვრცელი და აქტუალურია. მურვან ყრუ სიტყვით ვერ ახერხებს მის ძლევას და ბრძანებს, სასტიკად დატანჯონ დავითი და კონსტანტინე.

ძეგლის თავისებურებაა, აგრეთვე, თხრობის დანაწევრება. მურვან ყრუს მიერ ბრძანების გაცემის შემდეგ, საუბარი გადა-

დის მის ლაშქრობაზე სამეგრელოში და აფხაზეთში. შემდეგ თხრობა გრძელდება მურვან ყრუს კონსტანტინოპოლამდე ჩაღწევით და ამ დროს მასზე მოწეული ღვთის რისხვით. შემდეგ თხრობა უბრუნდება კვლავ დავითსა და კონსტანტინეს და აღწერილია მათი მოწამეობრივი აღსასრული.

მეგი მიქაბერიძე

აკრძალვის მოტივი ჯადოსნურ ზღაპრებში

ჯადოსნური ზღაპარი აირეკლავს არქაული საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ელემენტებს, შეხედულებებს, წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს და სხვადასხვა ეპოქის დანაშრევებს. საყოველთაო ფასეულობად აღიარებულმა ზღაპრებმა დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში.

ზღაპრები ადვილად ვრცელდებოდა ერთი ხალხის ფოლკლორული ფონდიდან მეორე ხალხის ზეპირ შემოქმედებაში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სრულიად დაშორებულ ტრადიციებშიც კი ხშირად გვხვდება მსგავსი სიუჟეტები და მოტივები, ერთი და იგივე ჯადოსნური ნივთები, პერსონაჟთა დაბრკოლებები... ყოველივე ეს გამოიწვია ერთიანმა მითო-ეპიკურმა მეხსიერებამ და ტრადიციამ.

ჯადოსნურ ზღაპრებში, ძირითადად, გვხვდება გმირის „სხვა სამეფოში“ მოხვედრის სურვილი. იდუმალებით მოცული ადგილის მონახულება ბევრი პერსონაჟისთვის ოცნებად იქცა. მათ უწევთ გმირობის ჩადენა ნატვრისა და სურვილის ასასრულებლად.

ჯადოსნურ ზღაპრებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს აკრძალვის დარღვევა წარმოადგენს. აკრძალვის დარღვევა ხელს უწყობს მოულოდნელი რაკურსით სიუჟეტის განვითარებას. აკრძალვის დანესება ზღაპარში საიდუმლოს გაცემის ტოლფასია. ამიტომ პერსონაჟი აუცილებლად არღვევს მას. აკრძალვა არის უნივერსალური მოვლენა, რომელიც დამა-

ბრკოლებელ კედელს ქმნის პერსონაჟსა და მის სურვილებს შორის. ის აღიქმება, როგორც ერთგვარი საზღვარი ან განსაცდელი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება უბედურება. ამის პარალელურად, პერსონაჟი იძენს გამოცდილებას. ზღაპრებში გვხვდება აკრძალვის განსხვავებული მოტივები. აკრძალვით, ძირითადად, მთავარ პერსონაჟს მიმართავენ. მან არ უნდა გააღოს დაკეტილი ოთახი, რომლის გასაღებსაც გადასცემენ. მან უკან არ უნდა მოიხედოს, როცა მას მდევარი ეწევა. გზაში არ გახსნას ნაჩუქარი ყუთი, არ უნდა გაათავისუფლოს თმებით ჩამოკიდებული ქოსა, სიჩუმის პირობა არ დაარღვიოს, დასახელებულ ნივთთან (უჩინმაჩინის ქუდთან) ერთად, კლდიდან სხვა რაღაცეები არ გამოიტანოს, ცოლთან არ დაილაპარაკოს, გამოქცევის ჟამს შინ დაბრუნებამდე ცხენიდან არ უნდა ჩამოვიდეს და სხვ.

მოხსენებაში განხილულია თითოეული აკრძალვის მიზეზი, დანიშნულება და შედეგი.

ქრისტიანე მიქაჟა

ყვავილებისა და ჩიტების თემა ჩინურ ფერწერაში

ტრადიციული თემა - „ყვავილები და ჩიტები“ ჩინურ ფერწერას თიქმის ყველა ეპოქაში გასდევს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ჩინელი მხატვრების თვალსაზრისით, ფლორა და ფაუნა არა მხოლოდ გარეგნულადაა ლამაზი, არამედ ალეგორიულ სიმბოლოებსაც შეიცავს. ეს გამომდინარეობს მხატვრების ტრადიციული წარმოდგენიდან ადამიანსა და ბუნებას შორის არსებულ ჰარმონიულ კავშირზე.

ძველი პერიოდიდანვე, ნებისმიერი სახის ყვავილებს, მცენარეებსა და ჩიტებს უამრავი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ყვავილები და ჩიტები შეიძლება დავუკავშიროთ ადამიანის თითქმის ყველა ფიქრსა თუ გრძნობას. შეიძლება, რომ ისინი ფემინური სილამაზის სიმბოლო იყვნენ, სათნოების, პოლი-

ტიკური ხელმძღვანელობის, სანდომიანობის და ასე შემდეგ. ამ სტილის დაარსების შემდეგ ის პოპულარობით სარგებლობდა ყველა დინასტიაში. აქედან გამომდინარე, მისი სიმბოლური დატვირთვაც იზრდებოდა და მდიდრდებოდა.

ამ მოხსენებაში ვეცდები განვიხილო ჩინური ფერწერის ამ ჟანრის განვითარების ეტაპები. ვისაუბრებ ისტორიულ კონტექსტსა და იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა ქვეყანაში ევროპელების შესვლამ ხელოვნების ამ დარგზე.

ანა ნატროშვილი

კარლოს დიდი და ლეგენდა პირველი ჯვაროსნის შესახებ

რენესანსის ეპოქიდან აქტიურად იწყება ჰუმანისტების მიერ შუა საუკუნეებით დაინტერესება. ამის მიზეზი იყო ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის დაწინაურება, რაც საფრთხეს უქმნიდა ქრისტიანობასა და ევროპას. ხოლო შუა საუკუნეები, როგორც პერიოდი, რომელიც მძლავრად უპირისპირდება ისლამს, ხდება ერთგვარი შთაგონების წყარო ჰუმანისტებისათვის ამ ბრძოლაში. სწორედ აქ გამოჰყავთ წინა პლანზე კარლოს დიდი, როგორც ქრისტიანობის დიდი დამცველი და პირველი ჯვაროსანი. რენესანსის (და შუა საუკუნეებისაც) ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს, რომ კარლოსმა იმოგზაურა წმინდა მიწაზე და გაათავისუფლა იერუსალიმი - ჩნდება ამგვარი ლეგენდა. ისტორიული ცნობებიდან ვიცით, რომ კარლოსი არ ყოფილა წმინდა მიწაზე, მაგრამ მაინც ჰქონდა გარკვეული კავშირები მასთან, იერუსალიმის პატრიარქთან ურთიერთობის სახით (როდესაც ეს უკანასკნელი მეფეს უგზავნის წმინდა საფლავიდან ჯერ რელიქვიებს, შემდეგ კი მის გასაღებს). მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი მისთვის „პირველი ჯვაროსნის“ ტიტულის მისანიჭებლად. რას უნდა განეპირობებინა ამ ტრადიციის შემოღება, რომელიც დიდი ხნის

განმავლობაში იყო გავრცელებული ევროპულ საზოგადოებაში? იყო ეს ერთგვარი ხერხი ქრისტიანთა სულისკვეთების გაზრდისათვის, „ნარმართთა“ (ე.ი. ისლამის მიმდევართა) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური განაცხადი (ლეგენდა იქმნება კარლოსის ლაშქრობიდან ესპანელი მუსლიმების წინააღმდეგ), თუ ცალკეული პირების მიერ შემოღებული ფორმა კარლოს დიდის „მემკვიდრეებისათვის“ სიამოვნების და სიამაყის გრძნობის მისანიჭებლად. მიუხედავად იმისა, რომ გადაჭრით არ შეგვიძლია ვთქვათ, ვინ, როდის და რა მიზნით შემოიღო ეს ლეგენდა, საფიქრებელია, რომ ის სათავეს იღებს სხვადასხვა წყაროს ერთმანეთთან შერწყმით. თუმცაღა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდი ტრადიციის (რომელიც გულისხმობს შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოვლენამდე, ჯვაროსნულ ლაშქრობამდე), 300 წლით ადრე არსებული პიროვნებისთვის მიწერა არ უნდა ყოფილიყო საფუძველს მოკლებული.

ლუიზა პაპალაშვილი

შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენების მიზანია შვილის აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლა ინგლისურ და ქართულ ენებში. კვლევა მოიცავს ამ სიტყვების დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს და იმ მსგავსება-განსხვავებებს, რომლებიც გამოვლინდა ამ ორი ენის ლექსიკური ერთეულების შედარების პროცესში. მოხსენებაში განხილულია როგორც შვილის აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე მათი წარმომავლობა, იდიომატური გამონათქვამები, ანდაზები და ფრაზეოლოგიზმები, ქართულ ენაში კი ამ სიტყვას განვიხილავთ დიალექტური განსხვავებების ქრილშიც. აღსანიშნავია, რომ შვილის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობას უდიდესი წარსული და ისტორია აქვს, ისინი სათა-

ვეს ჯერ კიდევ ძველი ინგლისურიდან და ძველი ქართულიდან იღებენ. საინტერესოა, თუ როგორ იცვალა ფორმა და მნიშვნელობა ამ სიტყვებმა თანამედროვე ინგლისურში.

განხილული მასალა ემყარება შემდეგ წყაროებს: „The Oxford Library of Words and Phrases“, „The Oxford Dictionary of Idioms“, „Cambridge Advanced Learners Dictionary“ Merriam Webster’s Dictionary, „Collins Dictionary“ „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი“, თინათინ მარგალიტაძის „დიდი ინგლისურ ქართული ონლაინ-ლექსიკონი“.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართულში სიტყვა შვილს ბევრად უფრო ფართო გამოყენება აქვს ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში, ვიდრე ინგლისურში. ამას გარდა, შვილის აღმნიშვნელი სიტყვები გაანალიზებულია სხვა ქართველურ ენებშიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონტექსტმა ან სიტყვათა განსხვავებულმა კომბინაციამ შეიძლება სრულიად შეცვალოს მოცემული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა ორივე საკვლევ ენაში, ხოლო რაც შეეხება სიტყვა „შვილთან“ დაკავშირებულ იდიომებს, აქ ინგლისური და ქართული ენები არაერთ მსგავსებას ავლენენ, თუმცა კვლევის პროცესში გამოიკვეთა განმასხვავებელი სემანტიკური ნიუანსებიც.

დავით პაპუაშვილი გიორგი პაპუაშვილი

მეტაფორა და მეტონიმი ქართულ და ინგლისურ სპორტულ ტერმინებში

მოხსენებაში წარმოდგენილია ცნობილი და მეტ-ნაკლებად ცნობილი სპორტის სახეობები, სპორტული ტერმინები, მათი ეტიმოლოგია, მეტონიმიის და მეტაფორის შემთხვევები, განხილულია სპორტული ტერმინების ქართული ანალოგები, რომელთაგან ბევრი სიტყვასიტყვითაა გადმოთარგმნილი, თუმცა, ზოგიერთი უნიკალურობითაც გამოირჩევა. კვლევაში ჩართულია ქართული უნიკალური ტერმინებიც, რომელთაც ტრადიციული ფესვები აქვს. მაგალითად, ქართული ჭიდაობა და ილეთების ისეთი უნიკალური დასახელებები, როგორიცაა: სარმა, კაური, მოგვერდი, ცერული და სხვა. უნიკალურია თავად ლელოზურთის დასახელებაც და ტერმინი ლელოც (ლელოს გატანა), რომლის მნიშვნელობაც გაფართოვდა, განზოგადდა და სპორტის სფეროდან ყოველდღიურ ლექსიკაში გადმოვიდა.

ემპირიული მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ სპორტულ ტერმინებთან დაკავშირებული მეტაფორებისა და მეტონიმიის მაგალითები ორივე ენაში მრავლად გვხვდება როგორც სპორტის ილეთების, ცალკეული სპორტსმენებისა თუ გუნდების დასახელებებში, ასევე სპორტულ კომენტარებში. რაც შეეხება კომენტარებს, უნდა აღინიშნოს, რომ კომენტატორების მიერ მეტონიმიის გამოყენების სიხშირე, სავარაუდოდ, დროის სიმცირითა და საუბრის სწრაფი ტემპის საჭიროებითაა გამოწვეული, ხოლო, რაც შეეხება მეტაფორების გამოყენებას, ეს ინდივიდუალური კომენტატორის მხატვრულ-რიტორიკულ ოსტატობაზეცაა დამოკიდებული.

თეორიული მასალა, ძირითადად, მოპოვებულია ინგლისური წიგნიდან: „Lexicological view of the language of the sport commentaries“, ასევე, ინტერნეტწყაროებიდან. ემპირიულ მასალა კი მოვიძიეთ ქართული და ინგლისური ენების განმარტებითი ლექსიკონებიდან და სპორტულ მატჩებზე დასწრების პირადი გამოცდილებიდან.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი მედეა გვინჩიძე

ივანე ჯაბადარი ქართულ სამეცნიერო სივრცეში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ რუკაზე მრავალი სხვადასხვა მიმართულების ჯგუფი შეიქმნა, რომელთა მთავარი მიზანიც სოციალიზმის მოძღვრების ნიადაგზე, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური პრობლემების მოგვარება იყო, თუმცა ამის განხორციელება ყველა მათგანს სხვადასხვა გზით ესახებოდა. ერთ-ერთ ასეთ მოქმედ ჯგუფს ხალხოსანთა მიმართულება წარმოადგენდა.

სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, ამ ჯგუფში გამოსარჩევი ადგილი ქართველებს ეკავათ, რომლებმაც XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყეს მოღვაწეობა. ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო ივანე ჯაბადარი, 50-ის პროცესზე გასამართლებული ხალხოსანი და „სრულიად რუსეთის სოცუალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“ (იგივე მოსკოველთა წრე) ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე.

მისი პიროვნების გარშემო XIX საუკუნეშივე არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქმებოდა. მის რიგ მოსაზრებებს, რომელიც სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში იბეჭდებოდა, არაერთგვაროვანი გამოხმაურებები ჰქონდა. მის წინააღმდეგ გამო-

დიოდნენ ილია ჭავჭავაძე, ფილიპე მახარაძე, აკაკი წერეთელი, დათა ვაჩნაძე და ა.შ. ის ფაქტი, რომ გაზეთების ფურცლებზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ხალხი ივანე ჯაბადარს უპირისპირდებოდა, მის პიროვნებას ერთიორად საინტერესოს ხდის. აღნიშნული წინააღმდეგობა ხალხოსანი ჯაბადარის იდეების მიმართ გაგრძელდა დღევანდელ ქართულ სამეცნიერო სივრცეშიც.

თსუ-ის ასოცირებულ პროფესორ დიმიტრი შველიძესთან ერთად გამოსაცემად ვამზადებთ ივანე ჯაბადარის მოგონებების ქართულ ენაზე თარგმანს (გამოცემა დაგეგმილია უახლოეს მომავალში), შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე ბევრ რაიმეს შევეხეთ, მათ შორის, ჩვენი დაკვირვების ქვეშ მოექცა ივანე ჯაბადარის პიროვნება დღევანდელ ქართულ სამეცნიერო სივრცეში, რომელიც ზედმეტად უარყოფითადაა წარმოჩენილი და ეს იმ პირობებში, როდესაც სხვადასხვა სტატიათა ავტორები, რომლებიც ახსენებენ ან სულაც წერენ ივანე ჯაბადარზე (ირიბად მაინც), არ იცნობენ მის შემოქმედებასა თუ პუბლიცისტუკას არა თუ სრულად, ნაწილობრივაც კი. აღნიშნულის უმთავრეს მიზეზად ივანე ჯაბადარისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება მიგვაჩნია, რომლის გადააზრებაც, ქართულმა მეცნიერებამ, უხერხულად ჩათვალა და მისგან თავის არიდება სცადა. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ საკითხისათვის საგანგებო თავი მიგვეძღვნა ჩვენს წიგნშიც, მისი ნაწილი კი სტუდენტთა მე-4 საფაკულტეტო კონფერენციაზე წარგვედგინა.

ნერეკა სეხნიაშვილი

თარგმნის მნიშვნელობა და გამორჩეული მთარგმნელები

მხატვრული ლიტერატურის, სხვადასხვა ინფორმაციის თუ სტატიების თარგმნა თანამედროვე მსოფლიოსთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. თუმცადა, გასულ საუკუნეებში მას მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა.

რთულია იმის თქმა თუ ვინ იყო პირველი მთარგმნელი და საიდან გაჩნდა, ზოგადად, რაიმეს თარგმნის იდეა, თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი გახლდათ წმინდანი ჯერომი. მომდევნო წლებსა თუ საუკუნეებში, მის დაწყებულ საქმეს მრავალმა ადამიანმა აუბა მხარი და გააგრძელა მთარგმნელობითი საქმიანობა, რითაც მსოფლიოს განვითარებას შეუწყო ხელი და საფუძველი ჩაეყარა თარგმნის ისტორიას.

მსოფლიოში უამრავი მკითხველია, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, არამედ სხვა ენაზე შექმნილ შედეგებსაც ეცნობიან, თუმცადა უცხო ენა ყველამ არ იცის. მართალია, დღესდღეობით მრავალი ადამიანი სწავლობს უცხო ენებს, მაგრამ ერთია უცხო ენის ცოდნა, ხოლო მეორე მშობლიურ ენაზე დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა და ბოლომდე გააზრება. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ყველაფრის თარგმნა. დღეს სოციალური ქსელების, ინტერნეტწყაროების და მობილური აპლიკაციების მეშვეობით უფრო მარტივია გაეცნო ამა თუ იმ ინფორმაციას, თუმცა გასულ საუკუნეებში სხვა ქვეყნებთან ინტეგრაციის ერთადერთი საშუალება ინფორმაციის თარგმნა გახლდათ. ვფიქრობ, ითარგმნება და ყოველთვის ითარგმნებოდა ის რაც ღირებული არის და იყო.

მოხსენებაში განხილული იქნება თარგმნის მნიშვნელობა და, ზოგადად, მთარგმნელობით საქმიანობაში მთარგმნელის

როლი. თარგმნა ადამიანებს, ერებს, ენებსა და ქვეყნებს შორის კომუნიკაციის საშუალება იყო და, ფაქტობრივად, მის გარეშე ცივილიზაცია არ იარსებებდა.

მსოფლიოს მრავალი უნიჭირიესი მთარგმნელი ჰყავდა და დღესაც ჰყავს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და საკუთარი ხედვით, ნიჭითა და უნარით ბევრ საჭირო ინფორმაციას გადმოგვცემენ. მათ შორის საყურადღებოა და-ძმა უორდროპების ღვანლი საქართველოსთვის და აღსანიშნავია, რომ მარჯორი უორდროპი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ - ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და შეუფასებელი შედეგრი.

ნატა სიამაიშვილი

ნურადინ-ფრიდონი - მესამე მეგობარი

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ყოველი ეპოქის მკითხველისა თუ მკვლევრისათვის დაუშრეტელი შთაგონებისა და მუდმივი კვლევა-ძიების წყაროა. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მეგობრობის, სიყვარულის, ვაჟკაცობის, თავგანწირვის - უმაღლესი სულიერი ღირებულებების სიმბოლოებად არიან ქცეული ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

და მაინც, პოემის კითხვისას ჩნდება განცდა, რომ მულაზანზარის მეფე, ნურადინ-ფრიდონი, ერთობ განსხვავებულია თავისი მეგობრებისგან. არც ვაჟკაცობით, არც სიამაყით, არც მოყვრისათვის თავგანწირვის უნარით ფრიდონი არ ჩამოუვარდება ტარიელსა და ავთანდილს, მაგრამ პოეტი არაფერს გვეუბნება ასეთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის სატრფოს შესახებ, მაშინ, როდესაც სიყვარული პოემის მთავარი მოტივია.

ამავე დროს, ყურადღებას იქცევს ფრიდონის მიერ ტარიელისთვის საუცხოო კიდობნისა და მასში დატყვევებული ქალის (ნესტანის) ნახვის ამბავი, სადაც გმირი ამბობს, რომ შეუყვარდა „იგი მთვარი“. გარდა ამისა, საყურადღებოა ფრიდონის პრაგმა-

ტიზმიც: დავა ნათესავებთან მიწების გამო, საქმის დროულად მოგვარების სიყვარული (იგი ესწრაფვის ქაჯეთზე დროულად გალაშქრებას, რათა ძირითადად ლაშქარმა არ მოუსწროთ).

ჩვენს მოხსენებაში ფრიდონის სახე სწორედ ამ ასპექტით იქნება განხილული. კვლევისას დავეყრდნობით პომეს ტექსტსა და იმ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც ამ პერსონაჟის ხასიათის თავისებურებების გამოკვეთაში დაგვეხმარება.

ნინო სირბილაძე

ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარება ელჟარდ შევარდნაძის დიპლომატიის პერიოდში

1995 წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ედუარდ შევარდნაძემ დაიკავა. აღნიშნული მოვლენა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის.

ედუარდ შევარდნაძის დიპლომატიურმა საქმიანობამ საქართველოს პრობლემატურ საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართულობა და დახმარება განაპირობა. შედეგად, საქართველომ მიიღო დიდძალი პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული დახმარება ქვეყანაში კორუფციის, სიღარიბის, პოლიტიკური პრობლემების დასაძლევად. ვთვლი, რომ შევარდნაძის პირადად კონტაქტებმა და მისმა ავტორიტეტმა ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების მიღების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ჩემს მოხსენებაში შევეცდები გავაანალიზო ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის თავისებურებები ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებით და მიმო-

ვიხილო ის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც ხსენებული დიპლომატიის წყალობით საქართველომ ამ პერიოდში მიიღო. საკონფერენციო მასალად გამოყენებული ინფორმაცია, უმთავრესად, ეფუძნება ამერიკულ და ქართულ სტატიებს, გამოყენებულია ედუარდ შევარდნაძის მემუარები „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ და გელა ჩარკვიანის „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“. თემის დასამუშავებლად წარმოდგენილი მასალა, ასევე, მოდიებულია პროფესორ ალიკო ცინცაძისა და გიორგი ბალათურიას წიგნიდან - „არჩევანი“. საყურადღებოა რეჟისორ ნანუკა კიკნაძის დოკუმენტური ფილმი ედუარდ შევარდნაძეზე „წამი წამება წამიერება“, რომელშიც კარგადაა ასახული პრეზიდენტ შევარდნაძის დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან.

მოსხენების მიზანია, საქართველოს მძიმე პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობის და გაღებული ჰუმანიტარული დახმარების მნიშვნელობის განსაზღვრა. აგრეთვე, გაანალიზებული იქნება შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის, მისი პირადი ავტორიტეტის მნიშვნელობა ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების მოპოვების საქმეში.

კვლევის შედეგების მიხედვით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის განმავლობაში, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ყალიბდება მჭიდრო პარტნიორული კავშირი, რომელიც, უმთავრესად, გამოვლინდა ამერიკულ სამედიცინო თუ სასურსათო დახმარებაში. პარტნიორობის საფუძველზე აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში პრობლემატური, კონფლიქტური ვითარების მოწესრიგებაზე მუშაობა.

თამაზ სოფრომაძე დავით ფაცაცია

შესაწირის მნიშვნელობა სოფელი ხანის რელიგიურ პრაქტიკაში

მოხსენებაში განხილულია შესაწირის როლი სოფელი ხანის თანამედროვე ყოფაში. შეწირვა გულისხმობს რაიმეს მიძღვნას ზებუნებრივისადმი. ქართულ ყოფაში შესაწირად გამოიყენება ცხვარი, მამალი, ხბო, ფული, სანთელი და სხვა რამ. რელიგიის თანმხლები კონცეპტუალური ნაწილია რიტუალები, რომლებიც მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ქართულ ყოფაში შესაწირი, მსხვერპლშეწირვა ქრისტიანულთან ქრისტიანობამდელი რელიგიური ელემენტების სინთეზის შედეგად არსებობს და საქართველოს ყველა ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულში გვხვდება, მათ შორის სოფელ ხანში. აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიურ რიტუალებს, რომელთა შემადგენელი ატრიბუტია შესაწირი. შეწირვა სოფელში სალოცავების მიმდებარედ, რიტუალურად სუფთა ადგილებზე ხდება. სოფლის ყოფაში განსაკუთრებული ადგილი წმინდა გიორგის უჭირავს, რომლისადმი მიძღვნილი შესაწირი ადგილობრივთა კეთილდღეობის გარანტიაა მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში. წმინდა გიორგისადმი შესაწირთაგან აღსანიშნავია ხარი, რომელიც ტყელას ტყეში მდებარე წმინდა გიორგის სალოცავზე იწირება სულთმოფენობის დღესასწაულზე და ახსენებს ადგილობრივებს ვალდებულებას, რომ ყოველ მესამე წელს დათქმისამებრ, კონკრეტული გვარის წარმომადგენლებმა წმინდანს ხარი უნდა შესწირონ. მოხსენება ეყრდნობა 2021 წელს სოფელ ხანში მოპოვებულ ემპირიულ მასალას, რომლის შედეგად გაირკვა, რომ სოფელში არსებულ რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული შესაწირი და შეწირვის პრაქტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივთა სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან.

მარიამ ტურძილაძე

სივრცის სტრუქტურირების ერთი თავისებური მოდელის შესახებ XIX-XX საუკუნეთა პრესის სარეკლამო განცხადებებში

საგნებისადმი ადამიანის სივრცობრივი მიმართება მათი ობიექტური აღქმის შედეგად ყალიბდება და ენობრივად გამოიხატება. ქართულში სივრცული მიმართებების სტრუქტურირებისთვის ღირებულია სამი მთავარი განზომილება:

1. მეტყველის თვალთახედვის წერტილი;
2. გეოგრაფიული სივრცე;
3. საკომუნიკაციო სივრცე (რ. ასათიანი).

ჩვენი კვლევის საგანია გეოგრაფიულ სივრცეში საორიენტაციო საშუალებები, რომელთაც XIX-XX საუკუნეებში გამოჩაღალი გაზეთების „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“, სარეკლამო განცხადებების მიხედვით განვიხილავთ.

საანალიზო ტექსტებში სივრცეში საორიენტაციო ძირითად საშუალებათა (ადგილის ზმნიზედები, სახელის თანდებუდიანი ფორმები, ჩვენებითი ნაცვალსახელის შემცველი შესიტყვებები) შორის ჩვენი შესწავლის საგანია ურბანონიმები – ურბანულ ტოპოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები: ქალაქის ნებისმიერი ქუჩის, უბნის, მოედნის, სავაჭრო ობიექტებისა და მისთ. საკუთარი სახელები.

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია, როდესაც რეკლამის ფართოდ გავრცელების ერთადერთ საშუალებას პრესა წარმოადგენს. განმცხადებლებს უწევთ არა მხოლოდ სარეკლამო საგანი დაახასიათონ მიმზიდველად, არამედ მისამართი მიუთითონ ზუსტად, ადგილმდებარეობა აღწერონ ზედმიწევნით, რათა პოტენციურ მყიდველს მიგნება გაუადვილონ. ამ მიზნით, ისინი, სივრცეში საორიენტაციო

თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ საშუალებას მიმართავენ, მაგალითად: „სასახლის ქუჩაზედ“, „ტფილისში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად“, „ერევნის მოედანი, გუბერნიის სამმართველოს გვერდით“ და სხვ.

ცხადია, სივრცეში ორიენტაციის თვალსაზრისით ამ ტიპის მონაცემებიც საინტერესოა, მაგრამ ჩვენ მიერ განხილული განცხადებები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სივრცის სტრუქტურირების ერთი თავისებური მოდელით. აღნიშნულ ტექსტებში მისამართი, გარდა ტრადიციული მითითებისა (ქუჩის სახელწოდება, ნომერი), დაზუსტებულია ქალაქში იმხანად ცნობილ დიდ შენობათა დასახელებებით, ესენია: ჩითახოვის, სარაჯოვის (სარაჯევის, სარაჯიშვილის), ზუბალოვისა თუ სხვათა სახლები, რომლებსაც განსახილველ მასალაში ზოგჯერ ქუჩის სახელთან და ნომერთან ერთად (მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში, სახლი ბარამოვისა), ზოგჯერ კი ნომრის გარეშე, მხოლოდ ქუჩის სახელთან ერთად (გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში) ვხვდებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ცნობილი შენობების სახელები მისამართის ფაკულტატიურ კომპონენტებად გვევლინება.

საინტერესოა, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რა საქმიანობას ეწეოდნენ, და, რაც მთავარია, როგორ მოხდა, რომ შენობებს, რომლებიც თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობდა და რომლებშიც პრესტიჟული დაწესებულებები, მაღაზიები, რესტორნები თუ სალონები იყო გახსნილი, ხალხი სწორედ მათი მფლობელების სახელებით იცნობდა და იხსენიებდა. აღნიშნულ კითხვათა პასუხების ძიება მხოლოდ ნაწილია განსახილველი ტექსტების ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით ჩვენ მიერ დაგეგმილი კვლევისა, რაზედაც უფრო ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

ალექსანდრე უბირია

დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება

თანამედროვეობა კრიზისების ეპოქად იქცა. მსოფლიო პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა გარემოს დაბინძურება, სიღარიბე, შიმშილი, შეიარაღებული კონფლიქტები, ეპიდემიები, გლობალური დათბობა... მიგრაცია კვლავ რჩება თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევად და საფრთხედ, რომერი სახელმწიფოები რუკიდან გაქრნენ. ყველა ამ პრობლემის გადაჭრას საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად ცდილობენ, თუმცა რატომღაც იშვიათად კეთდება აქცენტი ამ გლობალური პრობლემების უმთავრეს კატალიზატორზე - დემოგრაფიულ აფეთქებაზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ ციკლებს, რომლებიც მსოფლიოს ისტორიაში მუდმივად მიმდინარეობდნენ და ძალზედ დიდ გავლენას ახდენდნენ მასზე. მოსახლეობის ზრდა და ფასების მერყეობა.

დემოგრაფიული აფეთქების ფენომენით უძველესი დროიდან ინტერესდებოდნენ. ბალანსის შენარჩუნება საზოგადოებაში ყოველთვის პრიორიტეტი იყო. საინტერესოა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების პლატონის (ძვ.წ. 427-347) და არისტოტელეს (ძვ.წ. 384-322) დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. პლატონის აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოსახლეობის რაოდენობის დადგენა, რაც საჭიროა მიწების გადანაწილებისთვის. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ საკუთრების ნორმის დადგენისას, საჭირო იყო შვილების რიცხვის ნორმის განსაზღვრა. ასევე, აღსანიშნავია, ჩინელი ფილოსოფოსის ხან ფეის (ძვ.წ. III საუკუნე) პოზიცია, რომ ძველ დროში, როდესაც ხალხი მცირერიცხოვანი იყო, მარაგის სიუხვე შეიმჩნეოდა.

მოსახლეობის სწრაფი ზრდითა და მისი საზოგადოებაზე გავლენით ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა ახალ და უახლეს

პერიოდში, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპებით წინა პერიოდებთან შედარებით. ეკოლოგიური პრობლემების გამოწვევამ და გლობალური დათბობის საფრთხემ, მსოფლიო ეკოლოგიურ კოლაფსამდე მიიყვანა.

XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისელმა მეცნიერმა, დემოგრაფმა და ეკონომისტმა

თომას რობერტ მალთუსმა (1766-1834) განიხილა ქარბი მოსახლეობის პრობლემა, იგი იკვლევდა სიღატაკის გამომწვევ მიზეზებს და შემოგვთავაზა მოსახლეობის და არსებობის საშუალებათა თანაფარდობის კანონი.

მალთუსის ნაშრომმა იმდენად დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერთა არაერთ თაობაზე, რომ ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, ე.წ. მალთუსიანიზმი. აღსანიშნავია, ასევე, ამერიკელი ბიოლოგის პოლ ერლიხის („დემოგრაფიული ბომბი“), რუსი დემოგრაფის ანატოლი ვიშნევსკის („მსოფლიო დემოგრაფიული აფეთქება და მისი პრობლემები“, „დემოგრაფიული რევოლუცია“ და სხვ.) და ამერიკელი სოციოლოგის ჯეკ გოლდსტონის („რევოლუცია და აჯანყება ადრეულ თანამედროვე სამყაროში“) მოღვაწეობა.

დღესდღეობით დემოგრაფიული აფეთქება არის გლობალური უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევა. თუ ეს ფენომენი არ იქნა შეჩერებული, ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება ეკოლოგიურ კატასტროფად გარდაიქმნას.

თეკლე უგულავა

გილგილჩაის თავდაცვითი კედლის სტრუქტურული და სამშენებლო დეტალები

გილგილჩაის კედელი იწყება, დღეს უკვე აზერბაიჯანულ ქალაქ გილგილჩაიში და მისი სახელი მომდინარეობს მდინარისგან, რომელიც იქვე მოედინება. კედლის სიგრძე აღემატება 12 კმ. ამავდროულად ის არის 6მ. სიმაღლის და კოშკები დაახლოებით 15მ. სიმაღლისაა, ამ შემთხვევაში კოშკების სიმაღლე იცვლებოდა ეპოქების და დისტანციის მიხედვით კოშკებს შორის. თავდაპირველად, მშენებლობა დაიწყო ახ.წ. V საუკუნეში და ამ კედლის მშენებლობის დასაწყისს უკავშირებენ იაზეგარდ I-ის სახელს, რომელმაც ბიზანტიასთან, ასევე, სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ახ.წ. 408 წელს და ამის შემდეგ მთავარი სპარსეთის მტერი გახდნენ ნომადიანელები, რომლებიც ჩრდილოეთიდან უტევდნენ.

თავდაპირველად, კედლის მშენებლობის მიზანი იყო ჩრდილოელი მომთაბარე ხალხისგან დაცვა, მაგრამ კედლის მშენებლობას აქვს გარკვეული სპეციფიკა. პირველ რიგში, კედელი მდებარეობს რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დერბენტის კედლისგან, რომელიც ასრულებდა იდენტურ ფუნქციას და ამიტომ კედლის მშენებლობის მიზანი ზუსტად ჯერ კიდევ უცნობია, ამასთან ერთად, სპარსული თავდაცვითი კედლის მშენებლობაში ივარაუდება მონაწილეობდა ბიზანტიური მხარეც, კონკრეტულად დაფინანსების სახით, რაც უკვე არადასაბუხადს ხდის ამ კედლის აგების მიზნებს. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ბიზანტია აფინანსებდა სამხედრო ძალის ყოფნას დერბენტის კედლებზე, თუმცა გილგილჩაის კედლის შემთხვევაში პირდაპირი მითითებები არ გვაქვს.

სპეციფიკა აქვს მშენებლობასაც იმიტომ, რომ 12 კმ-იანი კედლის მშენებლობა იმ დროს იყო საკმაოდ რთული საქმე და, შესაბამისად, ეს მშენებლობა მოკლევადიანი ცალსახად ვერ

იქნებოდა და საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, ამიტომ მასალაც და შენების სტილიც იცვლებოდა. პირველი საუკუნეების მანძილზე მშენებლობა მიმდინარეობდა სპარსელების მიერ და, შესაბამისად, იყო დიდი რაოდენობის ალიზის აგური, რომელიც თიხნარით იყო შევსებული, ციხეების ნაწილი აგებული იყო ქვათლილეთ, არაბულ ეპოქაში მასალა უცვლელი დარჩა, თუმცა შეიცვალა აგურის ზომები და წყობის წესი.

გილგილჩაის კედელი წარმოგვიდგენს საინტერესო შესასწავლ მასალას, რომლის მშენებლობაც მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე და, ამის გამო, კედელმა შეძლო ეს ეპოქები დაეკონსერვებინა.

ნანა უსტარაშვილი

დუმილის ესთეტიკა ლეო ქიაჩელის ერთ პროგნოზ ტექსტში

რეალობისა და მოჩვენებითის, სიზმრისა და ცხადის ერთმანეთში არევა, ადამიანის ბურუსით მოცული შინაგანი სამყარო, იდუმალი ძალები, გაორებული ცნობიერება - ეს იმ მნიშვნელოვანი საკითხების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც უდიდესი ქართველი მწერლის, ლეო ქიაჩელის, შემოქმედებაში მისი სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა. ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, ახალი ეტაპი იყო სრულიად ლიტერატურისთვის.

1909-1910 წლებში ქიაჩელი მთელ ძალისხმევას უძღვნიდა მწერლობას, მაშინ, როდესაც საქართველოშიც და რუსეთშიც ოფიციალურად ჩნდებოდა და ვითარდებოდა ევროპული მოდერნისტული ესთეტიკა.

ლეო ქიაჩელის ადრეულ ნოველებში წარმოჩენილი მოდერნისტული ნაკადი უამრავი სიმბოლოთია სავსე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „სტეფანე“ (1910 წ.), რომლის პერსონაჟებსაც მწერალი ძალიან საინტერესოდ გვიხატავს და

საუცხოოდ იყენებს დუმილის ესთეტიკას. სტეფანეს იქ ურჩევნია ყოფნა, სადაც ძოკო ეგულება, მუნჯ ადამიანთან, რომელსაც მთელი სოფელი უცნაური თვალთ უყურებს; ავტორი ნაწარმოების მთავარს აბრს კი სწორედ სტეფანეს ათქმევინებს და მკითხველს რიტორიკული შეკითხვით მიმართავს.

ნაშრომში განხილული თემა, ვფიქრობთ, მრავალმხრივ გვიჩვენებს, თუ რამხელა დატვირთვა აქვს ლეო ქიაჩელის შემოქმედებას ქართულ ლიტერატურაში და რა მნიშვნელობა გააჩნია ნოველას „სტეფანე“ ქართული მოდერნისტული აზროვნების სივრცეში.

მარიამ ფირცხალავა

„ამირანდარეჯანიანის“ კონცეფცია და ქართული საერო მწერლობის ჩამოყალიბების პრობლემა

V-XI საუკუნეები ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია, როგორც სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურის განვითარების პერიოდი, რომელიც უარყოფდა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უპირატესობას და მას მხოლოდ იმქვეყნიურობის ნაწილად განიხილავდა. ეს პროცესები მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც ქართული კულტურის სიღრმეში საერო მწერლობის ჩამოყალიბება დაიწყო. XII საუკუნიდან ქართულ მწერლობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად საერო მიმართულების აღმოცენება და მისი განვითარება გვევლინება, რომლის მამოძრავებელი ძალაც ადამიანის თვითღირებულება და ჰუმანისტური იდეოლოგია გახდა. ადამიანის ცხოვრების სინამდვილის ასახვით შთაგონებულმა საერო ლიტერატურამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შემოგვინახა, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ „ამირანდარეჯანიანი“; მისმა შექმნამ საფუძველი დაუდო ქართულ საგმირო-სარაინდო რომანს და დიდი გარდატეხა მოახდინა ქართულ ლიტერატურაში.

დაისმის კითხვა, როგორ შეძლო მან რადიკალურად განსხვავებული ცნობიერებისა და თვალთახედვის მქონე სასულიერო ლიტერატურის გვერდით ადგილის დამკვიდრება? ჩემს ნაშრომში სწორედ იმ პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებებზე ვისაუბრებ, რომელიც მისი შექმნისა და განვითარების წინაპირობა გახდა, ამასთან ერთად „ამირანდარეჯანიანის“ კონცეფციაზე, როგორც საერო ლიტერატურის საწყისზე საქართველოში. მოსე ხონელის სარაინდო-საფალავნო რომანმა საფუძველი ჩაუყარა რაინდობის ინსტიტუტის აღწერა-დახასიათებას, წარმოაჩინა მისი როლი არა მხოლოდ XII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ მისი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

ფერიდე ქავთარაშვილი

სირცხვილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურში, ქართულსა და ჩეჩნურში

ინგლისური, ქართული და ჩეჩნური ენები გამორჩეულია სინონიმური ლექსიკური ერთეულების სიმდიდრით. თუმცა, მნიშვნელობის თვალსაზრისით, ორ აბსოლუტურად იდენტურ ლექსიკურ ერთეულს შორისაც შესაძლებელია განმასხვავებელი მახასიათებლების დანახვა ღრმა კვლევის საფუძველზე. სირცხვილის აღმნიშვნელი ტერმინები ინგლისურ ენაში shame და disgrace ავლენენ მსგავს ტენდენციას. მათ შორის განსხვავება წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით არის წარმოდგენილი. ‘Shame’ აღნიშნავს სირცხვილის შეგრძნებას, მაშინ, როცა ‘disgrace’ ასოცირდება სახელის გატეხვასთან, პატივის დაკარგვასთან, როგორც შერცხვენის შედეგთან.

კვლევებით დასტურდება, რომ ინგლისური ლექსიკური ერთეულები - ‘shame’ და ‘disgrace’ და მათი კორელატები ქართულსა და ჩეჩნურ ენებში ერთი და იმავე სემანტიკური და-

ტვირთვის მატარებელი სიტყვებია. სამივე ენაში სირცხვილი უკავშირდება ღირსების დაკარგვას და სულიერ განცდებს, ეს განცდა იმდენად აკნინებს პიროვნების მე-ს, რომ იგი, ფაქტობრივად, სიკვდილს უტოლდება. ნაშრომში განხილულია მოცემული ლექსიკური ერთეულები ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. თემაზე მუშაობისას თეორიულ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ონლაინ ავტორიტეტული ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, ზოლტან კოვეჩესის „მეტაფორის თეორია“.

ზაზა ქარჩავა

დიმიტრი უზნაძე - ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი

1914 წლის ივნისში რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონი, რომელიც ნებას რთავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს გაეხსნათ სკოლები, სადაც სწავლების წარმართვა მშობლიურ ენაზე იქნებოდა შესაძლებელი. ამ კანონის მიღების შემდეგ სასიცოცხლო საჭიროება დადგა ქართული საშუალო სასწავლებლებისათვის შექმნილიყო ქართული სახელმძღვანელოები. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საშურ საქმეს მოჰყიდა ხელი სკოლა „სინათლის“ დირექტორი დიმიტრი უზნაძე იყო.

დიმიტრი უზნაძემ თავისი პირველი სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში, 1916 წელს, ქუთაისში გამოაქვეყნა, სახელწოდებით, „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.“ აღნიშნულ სახელმძღვანელოს მალევე მოჰყვა მთელი წყება სახელმძღვანელოებისა, ძველი მსოფლიოს ისტორიაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიმიტრი უზნაძის ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოებს ქართული სამეცნიერო სივრცე კარგად იცნობს, თუმცა ისინი სპეციალურად არავის

შეუსწავლია. ამრიგად, ჩვენ მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ დღემდე შეუსწავლელი მასალა და ქართული საისტორიო მეცნიერების ისტორიაში ამ სახელმძღვანელოებს სათანადო ადგილი მივუჩინოთ.

შემთხვევითი არაა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ, სახელმძღვანელოების შექმნას ენიჭებოდა. ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან, ეს სახელმძღვანელოები სქემატური და პირობითია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ იმ დროის ქართველი მოსწავლეები, პირველად იწყებდნენ მშობლიურ ენაზე მსოფლიოს ისტორიის შესწავლას. ამასთანავე, არ არსებობდა სათანადო სამეცნიერო ტერმინოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა სახელმძღვანელოებმა ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულა. სახელმძღვანელოებზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა, აკად. დიმიტრი უზნაძის ისტორიოგრაფიული კრედოს შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, რითიც საინტერესო კავშირები გამოიკვეთა მის ისტორიოგრაფიულ და პედაგოგიურ შეხედულებებს შორის.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, აკად. დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოები, ძველი მსოფლიოს ისტორიაში, დიდი ისტორიოგრაფიული დატვირთვის მქონეა და ჩვენ მოხსენებაში ის, სწორედ, ამ კუთხითაა წარმოდგენილი. აღნიშნული სახელმძღვანელოები, ადასტურებს, რომ 1918-1921 წლების ქართული მეცნიერება სწორი გზით ვითარდებოდა.

გიორგი ქელბაქიანი ნატო გაბარაშვილი

საბჭოთა პროპაგანდა მეორე მსოფლიო ომის დროს (პოსტერების მიხედვით)

საბჭოთა კავშირისათვის, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალების მონოპოლიზება ბუნებრივ მახასიათებელს წარმოადგენს, თუმცა ცენტრალური ხელისუფლება, გარდა ცენზურისა და ინფორმაციის უმკაცრესი კონტროლისა, თავისთვის ხელსაყრელი ისტორიული ნარატივის გასავრცელებლად, შესაბამისი საზოგადოებრივი განწყობების შესაქმნელად და უბრალოდ ალტერნატიული რეალობის კონსტრუირებისათვის აქტიურად მიმართავდა პროპაგანდას. რამდენადაც საზოგადოებრივი აზრის, ისევე, როგორც არნახული ადამიანური რესურსის მობილიზება, საბჭოთა კავშირის სასიცოცხლო ინტერესებისათვის აუცილებელი მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა, პროპაგანდის გამოყენებაც კიდევ უფრო გახშირდა, მეთოდები კი დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა. ამავე დროს, პროპაგანდა გახდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი, მასზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვების, მენტალური და ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენის, არარეალური შეფასებების გაკეთების მიზნით.

ნაშრომი მიმოიხილავს საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტულ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, უშუალოდ ომის მიმდინარეობისას და მის დასასრულს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის საფუძვლიანად შესასწავლად, გამოყოფილი იქნება ძირითადი ქვესაკითხები – მედიისა და საინფორმაციო წყაროების სრული მონოპოლიზაცია ომის დროს, კერძოდ, გამოვლიძებული ნაციონალიზმი, როგორც პროპაგანდის იარაღი; საბჭოთა პროპაგანდისტული პოსტერები 1933 წლიდან 1939 წლამდე და 1939 წლიდან 1941 წლამდე პერიოდში; საბჭოთა

პოსტერებზე ასახული ნაციისტური გერმანია და დასავლეთი საბჭოთა კავშირის პროპაგანდაში; რამდენიმე ნიმუშის გაანალიზებით განვიხილავთ, აგრეთვე, საკუთრივ საბჭოთა კავშირს ომისდროინდელი დასავლეთის პროპაგანდისტულ ნარატივში.

ნაშრომი მიმოიხილავს მრავალფეროვან საინფორმაციო მასალას, შესაბამისი ისტორიული პერიოდების მთავარ საინფორმაციო პროპაგანდისტულ ნარატივებს, კონკრეტულად პოსტერებს, როგორც მათ ძირითად ტენდენციებსა და თვისებურებებს, ასევე, შექმნაზე პასუხისმგებელი ძირითადი სახელმწიფო ორგანოების მუშაობის სპეციფიკას და კონკრეტულ პირებს, რომლებიც მიზანმიმართულად ქმნიდნენ ომისდროინდელი საბჭოთა პროპაგანდის მთავარ მიმართულებასა და შინაარსს. სწორი მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენად, ასევე, გაანალიზდება რელევანტული აკადემიური ლიტერატურა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მარიამ ქვლივიძე

ფოლკლორული ნაკადი „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის კონცეფციასა და სიუჟეტურ წყობაში

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ითვლება, რომ ქართულ მწერლობაში სწორედ ამ პოემამ შემოიტანა „ნაადრევი რენესანსი“. „ვეფხისტყაოსანი“ მე-13 საუკუნის ძეგლია, რომელშიც შეზავებულია ანტიკური, დასავლური, თუ აღმოსავლური ფილოსოფია. ავტორი უცხოური ლიტერატურის საოცარ ცოდნას ამჟღავნებს, მაგრამ, გარდა ამისა, არ ივიწყებს ქართულ ფოლკლორულ საწყისებს.

„ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ფოლკლორის ურთიერთობა საკმაოდ ვრცელი თემაა, ამიტომ ჩვენს მოხსენებაში ვცდებით მომივიხილოთ უშუალოდ მეგობრობა და მის ირ-

გვლივ განვითარებული საკითხები: როგორ აისახა ქართული ძმადნაფიცობის ინსტიტუტი ამ პოემაში, განვიხილავთ ციფრი სამის ისტორიულ მნიშვნელობასა და სიმბოლიკას. სავარაუდოა, რომ ავტორს შემთხვევით არ ჰავს შერჩეული სამი მთავარი პერსონაჟი, რომლებსაც პროლოგში განსაკუთრებულად იხსენიებს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“. ნაწარმოები თავისი სიუჟეტური წყობით საოცარ მსგავსებას ავლენს ფოლკლორულ ზღაპართან. ჩვენ შევეცდებით, პოემის ფაბულა დავუკავშიროთ „შუაგულის მითოლოგიას“. გავავლოთ პარალელები ქართულ ანდრეზსა და ამ გენიალურ ლიტერატურულ პოემას შორის. აგრეთვე, ვისაუბრებთ ხალხური ამირანის მსგავსება-განსხვავებაზე.

თეზისში მოცემულ საკითხებს დეტალურად და ვრცლად მიმოვიხილავთ მოხსენებაში.

ანა ქიტესაშვილი

ფსიქიკური აშლილობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა „mad“ და მისი შესატყვისები, ანუ კორელატები ქართულ ენაში. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების როგორც ეტიმოლოგია, ისე სემანტიკა. შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვის და მისი კორელატის სხვადასხვა მნიშვნელობები. ნაშრომში, ასევე, განხილულია ფსიქიკური აშლილობის გამომხატველი სხვა სინონიმური სიტყვები და ფრაზეოლოგიური ერთეულები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელო (Ginzburg et al. 1979) და ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონები (The lexicon of Early Modern English და სხვა). ასევე, მასალა მოპოვებულ იქნა ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონიდან (მე-3 გამოც. - თბ.: განათლება, 1978.), სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“.

მოხსენებაში გაანალიზებულია საკვლევი სიტყვების გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ანდაზებსა და იდიომებში. განხილულია მოცემული ძირებიდან ნაწარმოები სიტყვები.

შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის:

მსგავსება გახლავთ ის, რომ ორივე ენაში სიტყვა „გიჟს“ აქვს ერთნაირი ძირითადი მნიშვნელობა და გამოხატავს ადამიანის სულიერ დაავადებას; შეშლას (insane, demented). ასევე, „furious“, ქართულში, როგორც „მძვინვარე“, ახასიათებს ადამიანის გახელებას, გაბრაზებას, გაშმაგებას და მიუთითებს მის არაადეკვატურ საქციელზე. თუმცა, გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა მნიშვნელობის მხრივ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. მაგ., Go bananas/go nuts/go ape - ასოციაციურად უკავშირდება ცხოველთა ალტყინებასა და ენთუზიაზმს, რაც გადამრდილია სიბრაზესა და გაშმაგებაში. ქართულ ენაში მსგავსი იდიომები არ მოიძებნება. ანალოგიურად შეგვიძლია დავასახელოთ ქართული მაგალითიც, როდესაც „გიჟი“ გვევლინება საალერსო სიტყვადაც - „შენ მოწყვიტე ქორთა ვარდი, გადმომიგდე საყვარელსა და მითხარი: ჩემო გიჟო! ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა!“ (ნ. ლორთქიფანიძე), რასაც ინგლისურ ენაში ვერ შევხვდებით. განსხვავებებს ვხვდებით ანდაზებშიც. ქართულ ენაში ანდაზები დაკავშირებული სიტყვა „გიჟთან“ აერთიანებს იდეას, რომ გიჟი ასოცირდება უჭკუო ადამიანთან, რომელსაც არ მოეკითხება არაადეკვატურ საქციელზე პასუხი. მაგ., „გიჟი ბამბაზედაც ფეხს მოიტეხსო“; „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“, ხოლო ინგლისურ მაგალითში „mad“ კავშირშია გაბრაზებით გამოწვეულ გახელებასთან „Anger is a short madness“.

კვლევის პროცესში გამოვლენილმა მრავალმა სემანტიკურმა განსხვავებამ დაადასტურა, რომ ინგლისური და ქართული კორელატები სემანტიკურად სრულად ვერ ფარავენ ერთმანეთს.

თამუნა ქოთოლაშვილი

ინგლისური მოდალური ზმნის NEED

ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი

მოცემული ნაშრომის მიზანია განიხილოს ინგლისური ლექსიკური ერთეულები - არსებითი სახელი და ზმნა need, სინქრონულ და დიაქრონულ ქრილში; კერძოდ, ერთი მხრივ, ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული ლინგვისტური ერთეულების სემანტიკა და გამოყენების თავისებურებანი (ანუ პრაგმატიკა) თანამედროვე ინგლისურში, ხოლო, მეორე მხრივ, განალიზებულია ის სემანტიკური და ფუნქციური ცვლილებები, რომლებიც მათ განიცადეს ინგლისური ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგია (Ginzburg et al. 19790), თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკა (Goksadze et al. 2013) და ასევე ისტორიული ლინგვისტიკა (Rastorguyeva 2003; Alteo (2010). ემპირიული მასალა მოპოვებულია ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონებიდან (როგორც თანამედროვე, ასევე საშუალო ინგლისურისა და ძველი ინგლისურის ლექსიკონებიდან) და ინტერნეტწყაროებიდან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე პოლი-ფუნქციურ ზმნას, need, ჰქონდა ორი წინამორბედი ფორმა: ინდოევროპული წარმოშობის *þurfan და ძველი ინგლისური ზმნა neodian, ამასთანავე, საინტერესოა, ხშირად გამოყენებული კონსტრუქცია niedþearf/ nedþearf, რომელსაც, სავარაუდოდ, გავლენა უნდა ჰქონოდა თანამედროვე მოდალური need-ის ფორმირებაზე გარკვეული ლინგვისტური მიზეზებიდან გამომდინარე. აღნიშნული ფორმების მსგავსმა სემანტიკამ და გამოყენების თავისებურებებმა საფუძველი ჩაუყარა პოლიფუნქციური need-ის ჩამოყალიბებას თანამედროვე ინგლისურში.

მანანა ღავთაძე

აღმოსავლური მოტივები XVIII საუკუნის ფრანგულ ხელოვნებაში: ფრანსუა ბუშეს ჩინური სერიები

როგორც ცნობილია, აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის აქტიურ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობას, საფუძველი აბრეშუმის გზის პროექტით ჩაეყარა. ამ ორ განსხვავებულ სამყაროს შორის ინფორმაციის გაცვლის მთავარი წყარო კი, საუკუნეების განმავლობაში, მისიონერთა, განსაკუთრებით, იეზუიტთა ორდენის მოღვაწეობა იყო. ევროპისათვის უცნობი, „ეგზოტიკური“ წეს-ჩვეულებების, კულტურისა და ფილოსოფიის შესახებ წარმოდგენები, სწორედ მისიონერთა მიერ აღქმული და ინტერპრეტირებული „აღმოსავლეთის“ მიხედვით ყალიბდებოდა. მათ მიერ ევროპაში შემოტანილი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (ფაიფურის ნაწარმი, აბრეშუმი, ხალიჩები), ხელნაწერები და ხელოვნების ნიმუშები, ევროპელი ხელოვანებისთვის, ინსპირაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

რენესანსის ეპოქიდან დაწყებული, ევროპელ მხატვართა შემოქმედებაში, ამ ინსპირაციის საინტერესო ვიზუალიზაცია ხდება. მოხსენების მიზანია, აღნიშნული პროცესის განხილვა როკოკოს ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ფრანგი მხატვრის, ფრანსუა ბუშეს (1703-1770) შემოქმედების მაგალითზე. კერძოდ, გაანალიზებული იქნება მხატვრის მიერ ჩინურ მოტივებზე შექმნილი გრავიურების სერიები, ხალიჩების დიზაინი და ფრანგული ფაიფურის წარმოების ცენტრში - სერვში შესრულებული ნაწარმი. ბუშესა და მის თანამედროვეთა შემოქმედებაში ასახული ჩინური მოტივების შედარებით, ნაჩვენები იქნება, თუ რამდენად ავთენტურად ან განსხვავებულად იქნა ფრანგ ხელოვანთა მიერ აღქმული ეგზოტიკური აღმოსავლეთი.

ნათია ყიფიანი

მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობა „ბებერი მეზურნეები“

მერაბ ელიოზიშვილი XX საუკუნის მწერალია, ავტორი მრავალი საინტერესო მოთხრობის, პიესისა და კინოსცენარის. 2010 წელს გამოიცა მისი მოთხრობების კრებული, რომელშიც შედის: „ბებერი მეზურნეები“, „სინოს წითელი ხარები“, „წეროები“, „თავგიონი და ვირთავგიონი“, „კურდღლის სიმღერა“ და სხვა. მერაბ ელიოზიშვილი ცხინვალში დაიბადა და ამ ადგილის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულსა და დარდს ხშირად ასახავს თავის შემოქმედებაში. იგი იყო ქართული კინოს მსახიობიც და მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ფილმში, რომელთა შორისაა „შერეკილები“ და „გაგიმარჯოს, მეზობელო!“. მერაბ ელიოზიშვილი 15 წელზე მეტი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახური. დიაკვნად კურთხევის დროს მამა ელიოზი ეწოდა.

„ბებერი მეზურნეები“ ამ შესანიშნავი ავტორის პირველი მოთხრობაა, რომლის სიუჟეტიც ქალაქ გორში ვითარდება. მისი პერსონაჟები მოხუცი მეგობრები - მედოლე თედო, მეზურნე ბუთხუზა და მეგარმონე სოსა არიან, რომელთა პროფესიაც, ამ ადამიანთა არსებობის მსგავსად, ნელ-ნელა ყველამ მიივიწყა. დღესასწაულებზეც კი არავის აგონდება ბებერი მეზურნეები. თუმცა კარგად ხვდებიან, რომ აღარავის აღარ სჭირდება ისინი, ერთმანეთსაც არ უმხელენ დარდს და დარჩენილ დღეებს მაინც იმის იმედით იხალისებენ, იქნებ წასვლამდე „ერთი კოხტა ტუში ჩააწკრიოლონ“. „ეჰ, გულგაუტეხელები იყვნენ, თორემ!“-ამბობს ავტორი. ნაწარმოები უდიდესი ჰუმანიზმით, სიკეთითა და, ამავე დროს, მძიმე ადამიანური სევდითაა სავსე. მოთხრობა ავტორმა შემდგომ პიესად გადააკეთა და დიდი წარმატებით იდგმებოდა როგორც გორის, ასევე რუსთაველის თეატრის სცენაზე, 1973 წელს კი ვალერიან კვაჭაძემ გადაიღო ამავე სახელწოდების ფილმი, რომელშიც ქართული კინოსამყაროს

უდიდესი მსახიობები მონაწილეობენ: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი სალარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ბუხუტი ზაქარიაძე და სხვ.

მოხსენებაში ვისაუბრებთ იმ ადამიანურ ღირებულებებზე, რომლებიც ასე მრავლადაა ნაჩვენები განსახილველ ნაწარმოებში და ვეცდებით, ნათლად გადმოვცეთ ამ დიდი ავტორის სათქმელი, რომელშიც იგი ზოგადსაკაცობრიო დარდსა და პრობლემებს ასახავს; ესაა დავინწყების შიში, შიში საყვარელი ადამიანების დაკარგვისა, საზოგადოების გულგრილობა, დროის მუდმივი სვლა, რის გამოც, ზოგჯერ, ადამიანთა სიცოცხლესთან ერთად, მათთვის ძვირფასი ფასეულობების გაქრობის საფრთხე დგება.

მარიამ შამათავა

დრო ექსპრესიონისტულ ტექსტებში კონსტანტინე გამსახურდიას ორი ნოველის – „საათებისა“ და „პორცელანის“ მიხედვით

კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთია იმ ხელოვანთა შორის, რომლებმაც საგრძნობლად გაზარდეს XX საუკუნის ქართული მწერლობისა და, საზოგადოდ, ქართული კულტურის სააზროვნო სივრცე. იგი საფუძვლიანად იცნობდა როგორც ქართულ კულტურას, ისე ევროპულ მწერლობასა და ფილოსოფიას. ამ უკანასკნელის შესაცნობად განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა გერმანიაში გატარებული წლები, როდესაც გამსახურდია უშუალოდ დაუახლოვდა ევროპულ ინტელექტუალურ სამყაროს. მისი შემოქმედების დასაწყისშივე გამოიკვეთა ევროპული ლიტერატურული სკოლების გავლენა; ყველაზე მეტად კი ექსპრესიონიზმისა, რომელიც არა თუ ცხოვრებისაგან განდგომას მოითხოვდა, პირიქით, მწერლის სიტყვებით „მოდრავი ყოფის ტრფიალს“ გულისხმობდა.

ექსპრესიონიზმით გატაცება გამოვლინდა კონსტანტინე გამსახურდიას ადრეულ ნოველებში. მათ შორისაა „პორცელა-

ნი“, რომელშიც კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება „ბანალური რელიზმისა“ და აღინიშნული მოდერნისტული მიმდინარეობის მიმართ. მკვეთრად ექსპრესიონისტულია „საათები“, რომელიც 1920 წელს დაიწერა ბერლინში ყოფნის დროს. მასში დროის მარადიულ მდინარებაზეა საუბარი, რომელსაც ვერავინ ვერ აღუდგება წინ. იგი ყველაფერს აქრობს და ყველაფერს ართმევს ადამიანს, მაგრამ არის ერთადერთი რამ, რაც რჩება: ეს არის ხელოვნება.

აღნიშნული ნოველების მიხედვით, ვისაუბრებ კონსტანტინე გამსახურდიას შეხედულებაზე სინამდვილის ასახვის ექსპრესიონისტული ხერხის, დროის ძალისა და ხელოვნების, როგორც „მესამე რეალობის“ აღქმის შესახებ.

ანა შარიქაძე

ინგლისური და ქართული ლექსიკური

ერთეულების LEFT/RIGHT – მარცხენა/მარჯვენა

სემანტიკისათვის

მოხსენებაში წარმოდგენილია ინგლისური სიტყვების „Left/Right“ და მათი ქართული კორელატების „მარცხენა/მარჯვენა“ შეპირისპირებითი ანალიზი. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა. ერთმანეთს შევადარე ინგლისური სიტყვებისა და მათი ქართული ეკვივალენტების სხვადასხვა მნიშვნელობა, ასევე მოცემული სიტყვების კონოტაცია განვასხვავე რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც, განვიხილე ცრურწმენებიც. თეორიული მასალა მოპოვებულია ინგლისური წიგნიდან: „A COURSE IN MODERN ENGLISH LEXICOLOGY“. ემპირიული მასალა კი მოვიპოვე კემბრიჯის (Cambridge Dictionary), ოქსფორდის (Oxford Dictionary), კოლინზის (Collins Dictionary), მერიემ ვებსტერის (Merriam-Webster Dictionary) და ონლაინ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (Online Etymological Dictionary). ამავდროულად, ინგლისურ-ქართულ (English-Georgian Learner's Dictionary), თავისუფალ

(The Free Dictionary) და ქართულ სინონიმთა ლექსიკონებში. საილუსტრაციო მაგალითები აღებულია როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შესწავლილია ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და იდიომებში. ასევე, კვლევაში გაანალიზებულია მოცემული სიტყვების ძირებიდან ნაწარმოები და შედგენილი სიტყვების მნიშვნელობები.

შეპირისპირებითა ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: კულტურაში კონოტაციურად, პოლიტიკურად, რელიგიურად და ცრურწმენებშიც, მარცხენა ასოცირდება ყველაფერ ნეგატიურთან, ხოლო მარჯვენა დადებითთან, თუმცა ორი ენის ემპირიული მასალის შედარებამ გამოავლინა გარკვეული სემანტიკური განსხვავებები, მაგალითად, Right, როგორც ზმნა, ნიშნავს ნორმალურ/ვერტიკალურ მდგომარეობაში მოყვანას. ასევე, როგორც ზედსართავი სახელი Right გვხვდება შესაფერისის, შესატყვისის მნიშვნელობით. ამავდროულად, როგორც ზედსართავი სახელი Right ნიშნავს სამართლიანს, ჯანსაღს, ნორმალურს, ჩვეულებრივს და, ასევე, მუშა მდგომარეობაში მყოფს, გამართულს (Something isn't quite right with the brakes on your bike), ხოლო, როგორც ზმნიზედა Right ატარებს ამ მნიშვნელობებს: ზუსტად, სწორედ; მთლიანად, ბოლომდე; მაშინვე, დაუყოვნებლივ. მაგრამ ქართულ ენაში განსახილველი სიტყვები ამ მნიშვნელობებით არ გვხვდება.

ნინო შიომღვიმელი

„ვეფხისტყაოსანი“ და აღმოსავლური ლიტერატურა

**„ვეფხისტყაოსანი“ აქტუალობას არასდროს
ჰკარგავს, არც მკითხველთა და არც სხვადასხვა
მიმართულების მკვლევართა შორის. იკრებს რა
საკუთარ თავში ზღვა სათქმელს და ინფორმაციას,
აჩენს უამრავ შეკითხვას და უამრავ ფიქრს აღძრავს.**

ერთ-ერთი საინტერესო საკითხი რუსთველის პოემის აღმოსავლური მოტივებია. უფრო ზუსტად, აღმოსავლური სამყაროს იმ ელემენტების გამოვლენა, რომელიც პოემამ აირეკლა. ქართულ ლიტერატურაში მრავლადაა ისეთი თხზულება, რომლებშიც ფაბულაა ნასესხები, ხან სიუჟეტია გაქართულებული, ზოგჯერ პასაჟები მოგაგონებს რომელიმე ძველ აღმოსავლურ ეპოსს, ზოგჯერ კი – გამომსახველობითი საშუალებები, სახე-სიმბოლოებია მსგავსი. რა თქმა უნდა, რუსთველოლოგების ინტერესის მიღმა არ დარჩენილა ვეფხისტყაოსნის უძველეს აღმოსავლურ ეპოსებთან ურთიერთმიმართების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიმართებას „გილგამეშიანთან“, სიუჟეტის მსგავსებას სანსკრიტზე დაწერილ დიდებულ ეპოს „რამაიანასთან“ (რომელშიც შეყვარებული ვაჟი დაკარგულ სატრფოს ორ მეგობართან ერთად ეძებს და მას დემონების სამეფოდან ათავისუფლებს). აქვე უნდა ვახსენოთ „ვისრამიანი“, რომლის პროზაულად შესრულებული პირველი ქართული თარგმანი სარგის თმოგველს მიეწერება და რომლის გამირების სიყვარულს რუსთველი ახსენებს პოემაში.

მოხსენების მიზანი სხვადასხვა მეცნიერის იმ დაკვირვებათა და თვალსაზრისთა შეჯამება-გაანალიზებაა, რომლებიც სწორედ ვეფხისტყაოსნისა და აღმოსავლური ლიტერატურის ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს.

ნანა შოშიაშვილი

ერთი თავისებური ზმნის გამოყენებისა და ფუნქციების შესახებ თანამედროვე ქართულში

ქართული ენის ზმნურ სისტემაში ბევრი თავისებური ზმნაა, მათ შორის ზმნა „არის“ გამოირჩევა განსაკუთრებით ბევრი თავისებურებით, რომლებსაც კარგა ხანია ყურადღება მიაქცევს ქართველმა ლინგვისტებმა: ის ფორმებით ღარიბია, აკლია ზმნური კატეგორიები და მესამე პირში, გარდა სრული ფორმისა, აქვს შემოკლებულიც. აღსანიშნავია, რომ მისი შემოკლებული ვარიანტი (ხმოვნითი ნაწილი „-ა“) შესაძლებელია იდგეს ნებისმიერ მეტყველების ნაწილთან, ხოლო თანხმოვანზე დამთავრებულ ნაცვალსახელებთან ან ზმნიზებდებთან საჭიროა წინ დაემატოს მეორე „-ა“ (ვინაა, როგორაა, აქაა, იქაა, სადაა, საიდანაა, როდისაა, რატომაა...).

ამ ზმნის გამოყენებასა და მართლწერასთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე დისკუსია გაიმართა XX საუკუნის 60-80-იან წლებში, დავობდნენ „არის“ ზმნის შემოკლებული ვარიანტის მართებულობაზე სალიტერატურო ქართულისთვის. ამ დისკუსიაში მონაწილეობდნენ ლინგვისტები: ზ. ჭუმბურიძე, ივ. იმნაიშვილი, ლ. კიკნაძე, რომელთა მოსაზრებები და პოზიცია თავიდანვე სწორი იყო, რაც დადასტურდა კიდევ დროთა განმავლობაში (საპირისპირო აზრს გამოთქვამდნენ მ. მამულაშვილი და ალ. ფოცხიშვილი).

ჩვენ შევისწავლეთ „არის“ ზმნის გამოყენების შემთხვევები ქართული ენის ეროვნულ კორპუსზე დაყრდნობით, შევეცადეთ დაგვედგინა, როდის იკვეცება ეს ზმნა და გამოიყენება მისი ხმოვნითი ნაწილი „ა“, რომელ მეტყველების ნაწილებთან შეიძლება იდგეს; ერთმანეთს შევადარეთ ამ ზმნის ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ტექსტებში; ყურადღება მივაქციეთ, როდისაა ეს ზმნა სრულმნიშვნელოვანი და როდის – დამხმარე (კოპულა, ანუ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი).

განვიხილეთ შემთხვევები, როცა დასახელებულ ზმნას ენაცვლება თავაზიანი ეკვივალენტები (ბრძანდება, გახლავს), ხოლო შედგენილ შემასმენელთან რელატიური ფორმების საჭიროებისას – სხვა ზმნური ფორმები (მაგალითად, აქვს, ჰყავს).

ამას გარდა, ერთმანეთს შევადარეთ „არის“ ზმნის შემცველი შედგენილი შემასმენელი და აღწერილობითი ვნებითი, რომ ნათლად გამოგვეკვეთა მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.

დიანა ჩადუნელი

ქვანა პარკერის ორი სამყარო

მკვიდრი ამერიკელების ისტორიაში მამაცი და საკუთარი ხალხის ერთგული ბელადები საკმაოდ მრავლად იყვნენ. თითოეული ბელადი ერთმანეთისგან გამოირჩეოდა. ყველას გააჩნდა ინდივიდუალიზმი, რაც მათ ბრძოლისუნარიანობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. მკვიდრი ამერიკელები იყვნენ თავისუფალი ხალხი, რომლებიც ვერ შეეგუვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაპყრობას. ინდიელი ბელადები პატარა ასაკიდან შეჩვეულნი იყვნენ თავის გადარჩენისთვის ბრძოლას სიკვდილამდე. ბიზონებზე მონადირე, ძლიერ და მამაც ბელადებს ღირსების შელახვას უთანასწორო ომში თავის განირგა ერჩინათ. ჩემი კვლევის თემა სწორედ ეს გახდა, შევისწავლო ერთი კონკრეტული ბელადის ბუნება, ინდივიდუალიზმი, მისი ცხოვრება.

ამ შემთხვევაში, ჩემი კვლევის მთავარი ფიგურანტია ქვანა პარკერი, კომანჩების ტომიდან. ქვანა პარკერი, მკვიდრი ამერიკელი ტომის, კომანჩების ერთ-ერთი დანაყოფის ქვაჰადის ბელადი იყო. იგი დედის მხრიდან თეთრკანიანი იყო, რაც ხსნის მის გვარს - პარკერს. ქვანა ბავშვობიდან გამოირჩეოდა სიბრძნითა და სიმამაციით, 15 წლის უკვე შემდგარი მეომარი იყო. ქვანა პარკერი უკანასკნელი დანებდა ამერიკის შეერთებული

შტატების არმიას, თუმცა განთავისუფლების იმედი იქამდე არ დაუკარგავს, სანამ ყველა გზა არ ამოწურა. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბელადია მთელს მკვიდრ ამერიკელ ცხოვრებათა ისტორიაში.

მოხსენებაში განხილული იქნება ქვანა პარკერის ორი სამყარო: მომთაბარეობიდან მკვიდრ ცხოვრებამდე, ძლიერი და თავისუფლებისთვის მებრძოლი ბელადიდან რეზერვაციაში მცხოვრებ ფერმერამდე, რომელიც კვლავ აგრძელებდა საქმიანობას თავისი ხალხის კეთილდღეობისთვის.

ჩემს კვლევაში ვისაუბრებ მის საინტერესო პორტრეტზე, თანამედროვედ ჩაცმულ ბელადზე, რომელსაც ორი დიდი ნაწინავი ამშვენებდა და მკაცრი სახის გამომეტყველება ჰქონდა.

დასკვნის სახით, ქვანა პარკერის მაგალითიდან გამომდინარე, აღვწერ ერთიან სურათს, თუ როგორი იყო მკვიდრ ამერიკელთა ტომის, კომანჩების ბელადის ცხოვრება, რა გზის გავლა უწევდა მას და როგორ აისახა ამერიკის შეერთებული შტატების მკაცრი პოლიტიკა მის ცხოვრებაზე.

გვანცა ჩანტლაძე

ადამიანის ბუნება და ომის ფენომენი

„თუ მშვიდობა გსურს გაემზადე ომისთვის“. ამ ლათინურ ანდაზაში ნათლად ჩანს ომის საჭიროება როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ისე მთელი კაცობრიობისთვის. ადამიანს უყვარს მშვიდი და კომფორტული ცხოვრება, თუმცა უყვარს თავაწყვეტილი ომი ამ ყველაფრის მისაღებად. შესაბამისად, ომი ადამიანის გამოგონილია, ომი თან გასდევს კაცობრიობის ისტორიას და მეტიც, ისტორიის წიგნიდან ომს თუ ამოვაკლებთ მხოლოდ და მხოლოდ ორი ფურცელი მშვიდობა შეგვრჩება, იმდენად ბევრი ომი იყო აქამდე. დღეს, XXI საუკუნეშიც კი გვაქვს ომები, თანამედროვეობა არ წყვეტს ომს.

სამწუხაროდ, ომი ადამიანს წყალივით სჭირდება და ეს ზოგადსაკაცობრიო ფენომენი თავს არ გვანებებს ან თვი-

თონ ჩვენ არ ვანებებთ თავს მას. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ვისაუბრებთ ადამიანის ბუნებაზე და, ზოგადად, ომის ფენომენზე.

ამისთვის კი დიმიტრი უზნაძის ომის ფილოსოფიის კარგი გააზრება დაგვჭირდება. იგი ცდილობს, რომ შეენიწააღმდეგოს რუსი ფილოსოფოსის, ვლადიმერ სოლოვიევის მოსაზრება, ადამიანის არსებობის შესახებ, რომ ეს გამოიხატება მის სუბიექტურ მისწრაფებებში და მათ დაკმაყოფილებაში, მისი აზრით მსოფლიოს ეგოისტური აღვირაზსნილობა ატრიალებს და სწორედ ამის შედეგია ომი. მაგრამ დიმიტრი უზნაძე ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და საკითხს სხვაგვარად სვამს - „ჩვენი არსებობის აზრი თვით ჩვენი სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ და მასზე მაღლა“.

ბიბლიოგრაფია

1. თევზაძე დავით „ომის ბუნებისა და სამხედრო ისტორიული ცოდნის შესახებ“.
2. უზნაძე დიმიტრი „ომის ფილოსოფია“ (library.iliauni.edu.ge).
3. ლოკი, ჯონ „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“ (ომის მდგომარეობის შესახებ III თავი).
4. ჯალალონია დემური „პოლიტიკური ფილოსოფია“ (ომის ფილოსოფია) გამომცემლობა „ლოგოსი“, 2018.

ტატა ჩრდილული

სოციალური სოლიდარობის რელიგიური ასპექტები სოფელ ხანში

მოხსენებაში განხილული იქნება სოფელ ხანში არსებული სოციალური სოლიდარობის ასპექტები, რომელიც აორგანიზებს ადგილობრივთა თანამედროვე სოციალურ ურთიერთობებს და გამყარებულია რელიგიური გადმოცემებითა და პრაქტიკით. მოხსენება ეფუძნება 2021 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური პროექტის, „სოფელ ხანის ეთნოგრაფიული შესწავლა“, შედეგად ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს, რის შედეგადაც ცხადი გახდა, რომ რელიგია არა მარტო ადგილობრივთა ღირებულებათა მაფორმირებელია, არამედ იგი აორგანიზებს ხანის მკვიდრთა თანამედროვე ყოფით ასპექტებს. ტრადიციულად, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე შეიმჩნევა სოლიდარობის სხვადასხვა სახეობა, რაც სხვადასხვაგვარად გამოიხატება, როდესაც გარკვეული ოჯახები საჭიროებენ. სოფელ ხანში (ბაღდათის მუნიციპალიტეტი) სოციალური სოლიდარობის პრაქტიკას ამტკიცებს წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაული „ველაობა“, რომელიც აღინიშნება „ტყელას ტყეში“ - სოფელ ხანის მიმდებარე ტერიტორიაზე. გადმოცემა, როგორ სთხოვეს სოფლის მაცხოვრებლებმა წმინდა გიორგის თანასოფლელი ტაბეშაძის დაცვა და გამრავლება, ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ გვარს და ახსენებს მათ საერთო სოციალურ პასუხისმგებლობას.

მოხსენებაში განხილული იქნება სოციალური სოლიდარობის სხვადასხვა ასპექტები საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, ასევე, სოფელი ხანისათვის დამახასიათებელი სოციალური პრაქტიკა, რომელიც ორგანიზებულია რელიგიური მოტივებით და წარმოადგენს სოფლის მცხოვრებთა გამაერთიანებელს როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით, ისე ნორმატიული კუთხითაც.

ელენე ჩხვირკია

ქალაქის თანამედროვე რეკონსტრუქცია

ქ. ბორჯომის მაგალითზე

ქალაქი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველი, პერმანენტულად ცვალებადი და განახლებადი სისტემაა. ქალაქების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტებია აქ არსებული ნაგებობები, ქუჩები, მოედნები, გზები, ძეგლები. ამ ნაწილებთან ერთად, ქალაქი განსხვავებულ მნიშვნელობას სწორედ მისი შინაარსობრივი დატვირთვისა და ფუნქციის გამო იძენს. ამის შედეგია, რომ თანამედროვე ქალაქები ცდილობენ თავიანთი თავის ახალი მეთოდებით წარმოჩენას, ეჭიბრებიან ერთმანეთს, რომ იქცნენ ტურისტულად მიმზიდველი, კულტურულად მდიდარი, ადგილობრივებისთვის საცხოვრებლად და უცხოებისთვის დასათვალიერებლად საინტერესო ადგილებად. საქართველოს რეგიონების ქალაქები ბევრი სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან. საქართველოსთვის, როგორც ტურისტულად მზარდი ქვეყნისთვის, ცალსახად მნიშვნელოვანია ქალაქების სწორი გზითა და მიმართულებით წარმოჩენა. ამ საქმეში კი თანამედროვე სამყაროში აქტიურად და ძალიან ეფექტიანად გამოიყენება მარკეტინგული მეთოდები.

ბორჯომი - ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტი აღმოსავლეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ბორჯომის მინერალურ წყალს უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალოდ, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში არსებული ისტორიული პროცესების გამო, დიდი ხნის მანძილზე მივიწყებული იყო. სახელი „ბორჯომი“ უკვე XIX საუკუნეში იხსენიება, რაც დაკავშირებული იყო ბორჯომის წყლის ხელახალ აღმოჩენასთან. სწორედ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ქ. ბორჯომის ისტორიაში. 1850 წელს ბორჯომში დაარსდა მინერალური წყლების პარკი; 1894 წელს დასრულდა ბორჯომის ჩამომსხმელი პირველი ქარხნის მშენებლობა; 1896 წელს გაიხსნა პირველი მინის მწარმოებელი ქარხანა. 1894 წელს

სრულდება ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა მინერალური წყლების პარკში, რომელმაც XX საუკუნის 50-იან წლებამდე იმუშავა. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დროს, აქ შენდება სანატორიუმები და სწორედ ამ დროს ენიჭება ბორჯომს საკავშირო კურორტის სტატუსი. „ბორჯომი“ ყველაზე პოპულარული მინერალური წყალი იყო მთელ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც.

ქ. ბორჯომის ისტორიის გათვალისწინებით საინტერესოა, როგორ ხდება ქალაქის წარმოჩენა დღეს. რა მატერიალური ძეგლებისა და ღირებულებების ირგვლივ იკვრება ქალაქი. როგორია ადგილობრივების თვითიდენტიფიკაცია ქალაქთან და ეთანხმება თუ არა მათი აღქმა ქალაქის მიმართ ჩამოყალიბებულ მარკერებსა და მახასიათებლებს.

ივეტა ცერცვაძე

ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთმიმართება შიოლა ლუდუშაურის ციკლის ტექსტებში

შიოლა ლუდუშაურის პიროვნულ მახასიათებლებზე მსჯელობისას, განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით ტრადიციულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებსა და თანამედროვე პუბლიკაციებში.

ბალადა შიოლა ლუდუშაურის შესახებ შეიქმნა არაუადრეს XVII საუკუნის პირველი ნახევრისა. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ზურაბ არაგვის ერისთავის ხანას. ბალადის მიხედვით, შიოლა ლუდუშაურმა გზად მიმავალ მთრეხელს წაართვა ცხენი, მოუნდომა იარაღის აყრა, მაგრამ მთრეხელმა იგი განგმირა. ამ ფონზე ბალადაში სიუჟეტი უაღრესად დრამატულად ვითარდება.

თანამედროვე პუბლიკაციებში, ასევე, მიუთითებენ შიოლა ლუდუშაურის შესახებ სხვა ციკლის ტექსტებს, რომლებიც, სა-

ვარაუდოდ, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შექმნილი. ისინი შიოლას დადებით პიროვნებად გვიხატავენ. ამ თემაზე შექმნილი საგვარეულო ლექსები და გადმოცემები, ცხადია, საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა, ამავე დროს, ეს ციკლი არ ემყარება ფოლკლორულ ტრადიციას, რის გამოც ისინი ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ და არა ზეპირსიტყვიერ ტექსტებად. შესაბამისად, ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, სად გადის გამოყოფი ხაზი შიოლას ციკლის ტექსტებში ინდივიდუალურ და ფოლკლორულ შემოქმედებას შორის.

ბალადა შიოლა ლუდუშაურის შესახებ ლიტერატურულად გადამუშავებული აქვთ ალექსანდრე ყაზბეგსა (დაუმთავრებელი მოთხრობები „შიოლა ლუდუშაური“ და „ნინო“) და გურამ დოჩანაშვილს („აჩხოტელების ბატონი“). აღნიშნული ნაწარმოებები უაღრესად ინდივიდუალური და ორიგინალურია. მათ ჰყავთ თავიანთი ავტორები და ამიტომ, ცხადია, ისინი მხატვრულ ლიტერატურას განეკუთვნებიან და არა ფოლკლორს.

შიოლა ლუდუშაურის პიროვნების შესახებ ვნებათაღელვა ჩვენს დროშიც არ ჩამცხრალა. ამ საკითხზე უაღრესად საყურადღებო სამეცნიერო პუბლიკაციები შექმნეს რ. ჩხეიძემ, ტ. მახაურმა და ა. არაბულმა.

2010 წელს შეიქმნა ვიდეორგოლი შიოლა ლუდუშაურის შესახებ, რომელშიც ჩართულია ცნობა შიოლას შესახებ, ტექსტი აცდენილია ხალხურ ტრადიციას და მთლიანად ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. ვიდეორგოლში შიოლას სახე მისადაგებულია „კაი ყმის“ კრიტერიუმებთან, ხოლო მთრეხელის პიროვნული მახასიათებლები დაკნინებულია, რომელიც, ჩემი აზრით, პოსტმოდერნისტულ მიდგომას წარმოგვიდგენს, როცა გმირი შეიძლება ანტიგმირად გამოიყვანონ და ანტიგმირი – გმირად. ფოლკლორულ ნაწარმოებს არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი. ხალხური შემოქმედება არ ეძებს ინოვაციებსა და ახალ სიუჟეტებს. იგი შემოფარგლულია ტრადიციებით. ტექსტს ფოლკლორის კუთვნილებად მივიჩნევთ მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს ფოლკლორული შემოქმედების ძირითადი სპეციფიკური მახასიათებლები, მათ შორის ვარიანტები.

ანა ციყელაშვილი ანა შალუტაშვილი

მიჰრი ხათუნი შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურის ასპარეზზე

პატრიარქალურ საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში ბუნებრივად ითვლებოდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქალი დაბალი სოციალური სტატუსის მატარებელი იყო. მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დომინანტური როლი მამაკაცებს ეჭირათ. ამ მხრივ არც ლიტერატურა ყოფილა გამონაკლისი. თურქულ საზოგადოებაში ქალის როლისა და სტატუსის გაანალიზების ერთ-ერთი საუკეთესო წყარო თავად თურქული ლიტერატურაა. ყურადღება შევაჩერეთ შუა საუკუნეების თურქულ ლიტერატურაზე, რომელიც „დივანის ლიტერატურის“ სახელითაა ცნობილი და მასში რელიგიურ-ფილოსოფიური დისკურსი მკვეთრადაა გამოხატული.

დივანის ლიტერატურა მამაკაცი ავტორების სიუხვით გამოირჩევა, თუმცა მათ გვერდით მიჰრი ხათუნს ღირსეული ადგილი უჭირავს. მიჰრი ხათუნის შემოქმედებაზე დაკვირვებისას ნათლად იკვეთება პოეტის მეამბოხე ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის შემოქმედება იგივეობის ესთეტიკაზე დამყარებული, მკაცრად კანონიზირებული შუა საუკუნეების ლიტერატურის ჩარჩოებში ვერც ჯდება.

მიჰრი ხათუნი ამასიაში, სავარაუდოდ, 1456-60 წლებში უნდა დაბადებულიყო. მას ოჯახური გარემო უწყობდა ხელს კარგი განათლების მიღებაში, რამაც მოგვიანებით პოეტის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა. მიჰრი ხათუნი პოეზიით ადრეულ ასაკში დაინტერესდა. მომავალ პოეტს მოსვენებას უკარგავდა ორი რამ: არის თუ არა პოეზია ქალის საქმე? შეიძლება თუ არა პოეტი იყოს ბედნიერი?

მიჰრი ხათუნი არ ყოფილა ერთადერთი ქალი პოეტი, ვინც დივანის ლიტერატურას ახსოვს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი

თანამედროვე პოეტი ქალების შემოქმედება ლექსების სიუხვით არ გამოირჩევა. ამას თავისი მიზეზები გააჩნია. მაგალითად, ზეინებ ხათუნი ქორწინების შემდეგ პოეზიას საერთოდ ჩამოშორდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მიჰრი ხათუნის შემოქმედება ორიგინალობით არ ბრწყინავს, მაგრამ გრძნობების გამოსატყვის სინრფელით ნამდვილად გამოირჩევა მისი თანამედროვე პოეტებისგან. იგი არ მორიდებია ლექსებში მიჯნურის სახელის ხსენებას, რითაც არაერთხელ გამხდარა გაკიცხვისა და განსჯის ობიექტი.

მოცემულ მოხსენებაში შევეცდებით განვიხილოთ მიჰრი ხათუნის შემოქმედება, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების ქალი პოეტების ადგილსა და როლზე როგორც საზოგადოებაში, ისე ლიტერატურულ სივრცეში.

გვანცა წინილაშვილი **სალომე ჩაფიძე**

იტიკა საქართველოში XX ს-ის 20-იან წლებში (შურნალ „ტარტაროზის“ მასალების მიხედვით)

საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921 წლის 25 თებერვალი), საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო ბრძოლა ყველა რელიგიის, განსაკუთრებით - მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. კომუნისტებმა, რომლებიც ათეისტური ორიენტაციისა იყვნენ, უარყვეს რელიგია, კომუნიზმში გამოაცხადეს რწმენის ახალ სახეობად. ისინი ეწეოდნენ აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას. ხელისუფლების მთავარი მიზანი ავტორიტარული სისტემის შექმნა იყო, რომლისთვისაც ეკლესიას ხელი არ უნდა შეეშალა. ბძოლა რელიგიის წინააღმდეგ თავისთავად ნიშნავდა ბრძოლას სოციალიზმისთვის. აღნიშნული საკითხი დღეისათვის ძალზედ აქტუალურია და გამუდმებით მიდის მასზე მსჯელობა.

ჩვენი მიზანია, გაგაცნოთ XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, შესაბამისი სამეცნიერო მასალის დახმარებითა და იმ წერილობით წყაროზე დაყრდნობით, რომელიც აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი ამ კუთხით ჯერ არ ყოფილა. ამისთვის კი აუცილებელია განვსაზღვროთ, რატომ და რა მეთოდებით მიმდინარეობდა ანტირელიგიური პროპაგანდა, მოახერხა თუ არა იმდროინდელმა ხელისუფალმა დასახულ მიზანამდე მისვლა, როგორი იყო რიგითი ადამიანებისა თუ სასულიერო პირების განწყობა საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი, აღნიშნულ პერიოდში ხომ გამუდმებული შიშის, ზეწოლისა და კონტროლის ქვეშ უწევდა საზოგადოებას ცხოვრება.

საკითხი, ძირითადად, განხილული იქნება ჟურნალ „ტარტაროზის“ მიხედვით, რომელიც XX ს-ის 20-იან წლებში იბეჭდებოდა და ზუსტად ასახავს იმდროინდელ ვითარებას: თუ რად იქცა ეკლესია - ღვთის სახლი, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა სასულიერო პირები, როგორია ადამიანების დამოკიდებულება რწმენის, საეკლესიო სიმბოლოებისა თუ საეკლესიო დღესასწაულებისადმი...

თამარ ქიქინაძე

გველის სიმბოლო ქართულ მითო-რიტუალურ სისტემასა და ლიტერატურაში

გველი ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა და იგი თითქმის ყველა ძველ კულტურაში გვხვდება. ამ სიმბოლოს ორმაგი, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ბიბლიაში გველი, ერთი მხრივ, ეშმაკს განასახიარებს, რომელმაც ევა აცდუნა, ხოლო მეორე მხრივ, მოსეს ეხმარება უდაბნოში.

გველის სიმბოლო განსაზღვრულ როლს თამაშობდა ქართულ ტრადიციაშიც. საქართველოში გავრცელებული რწმენის თანახმად, ყველა სახლს ჰყავდა თავისი გველი, რომელსაც „ფუძის ანგელოზს“ ეძახდნენ. იგი ოჯახის კეთილდღეობისა და სიმდიდრის მფარველს წარმოადგენდა. ფუძის გველის მოკვლა დაუშვებელი იყო, რადგან სწამდათ, რომ ეს ოჯახის დაქცევასა და ამოწყვეტას იწვევდა.

გველი ხალხურ მედიცინაშიც თამაშობდა გარკვეულ როლს. მაგალითად, რაჭაში გველის პერანგი წამლად ითვლებოდა, ასევე გველს მიაწერდნენ დამცველობით ფუნქციასაც. სწორედ ამ თვისების გამო ინახავდნენ გველის პერანგს ზღურბლში.

გველის სიმბოლო არაერთხელ გვხვდება ქართულ ლიტერატურაში. ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელში“, მინდია ღვთაებრივ ცოდნას სწორედ გველის ჭამის შემდგომ იძენს, ასევე ხდება კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებშიც („ხოგაის მიწია“). ეს შემთხვევითი სულაც არაა, ვინაიდან გველი ერთგვარი სიბრძნის სიმბოლოცაა. ამის საილუსტრაციოდ, შესაძლოა გავიხსენოთ მათეს სახარების ის ეპიზოდი, სადაც მაცხოვარი ამბობს - „იყავით გონიერნი ვითარცა გველნი და უმანკონი ვითარცა მტრედნი“... როგორც უკვე აღვნიშნეთ, გველი ხალხურ მედიცინაშიც თამაშობდა გარკვეულ როლს. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ხალხურ ტრადიციას უნდა დავუკავშიროთ ვაჟა-ფ-

შაველას „ბახტრიონში“ არსებული ლუხუმის მკურნალი გველის სახეც. ამ საკითხთან მიმართებით საინტერესო ნაწარმოებია კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“. აქ გველის სიმბოლოს ბევრჯერ ვხვდებით სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით. გველი ფუძის მფარველადაა წარმოდგენილი რამდენიმე ეპიზოდში. მაგალითად, მენისქვილე ზოსიმია ოშოშია გველთან ერთად ცხოვრობს. მენისქვილე გველს „ანგელოზთბატონს“ ეძახის და რძეს ასმევს, ასევე, ოჯახის მფარველად გვევლინება გველი იმ ეპიზოდში, როცა არზაყანი და თარაში სვანეთის ერთ-ერთ ოჯახში ხვდებიან.

როგორც ვხედავთ, გველის სიმბოლოს დიდი ადგილი უკავია ქართულ მითო-რიტუალურ სისტემასა და ლიტერატურაში. ეს გასაკვირი სულაც არაა, ვინაიდან გველი უძველეს სიმბოლოს წარმოადგენს და თითქმის ყველა კულტურაში გვხვდება.

თამთა ქუმბაძე

ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა და თავისუფალი ვაჭრობის ინტერნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბებას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციის ახალი ფორმა ვითარდება – „გლობალური ინდუსტრიული სამყაროს“ სახით და გულისხმობს გარკვეულ წყობას, წესრიგს, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შესწავლილი პოლიტიკის გარეშე. სწორედ ამიტომაც ტრანსნაციონალური კორპორაციები პოლიტიკისა და ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

კაცობრიობის ისტორიაში ეკონომიკური ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და, შესაბამისად, განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას. საერთაშორისო სა-

ვაჭრო კომპანიები XVI საუკუნიდან მოყოლებული ანგარიშგასაწევ ეკონომიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ; ასე, მაგალითად, ოსტინდოეთის კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისის წარმატებულ კოლონიურ პოლიტიკაში. დღეს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებს, ძირითადად, ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს, ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) როლი განსაკუთრებით გაიზარდა. ყველაზე დიდშემოსავლიანი კომპანიები სწორედ ტრანსნაციონალური კორპორაციებია, მათი ბიუჯეტი მრავალი ქვეყნის ბიუჯეტსაც კი აღემატება. სწორედ ამიტომ აქვთ ასეთი დიდი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ეკონომიკური სიძლიერე ქვეყნის სიძლიერის საწინდარია. მაგალითად ის ქვეყნები, რომლებიც XX საუკუნეში „მესამე სამყაროს ქვეყნებს“ მიეკუთვნებოდნენ, დღეს „აზიურ ვეფხვებად“ იწოდებიან და განვითარებული ქვეყნების სიაში არიან. ბევრი მათგანი სიღარიბის ზღვარს ქვევით იყო, ეს ქვეყნები გახდნენ ტნკ-ების ინტერესის ობიექტები იაფი მუშახელის, დაბალი გადასახადებისა და მათთვის მისაღები კანონების გამო, ამიტომ ტნკ-ებმა- MATTEL, SONY, DBS GROUP, AIA GROUP... დაიწყეს კაპიტალის დაბანდება, რაც პროგრესის საწინდარი გახდა ამ ქვეყნებისათვის. სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონ-კონგი, ტაივანი დამალაიზია. სწორედ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (პიუ) და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა აქციეს ისინი მსოფლიოს „ეკონომიკურ სასწაულად“. ბევრი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის აზრით, მსოფლიოს ხვალინდელი დღე ტრანსნაციონალური კომპანიების იქნება, რომლებიც თუ აქამდე წარმოადგენდნენ სახელმწიფოს სახელმწიფოში, ახლა უკვე დამოუკიდებელი სტატუსით იმოქმედებენ. სამწუხაროდ, საქართველოს ბაზარი ასეთი გიგანტური კორპორაციებისთვის ძალიან პატარაა, ამიტომაც მათი ინტერესებში, სავარაუდოდ, არ შევა.

მარიამ ხუბუნაია

დროის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ვასილ ბარნოვის „ისნის ცისკარში“

დრო უნივერსალური კატეგორიაა და მასთან დაკავშირებული ენობრივი საკითხების კვლევა აქტუალური და საინტერესოა. ლინგვისტური დრო, რომელიც ადამიანის შემეცნების გამოხატულებაა, ერთიანია, თუმცა უძველესი დროიდან ადამიანი მის დანაწევრებას ბუნებაში არსებული მუდმივი მოვლენების მიხედვით ახდენდა. იმის მიხედვით, დრო რეალურია (კონკრეტულია) თუ ირეალური, მის დასაზუსტებლად სხვადასხვა ენობრივი საშუალება გამოიყენება. მათი გამოყოფა და დაჯგუფება მხატვრული ტექსტის მიხედვით კარგად წარმოაჩენს ენის შესაძლებლობებსა და ამ ენის მატარებელთა ფსიქოტიკსა და ხასიათს. ამ თვალსაზრისით, მდიდარ ემპირიულ მასალას იძლევა ვასილ ბარნოვის რომანი „ისნის ცისკარი“. მასში მრავლად არის წარმოდგენილი დროის აღმნიშვნელი ლექსემების მრავალფეროვანი საკლასიფიკაციო ერთეულები, რომლებიც განიხილება საკონფერენციო მოხსენებაში.

რუსუდან ჯანანაშვილი

ჯოჯოხეთისა და სამოთხის სიმბოლური ტიპოლოგია ჯონ მილტონის პოემაში „დაკარგული სამოთხე“

ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. ამ ეპიკურ პოემაში არაერთი ტიპის დაპირისპირებას ვხვდებით; ერთმანეთს უპირისპირდება ღმერთი და სატანა, სიკეთე და ბოროტება, სამოთხე და ჯოჯოხეთი... ამგვარი ურთიერთსაპირისპირო პრინციპებისა და მოტივების შეკავშირებას ავტორი განსაკუთრებული ფუნქციურობითა და მხატვრული გამომსახველობით სავსე მეთოდებით ახერხებს. შესაბამისად, პოემა მრავალმხრივი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა, ეხმიანება რა ისეთ ღრმა საკითხებს, რომლებზე მსჯელობისას ყოველ ჯერზე ახალი და საინტერესო დასკვნის გამოტანა შესაძლებელი.

„დაკარგულ სამოთხეში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღწერას. აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანი არაა წარმოჩენილი უბრალოდ კონკრეტული საზღვრებით შემოფარგლულ ადგილად/ტერიტორიად. როგორც ჯოჯოხეთი, ისე სამოთხე წარმოდგენილია, როგორც შინაგანი, გონებრივი მდგომარეობა.

მოხსენების მიზანია, „დაკარგულ სამოთხეში“ წარმოდგენილი ჯოჯოხეთისა და სამოთხის სიმბოლური ტიპოლოგიის მეტაფორული ანალიზი. განხილული იქნება სამოთხისა და ჯოჯოხეთის შემდეგი მეტაფორები: „შავბნელი უფსკრული“, „ქაოსისა და ღამის სამეფო“, „სინათლის ნეტარი სამყარო“ და „სამარადუდამო ნეტარების მიწა“. ჯოჯოხეთისა და სამოთხის სიმბოლური გააზრება დაეყრდნობა აღნიშნული მეტაფორების შემადგენელი ელემენტების გაანალიზებას და მათი ფუნქციის ტექსტთან დაკავშირებას. მოხსენებაში, ჯოჯოხეთის

ტიპოლოგიის განხილვისას, ყურადღება ეთმობა ცოდვისა და სიკვდილის სიმბოლურ დატვირთვას პერსონაჟებსა თუ ნაწარმოების პერსონიფიცირებულ იდეებზე. ამავედროულად, განხილულია ქაოსის სიმბოლური ფუნქცია. ხოლო სამოთხის ტიპოლოგიის ანალიზისას, სამოთხის მეტაფორების გაანალიზებით გამოიკვეთება ავტორის თვალთახედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს სინათლე (წყვდიადის საპირისპიროდ), უსასრულო ნეტარების იდეა და სამოთხეში ღმერთთან ყოფნა.

ყოველივე ამის განხილვის საფუძველზე გამოიკვეთება ის სიმბოლური დატვირთვა, რომელიც მილტონმა სამოთხესა და ჯოჯოხეთს, როგორც ურთიერთსაპირისპირო კონცეპტებს, მისცა.

ვიკა ჯაჭანიძე

საბჭოთა რეალობის მხატვრული ასახვა ნინო ხარატიშვილის რომანის „მერვე სიცოცხლე“ მიხედვით

ნინო ხარატიშვილის ნაწარმოები „მერვე სიცოცხლე“, მრავალმხრივ საინტერესო და გამოგნებულ ამბავთა ერთიანობაა, რომელიც ღრმად იჭრება და სამუდამო კვალს ტოვებს მკითხველის ცნობიერებაში.

რომანი მეორე მსოფლიო ომს, გასაბჭოებულ საქართველოში ადამიანთა მძიმე ხვედრს და მათ მიერ გამოვლილ სიასასტიკეს მხატვრულად წარმოგვიდგენს. ამბავი ერთი ოჯახის ტრაგედიიზება აგებული, ეს ტრაგედიები კი, ერთმანეთზე სასტიკი და დაუნდობელია.

აუხდენელი ოცნებები, გაუფერულებული სიყვარული, ღალატი, გაუცხოება, ბავშვის აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები და მშობლების სურვილებს შეწირული შვილის მომავალი თვალნათლივ არის წარმოჩენილი რომანში. ვფიქრობ, ნაწა-

რმოებს მეტად საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ იგი ადამიანთა ყოველდღიურ, ყოფით მაგალითებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, როგორი სასტიკი და დაუნდობელი იყო რეჟიმი ადამიანთა მიმართ.

ოჯახის რვა წევრის განსხვავებული ხვედრი ისტორიული ფაქტების გარშემოა გაშლილი. ავტორი მიჰყვება მოვლენებს და ოსტატურად ახერხებს მხატვრულად ასახოს იმჟამინდელი რეალობა.

ჩემი მიზანია, განვიხილო ნინო ხარატიშვილის რომანი, მისი წერის სტილი და წარმოვაჩინო საბჭოთა რეალობის მხატვრული ასახვა ნინო ხარატიშვილის რომანის, „მერვე სიცოცხლე“, მაგალითზე. განვიხილო მდგომარეობა, როდესაც ადამიანთა ცხოვრება ეწირებოდა იდეოლოგიებს და მათ ართმევდა ყველაზე ძვირფას ფასეულობებს; საზოგადოების ტრანსფორმირება იდეოლოგიური გავლენების შედეგად, რეპრესიების ანარეკლი და ტრაგიკული გამოცდილების გავლენა ადამიანების მომავალზე.

შორენა ჯიმშერიშვილი

რიგ სპარსულ და ქართულ ფიტონიმთა შეპირისპირებითი ანალიზისათვის

ჩვენ მიერ განხილულია მცენარის აღმნიშვნელი ჰიპერონიმები; ბალახის აღმნიშვნელი ჰიპო-ჰიპერონიმი, მისი ერთ-ერთი ჰიპონიმიტურთ; ყვავილის აღმნიშვნელი რამდენიმე ჰიპო-ჰიპერონიმი; ბუჩქისა და ხის ჰიპო-ჰიპერონიმები.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი სპარსული ფიტონიმები შედარებით ერთგვაროვანია. დასტურდება მხოლოდ ოთხი არაბიზმი.

განხილულ ფიტონიმთაგან ქართულში ნახესხები არაა მცენარის აღმნიშვნელი ჰიპერონიმები, ასევე ხის, ბუჩქისა და

ყვავილის აღმნიშვნელი ჰიპო-ჰიპერონიმები. საკვლევ სპარსულ ფიტონიმთაგან ქართულში მხოლოდ რიგი ჰიპონიმებია ნასესხები. ქართულში მათი მნიშვნელობა უცვლელია. დღივ-სათვის ამ ნასესხობათაგან უფრო ხშირად გამოიყენება ვარდი, ზირა/ძირა, ზაფრანა, იასამანი, მიხაკი.

სპარსულ ფიტონიმებში სინონიმია წარმოდგენილია მხოლოდ მცენარის ჰიპერონიმებში, ბალახისა და ვარდის ჰიპო-ჰიპერონიმებში. ქართულ მასალაში ქეგლ-ის მიხედვით, ჩანს კუთხური სინონიმები.

პოლისემიზაციის ტენდენცია ბევრად უფრო მძლავრია სპარსულ ფიტონიმებში. იშვიათია გრამატიკული პოლისემია. რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება ჰიპო-ჰიპერონიმული პოლისემია.

პოლისემიის ფარგლებში განვიხილავთ რიგ ფიტონიმთა ანთროპონიმიზაციასაც, კერძოდ, არაერთი ყვავილთა ფიტონიმი ან მათით მოტივირებული აფიქსური დერივატი თუ კომპოზიტი ქალის საკუთარ სახელად გვევლინება. ამგვარი შემთხვევები უფრო იშვიათია ქართულში.

სპარსული ფიტონიმები, ქართულთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალ სიტყვათწარმოებით და ფრაზეონარმოებით აქტივობას ავლენენ. ამ აქტივობით განსაკუთრებით გამორჩეულია შუალედური რგოლი – ჰიპო-ჰიპერონიმები. ორივე ენაში ფიტონიმებით მოტივირებული აფიქსური და კომპოზიციური დერივატები, ძირითადად, არსებითი და ზედსართავი სახელებია. გამონაკლისის სახით მოძიებულია ორი ზმნიზედა (თითო-თითო სპარსულსა და ქართულში).

სპარსულშიც და ქართულშიც ფერის აღმნიშვნელი ზედსართავები ხშირად მოტივირებულია ფიტონიმებით, კერძოდ, ყვავილთა სახელწოდებებით.

საკვლევ სპარსულ ფიტონიმთა და მათ ქართულ შესატყვისთა ასოციაციური მიმართებები მხოლოდ ნაწილობრივ ჰგავს ერთმანეთს, რაც განაპირობებს ფიტონიმებით მოტივირებულ ახალ სიტყვათმნიშვნელობათა, სიტყვათა, იდიომთა და ანდაზათა მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსებას სპარსულსა და

ქართულში. ყველაზე მკაფიო მსგავსება, ფაქტობრივად იგივეობა, ჩანს **ვარდთან** დაკავშირებული ასოციაციური მიმართებების თვალსაზრისით.

საკვლევი მასალის მიხედვით, ფიტონიმებთან დაკავშირებული ასოციაციური მიმართებები ორივე ენაში, მეტწილად მეტაფორას და ნაკლებად მეტონიმიას ეფუძნება.

ფიტონიმებით მოტივირებულ იდიომთა და ანდაზათა თვალსაზრისით, სპარსულის ქართულზე გავლენის ფაქტორი შედარებით მცირეა.

ლუკა ჭინჭარაძე

ავღანეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა უახლესი მოვლენების კონტექსტში

ყველას კარგად მოეხსენება, რომ 20-წლიანი თამაშგარე სიტუაციის შემდეგ, რომელშიც ტერორისტული ორგანიზაცია თალიბანი იმყოფებოდა, ახლა 2021 წლის სექტემბერში კვლავ შეძლო და ავღანეთის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო. რამაც, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო პოლიტიკაში ცვლილება შეიტანა. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ ხელისუფლებას დასავლეთიდან ლეგიტიმაცია ჰქონდეს.

მოხსენების მიზანია აღწეროს ახლადწეული ავღანეთის პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალური ყოფა. საიდან დაიწყო თალიბანის მოძრაობა და გავარკვიოთ მათი იდეოლოგია თუ რისი სჯერათ მათ.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, თუ რატომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ოცწლიანი ბრძოლის შეწყვეტის და ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილება ავღანეთიდან, რომლის ევაკუაციის დროსაც 12 ამერიკელი სამხედრო და 170-მდე ავღანელი მშვიდობიანი მო-

სახლე ტერაქტს შეეწირა. იყო თუ არა ცუდად ორგანიზებული ამერიკელების მრიდან ევაკუაცია და შეიძლებოდა თუ არა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება.

კვლევის მიზანია გავარკვიო მიზეზი, რის გამო დათმო პო-ზიციები შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში. ასევე, მოახერხე-ბს თუ არა თალიბანი საერთაშორისო აღიარების მოპოვებას.

ანი ჯოხაძე

ბაგრატიონების წარმომავლობა

ბაგრატიონები ქართული სამეფო დინასტიაა, რომელიც საქართველოსა და ქართულ სამეფოებს შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე მართავდა. ისინი წარმოშობით სამხრეთ საქა-რთველოდან, ისტორიული ქართული პროვინციიდან – სპერი-დან იყვნენ (თანამედროვე ისპირი, თურქეთის რესპუბლიკა). საგვარეულოს წარმომადგენლები სწრაფად დანიშნულდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე და მათ ძველი სამე-ფო გვარები ჩაანაცვლეს. საქართველოს გარდა, ბაგრატიონე-ბის მეორე შტომ, ბაგრატუნებმა, მეფობას სომხურ სამეფოებ-შიც მიაღწიეს.

ბაგრატიონების წარმომავლობით თავიდანვე დაინტერესებულნი იყვნენ როგორც თვითონ საგვარეულოს წარმომადგენლები (სუმბატ დავითის ძე, ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.), ისე სხვა ავტორები (ქართლის ცხოვრება, კონსტანტინე პორფიროგენეტი და სხვ.) და მკვლევრები (კირილ თუმანოვი, სტივენ რაპი, ზაზა ალექსიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, თედო დუნდუა და სხვ.). ამიტომ წარმომავლობის შესახებ არაერთი ლეგენდა და ვერსია შეიქმნა:

- ღვთიური წარმომავლობა, ბიბლიური დავითის შთამომავლები;
- სომეხთა ეპონიმის ჰაიკის ჩამომავლობა;
- წარჩინებული ებრაელი ტყვის შთამომავლობა;
- ორონტიდებისგან მომდინარეობა;
- ფარნავაზიანთა შთამომავლობა.

მოხსენებაში განხილული იქნება ყველა ზემოაღნიშნული ვერსია. მათგან, ცალკე აღნიშვნის ღირსია აკად. ზაზა ალექსიძის კვლევა. იგი ბოლო პერიოდში, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში მიკვლეულ მოქცევაჲ ქართლისაჲს აქამდე უცნობ ნუსხაზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ ბაგრატიონების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს ცოლად გაჰყვა ქართლის ერისმთავარ ადარნასეს ქალიშვილი ლატავრი და აქედან გახდნენ ბაგრატიონები ქართლის ერისმთავრები, რასაც ადასტურებს მათი წარმომადგენლების მცხეთის ჯვრის ტაძარში დაკრძალვის შესახებ ცნობაც. როგორც ცნობილია, თავდაპირველად, აქ ქართლის ერისმთავრები იკრძალებოდნენ, მოგვიანებით კი ბაგრატიონთა საფლავებიც გვხვდება.

დიანა დიასამიძე, მარიამ კვინიკაძე

ტომას სტერნზ ელიოტის “THE LOVE SONG OF J. ALFRED PRUFROCK” ორიგინალისა და დავით წერედიანის ქართული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი

“The Love Song of J. Alfred Prufrock” ავტორია ამერიკელი მწერალი, ესეისტი, გამომცემელი და მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანი დრამატურგი ტომას სტერნზ ელიოტი. საზოგადოდ, ტ.ს. ელიოტი ცდილობდა, პოეზია უფრო სათუთი, სააზროვნო, ამავე დროს, ზუსტი და ლაკონური გაეხადა. ტ.ს. ელიოტის შემოქმედებას საერთო მოდერნისტული ხასიათი აქვს და მისი ლიტერატურული თეორია მთელი ამ ესთეტიკური მრავალფეროვნების ეპიცენტრს განასახიერებს. ამის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ განსახილველად აღებული ლექსიც.

“The Love Song of J. Alfred Prufrock” ტ.ს. ელიოტმა 1910 წელს დაწერა, თუმცა 1915 წლამდე იგი არ გამოქვეყნებულა. ტექსტი წარმოადგენს დრამატულ მონოლოგს, რომელშიც მთხრობელი წარმოგვიჩენს თავის მშფოთვარე, მღელვარე შინაგან სამყაროს. როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპულმა და ამერიკულმა ცხოვრებამ მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები გარკვეულ ასახვას პოეზებს ელიოტის შემოქმედებაშიც, ამ მხრივ არც “The Love Song of J. Alfred Prufrock” გამოჩნდება.

“The Love Song of J. Alfred Prufrock” ქართულად თარგმნა დავით წერედიანმა. მისი თარგმანი – „აღფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობლი“ – 2018 წლის 17 მაისს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. მოხსენებაში განვიხილავთ ტომას სტერნზ ელიოტის “The Love Song of J. Alfred Prufrock” ორიგინალსა და ზემოაღნიშნულ ქართულ თარგმანს. შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ვაჩვენებთ, თუ რამდენად შეძლო დავით წერედიანმა ლექსის იდეოლოგიისა თუ ლიტერატურული თეორიის ესთეტიკური პრინციპების, ფორმისა და შინაარსის გადმოტანა თავის თარგმანში.

